

501
1980

სსრკ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР



სსრკ-ის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომები ტ. 112 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

სოფლის მეურნეობის ნაკრებების ეკონომიკა,
ოგბანიზაცია, ბაკოვა და დაგეგმვა

ЭКОНОМИКА, ОРГАНИЗАЦИЯ, ПРАВЛЕНИЕ И
ПЛАНИРОВАНИЕ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА



სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი დროშის ორდენისანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт



სამეცნიერო შრომათა, ტ. 112 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

4

სოფლის მეურნეობის ნაკრავის ეკონომიკა,
ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა

ЭКОНОМИКА, ОРГАНИЗАЦИЯ, ПРАВЛЕНИЕ И
ПЛАНИРОВАНИЕ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА



უძღვნება შრომის წითელი დროშის ორდენისა და
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების
50 წლისთავს

*Посвящается 50-летию со дня основания
Грузинского ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственного института*

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვის სერიის ტომის მასალები განხილულია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

Материалы тома серии — Экономика, организация, правление и планирование сельскохозяйственного производства — рассмотрены на заседании Ученого совета факультета и одобрены Ученым советом Грузинского ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института.

მთავარი რედაქტორი აკად. ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ჯ. ბობოხიძე (პ/მგ. მდივანი), დოც. ჰ. გიორგაძე, დოც. ზ. ელიზბარაშვილი, პროფ. ნ. ლაჭყევიანი, პროფ. ა. მახარაძე (მთ. რედ. მოადგილე), პროფ. კ. მიროტაძე, დოც. გ. ჭკადუა, პროფ. ი. ჭაში.

Главный редактор акад. ВАСХНИЛ В. И. Метревели

Редакционная коллегия: Дж. П. Бобохидзе (отв. секретарь), проф. И. Л. Джаши, доп. Г. Г. Георгадзе, доц. З. А. Элизбарашвили, проф. Н. К. Лачкепиани, проф. А. Г. Махарაдзе (зам. гл. редактора), проф. К. А. Миротадзе, доп. Г. Б. Чкадуа.

1980 წლის ოქტომბერში ჩვენი რესპუბლიკა დიდი ზემოთ აღნიშნავს თავისი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლების მძლავრი კერის— შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს.

ინსტიტუტის ფაკულტეტებს შორის დღეს საპატიო ადგილი უჭირავს ეკონომიკის ფაკულტეტს, რომლის დაარსების ისტორია 1934 წლიდან იწყება. თავისი არსებობის პერიოდში ფაკულტეტმა ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის უაღრესად მნიშვნელოვან დარგს—სოფლის მეურნეობას 1750-ზე მეტი ეკონომისტი-ორგანიზატორი და 850-მდე ეკონომისტი-ბულალტერი მოუშადა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სასწავლო ინსტიტუტებში, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში და სხვ.

ფაკულტეტის კოლექტივი სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობასთან ერთად ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობაშია ჩაბმული. დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური პრობლემების დამუშავების საქმეში: პროფ. ი. ჯაშს. ნ. ლაჭყებანი, პ. ყლენტს, ი. ბალანჩივაძეს, ნ. იაშვილს, გ. კუბრეიშვილს, ი. ორაგველიძეს, დ. ბერუჩაშვილს, დოც. ს. თავდიშვილს, გ. სალუქვაძეს, იმ. ჭელიძეს, ა. ნარჩომაშვილს, დ. ქაციბაიას და სხვ., რომელთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს საუკეთესოდ აგრძელებს დღეს ჩვენი ფაკულტეტის საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები: დოც. პ. გიორგაძე, ზ. ელიზბარაშვილი, კ. მიროტაძე, შ. ბენია, გ. ჭკადუა, ი. გოდერძიშვილი, ბ. სარჯველაძე, ლ. ქელესაშვილი, გ. ჭკუასელი და სხვ. დღეს ფაკულტეტისათვის განკუთვნილ სამეცნიერო შრომათა კრებულში, რომელიც რეგულარულად გამოდის ბოლო წლებში, ძირითადად სწორედ ამ თაობის წარმომადგენელთა შრომები ქვეყნდება.

ამ საიუბილეო კრებულში მოთავსებული შრომები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების კანონზომიერებათა აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. შრომების გარკვეული ნაწილი პრაქტიკული—გამოყენები-

16.08

საქართველოს სსრ
სამეცნიერო-კვლევითი
ბიბლიოთეკა

თი მნიშვნელობისა. ავტორთა მიერ ამ შრომებში წარმოდგენილი წინადა-
დებების წარმოებაში დანერგვა გარკვეულ სარგებლობას მოუტანს ქვემო
რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

საიუბილეო წელს, ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს, ეკონომი-
კის ფაკულტეტის გარკვეული წარმატებებით ხვდება, მაგრამ ფაკულტეტის
წინაშე კვლავ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი.

პროფ. ა. მახარაძე

УДК 329 : 338 .

ა. მახარაძე

საკვ თანამედროვე აგრარული პოლიტიკა

საკვ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „... საბჭოთა გლეხობის გმირულმა გზამ, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების გლეხობის გზამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ გლეხთა საკითხის სწორი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის არსებობს მხოლოდ ერთი უტყუარი გზა—სოფლად სოციალიზმის მშენებლობის გზა, არსებობს ერთი ჭეშმარიტი მეცნიერება — მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება აგრარულ-სავლენო საკითხზე“. ამ ერთადერთი ჭეშმარიტი მეცნიერების ფუძემდებლები არიან მარქსიზმის კლასიკოსები და მათი გამოჩენილი მოწაფეები. მათი მოძღვრება აგრარულ-სავლენო საკითხებზე შემოქმედებითად ვითარდება და სრულყოფილი ხდება საკვ და სხვა მოძმე პარტიების, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების აგრარიკოს-ეკონომისტთა მიერ. აგრარულ-სავლენო საკითხის გადაწყვეტისას ჩვენი პარტიის კომპასი იყო, არის და იქნება ლენინის მოძღვრება, რომელიც მან განავითარა თავის ცნობილსა და აღიარებულ სტატიაში „კოლპერაციის შესახებ“.

მარქსიზმის კლასიკოსთა და მათ გამოჩენილ მოწაფეთა მოძღვრება აგრარულ-სავლენო საკითხებზე შემოქმედებითად მიდგომასა და გამოყენებას მოითხოვს ცალკეულ ქვეყანაში, მათი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით. ცალკეული სოციალისტური ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები, აგრარიკოს-ეკონომისტები მოვალენი არიან ღრმა მეცნიერულად შეიცნონ თავიანთი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების კანონზომიერებანი და ამ უკანასკნელის საფუძველზე შეიმუშაონ მოცემული ქვეყნის შესატყვისი აგრარული პოლიტიკა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება აგრარულ-სავლენო საკითხზე სოციალისტური სისტემის ყველა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის საფუძველია. მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებით არ ნიშნავს მათი აგრარული პოლიტიკის სრულ იგივეობას.



თითოეული სოციალისტური სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა იცვლება მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეტაპების მიხედვით. მაგ., სკკ აგრარული პოლიტიკის ასპექტში განხილვა აშკარად გვიჩვენებს, რომ იგი იცვლებოდა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით. პარტიის აგრარული პოლიტიკის არის სამხედრო კომუნისმის წლებში (1918—1920) სასურსათო გაწერაში გამოიხატა, ხოლო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საწყის პერიოდში სასურსათო გადასახადში, ამავე პერიოდის შუა და ბოლო წლებში სოფლად სოციალიზმის გაშლილ მშენებლობასა და სოციალიზმის გამარჯვებაში, სავალდებულო ჩაბარებებისა და შესყიდვის დანერგვაში, მტს-ების მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძვლების შექმნაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არაეკვივალენტურ გაცვლაში და ა. შ.

საბჭოთა სახელმწიფოსა და სკკ აგრარულმა პოლიტიკამ გარკვეული ცვლილებები განიცადა გამარჯვებული სოციალიზმის პერიოდში (1936—1965). ამ უკანასკნელის პირველი ეტაპის წლებში (1936—1941) შეიცვალა მარცვლეულის დამზადების სისტემა და შესასყიდი ფასი, დაიწყო შრომის ანაზღაურების მოწესრიგება. მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალა. ომის დამთავრებისთანავე პარტიამ კვლავ გაამახვილა ყურადღება აგრარულ-სავალდებულო საკითხებზე. გაფართოვდა სარწყავი არხებისა და ქარსაცავი ტყის ზოლების მშენებლობა, რათა მიგველო უხვი და მყარი მოსავალი. გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და მინერალური სასუქების წარმოება, კვლავ დღის წესრიგში დადგა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხები, განხორციელდა კოლმეურნეობების გამსხვილება და ა. შ. მაგრამ პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება გადატანილი იქნა ჯერ მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენაზე, ომით განაწამები გმირი საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული პირობების შესაძლებლობის მიხედვით გაუმჯობესებაზე, რაც სამრეწველო და სასურსათო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმებით და საცალო ფასების თანმიმდევრული შემცირებით ხორციელდება 1946—1953 წლებში.

გარკვეული ძვრები ხდება პარტიის აგრარულ პოლიტიკაში 1953—1964 წლებში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემებზე მსჯელობამ ამ პერიოდში მეტისმეტად ფართო ხასიათი მიიღო. ფართო ფრონტით დაიწყო ყამირი და ნასვენნი მიწების ათვისება, შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით კოლმეურნეობებში დაინერგა შრომის ფულადი ანაზღაურება, შრომადღებების კატეგორია შეიცვალა კაცდღეების კატეგორიით, კვლავ განხორციელდა კოლმეურნეობების გამსხვილება—ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები, განხორციელდა მტს-ბის რეორგანიზაცია, შეიცვალა ნათესების სტრუქტურა, სახელმწიფომ გაადიდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების



შესყიდვისა და ჩაბარების ფასები, ხოლო ცალკეულზე კი შეამცირა, გაა-
 რთოვდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები სახელმწიფოსა და კოლმე-
 ჟურნეობებს შორის. ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის
 ისტორიაში შევიდა ხშირი რეორგანიზაციების პერიოდად. გატარებულ
 ღონისძიებათა ერთი ნაწილი არ გამომდინარეობდა მარქსისტულ-ლენინური
 აგრარული მეცნიერების კანონებიდან, და ცხადია, მას არ შეეძლო დადებ-
 ბითი შედეგები მოეტანა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათ-
 ვის. თუ 1954—1958 წლებში აღინიშნა სოფლის მეურნეობის გარკვეული
 განვითარება, 1959—1964 წლებში ამ დარგის განვითარების ტემპი შესა-
 მჩნევად დაეცა და, როგორც ცნობილია (1959—1965) შეიძწლედის ამო-
 ცანები სოფლის მეურნეობაში შეუსრულებელი დარჩა. ამ წლებში გატა-
 რებულ რეორგანიზაციებთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევს თავის მოხსენ-
 ნებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე
 მოჰყავს ვ. ი. ლენინის ბრძნული სიტყვები: „ჩვენში ძალიან ბევრი არიან
 ყოველგვარ გარდაქმნათა მოყვარულნი და ამ გარდაქმნებს ისეთი უბედუ-
 რება მოსდევს, რომ ამაზე უარესი უბედურება მთელ სიცოცხლეში არც
 კი განმიცდია“ [1]. ამასთან ერთად ლ. ი. ბრეჟნევი ამავე პლენუმზე გაკე-
 თებულ მოხსენებაში მიუთითებს: „მეცნიერებაში შეუწყნარებელია სუბი-
 ექტივიზმი, ნაჩქარევი, პრაქტიკით შეუმოწმებელი დასკვნების თავს მოხ-
 ვევა. მეცნიერებას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ ზუსტი ექსპერიმენ-
 ტით, საწარმოო გამოცდილებით, თვით ცხოვრებით დადასტურებული
 მონეტარული მონაცემები.

ნამდვილი მეცნიერება შეუმოწმებლად არაფერს არ იჯერებს...“ [2]
 სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა ჩვენი პარტიისა და
 მთავრობის გადაუდებელ ჩარევას, ახალი აგრარული პოლიტიკის დამუშა-
 ვებასა და ცხოვრებაში პრაქტიკულ გატარებას მოითხოვდა. სკკპ ცენტრა-
 ლურმა კომიტეტმა 1965 წლის მარტის პლენუმზე სპეციალურად განიხილა
 საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი. ამხ. ლ. ი.
 ბრეჟნევმა ამ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში—„სსრ კავშირის სოფ-
 ლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა
 შესახებ“ ღრმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა საბჭოების პირველი ქვეყ-
 ნის სოფლის მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას და ჩამოაყალიბა პარ-
 ტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომ-
 ლებიც კონკრეტულად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციის,
 მელიორაციის, სპეციალიზაცია-კონცენტრაციის, შრომის ორგანიზაციასა
 და ანაზღაურების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის სის-
 ტემისა და შესასყიდი ფასების სრულყოფაში გამოვლინდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ
 გამოქმუშავებულმა აგრარული პოლიტიკის ძირითადმა პრინციპებმა თავი-
 სი სრულყოფა და განვითარება მიიღო სკკპ XXIII, XXIV, XXV ყრილო-
 ბების მასალებში, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში—პარტიისა და ხალხის

დიადი გმირობა, რომელიც წარმოთქვა ყამირის ათვისების 20 წლისათვის აღმადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აღმა-ათაში 1974 წელს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებში და ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის ვრცელ მოხსენებაში. ამრიგად, სკკპ თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ აგრარულ თეორიას ემყარება, შექმნილია განვითარებული სოციალიზმის პერიოდში 1965—1978 წლებში. თავისთავად ცხადია, რომ პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა შეიცვლება, განვითარდება და სრულყოფილი გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მისი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ფართოდ აღინიშნა იმ წარმატებების შესახებ, რომელსაც ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიაღწია 1965—1977 წლებში. კერძოდ, აღინიშნა დიდი წარმატებების შესახებ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, ქიმიზაციის, მელიორაციისა და სხვა სფეროში, მარცვლეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, ბოსტნეულისა და სხვათა წარმოების გადიდების დარგში. გულახდილი საუბარი იყო აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დაძლეული და აფერხებენ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამ პლენუმზე ძირითად მონახაზებში საუბარი იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მძლავრ განვითარებას 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების განუხრელმა ზრდამ. მაგ., თუ მეშვიდე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში მთელი კაპიტალური დაბანდების 20%-ს შეადგენდა, მერვე ხუთწლედში შეადგინა 23, მეცხრე ხუთწლედში—26, ხოლო მეათე ხუთწლედში 27%-ს გადააჭარბებს. სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების განუხრელი ზრდა და მისი ეფექტურად გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას გავანალიზებთ მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის მაჩვენებლების მიხედვით დაინახავთ, რომ დარგი აღმავლობის გზაზეა. შედარებით ნელი, მაგრამ მყარი ნაბიჯებით მივდივართ წინ ახალ-ახალი მწვერვალების დასაპყრობად. მაგ., თუ 1965 წელს ტრაქტორების, მარცვლეულის ასაღები კომბაინების და სატვირთო ავტომობილების რიცხვი ათასებში თანმიმდევრულად უდრიდა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში 1613, 520 და 945, 1970 წელს შეადგინა 1977, 623 და 1136, 1975 წ.—2336, 680 და 1396 ათასი ცალი. მეათე ხუთწლედის პირველ წელს (1976) კი 2410, 700

და 1446, ხოლო ამავე ხუთწლედის მეორე წელს (1977)—2470, 692 და 1513 ათასი ცალი [3].

ამავე წლებში ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიიღო პირობითი რეზერვები უღებში გადაყვანით მეტად დიდი ოდენობის მინერალური სასუქების გამოყენებით. 1965 წ. იგი უდრიდა 27066 ათას ტონას, 1970 წ. შეადგინა 45646 ათასი ტ, 1975 წ.—75718 ათასი ტ, 1976 წ.—77732 ათასი ტ, ხოლო 1977 წ.—79762 ათასი ტ. ამრიგად, 1965—1977 წლებში სოფლის მეურნეობისადმი მინერალური სასუქების მოწოდება 2,9-ჯერ გაიზარდა.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებამ 1977 წლისათვის შეადგინა 183 მლრდ მანეთი და 2,8-ჯერ გადააჭარბა 1965 წლის დონეს. 1965—1977 წლებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ენერგეტიკული სიმძლავრენი 232 მლნ. ცხენის ძალიდან 525 მლნ. ცხენის ძალამდე გაიზარდა, ხოლო ერთი მუშაკის შრომის ენერგოაღჭურვილობა საზოგადოებრივ საწარმოებში 2,5-ჯერ გაიზარდა.

1965—1977 წლებში გაორჯეცდა სარწყავი და ამომრობილი მიწების ფართობი და მიიღწია 27 მლნ. ჰა-ს. გათვალისწინებულია მეათე ხუთწლედში მელიორაციას დაახლოებით 40 მლრდ მანეთი მოხმარდეს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 1965—1977 წლებში სოფლის მეურნეობის კადრებით უზრუნველყოფა. ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეში თავის მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს. დღეს საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 93,5% და საბჭოთა მეურნეობის დირექტორთა 98,3% უმაღლესი და საშუალო განათლება აქვთ. სოფლის მეურნეობაში დღეისათვის მუშაობს 1600 ათასზე მეტი სპეციალისტი, მექანიზატორთა რიცხვი 4225 ათასამდე გაიზარდა. ამ ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 1977 წელს ერთ მუშაკზე გაანგარიშებით შრომის ნაყოფიერებამ შეადგინა 169% 1965 წლის დონესთან შედარებით, რაც წელიწადში 16 მილიონი კაცის შრომის დაზოგვის ტოლფასია.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1971—1977 წლებში გაიზარდა 116 მლრდ. მანეთამდე, მაშინ როდესაც მარტის პლენუმის წინა პერიოდში მხოლოდ 81,4 მლრდ. მანეთს უდრიდა. ძალზე დიდი მოცულობით გაიზარდა მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის და სხვათა წარმოება და საპექტარო მოსავლიანობა. მაგ., 1959—1965 წლებში მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით შეადგენდა 128,1 მლნ. ტონას, ხოლო საპექტარო მოსავლიანობა 10,3 ცენტნერს. მაშინ როდესაც 1971—1977 წლებში მარცვლეულის საშუალო-წლიურმა წარმოებამ შეადგინა 189,6 ათასი ტონა, ხოლო საპექტარო მოსავლიანობამ 15,1 ცენტნერი. ანალოგიური სურათია ბამბისა და შაქრის ჭარხლის წარმოება-

ში. მართალია, ჯერ კიდევ არ არის დაძლეული საბჭოთა მოსახლეობის ხორცი და ხორცის პროდუქტებით მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებები, მაგრამ ამ დარგშიც მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მს. თუ ხორცის საშუალო-წლიური წარმოება 1959—1965 წლებში მხოლოდ 9,2 მლნ. ტონას შეადგენდა, 1971—1977 წლებში მან 14 მლნ. ტონას მიაღწია.

სკკპ აგრარული პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მარცვლეულის წარმოების გადიდება. ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოგონებაში „ყამირი“ სრულიად სამართლიანად აღნიშნა: თუ პური არის—მრავალჯამიერიც იქნებაო, რომ პური კვლავ პურობს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა კვლავ მარცვლეულის წარმოების გადიდებაზე გამახვილა ყურადღება. ამ უკანასკნელის წარმოების გადიდებაზე უშუალოდაა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. პლენუმის მასალების მიხედვით გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლეულში (1981—1985) მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება ავიყვანოთ 238 — 243 მლნ. ტონამდე, ხოლო მეთორმეტე ხუთწლეულის ბოლოსათვის— 1990 წ. ბოლოსათვის მისი წარმოება 1 სულ მოსახლეზე 1 ტონამდე უნდა გავზარდოთ. გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლეულში ხორცის წარმოება 19,5 მლნ. ტონამდე ავიყვანოთ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს ყველაზე ძვირფასი სასურსათო პროდუქტების წარმოება და მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ისე გავზარდოთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლეულის დამლევისათვის მივუახლოვდეთ მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს.

ამ დიადი ამოცანის გადაწყვეტა სოფლის მეურნეობაში კვლავ კაპიტალური დაბანდებების გადიდებას მოითხოვს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის შემდგომი მძლავრი განვითარება. გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლეულში (1981—1985) სოფლის მეურნეობას მივაწოდოთ 135—140 მლნ. ტ. მინერალური სასუქი.

1978 წლის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცხოველეობის, მებოსტნეობისა და მეკარტოფილეობის განვითარებას. ამ დარგთა განვითარების მიზნით დაისახა კონკრეტული ღონისძიებები: მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განსამტკიცებლად, საცალო ფასების შეცვლის გარეშე, 1979 წლის 1 იანვრიდან რძის, მატყლის, კარაკულის, ცხვრის ხორცის, კარტოფილის, ცალკეული სახეობის ბოსტნეულის შესასყიდი ფასების გადიდება. მარტო ეს ღონისძიება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შემოსავალს წელიწადში 3 მლრდ. 200 მლნ. მანეთამდე გააძლიერებს. ამასთან ერთად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვის საგან თავისუფლდება ის კოლმეურნეობები, რომელთა რენტაბელობა 25%-ზე ნაკლებია. სახელმწიფომ 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე კოლმეურნეობებს ჩამოაწერა 7 მლრდ. 300 მლნ.



მანეთის სესხი, ხოლო 4 მლრდ. მანეთის დაფარვის ვადა განევალოთ 12 წლით. გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედში კოლწევრთა მუშა-მოსამსახურეთა პენსიების დონის გათანაბრება. ამასთან ერთად შენელოვნად დაუახლოვდება ერთმანეთს შრომის ანაზღაურების დონე მეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა ეკონომიკის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის საქმეში ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლებში მყარ გეგმებთან ერთად ადგენდნენ სხვადასხვა დამატებით დავალებებს. გაჩნდა მრავალი სხვადასხვა გეგმა. აქა-იქ დამკვიდრდა მათი ხშირი და უსაფუძვლო შეცვლის პრაქტიკა. ყოველივე ეს ამცირებდა დაგეგმვის მნიშვნელობას. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გათვალისწინებულია ახალ ხუთწლედში ჩვეყნის ცალკეულ რეგიონებს დაუწესდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ერთიანი ხუთწლიანი გეგმა ცალკეული წლების მიხედვით.

პლენუმზე სპეციალური მსჯელობის საგანი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხები, რომლის შესახებ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება 1976 წლის მაისში. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოქმედებს 8 ათასზე მეტი სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმო და გაერთიანება. ეს ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, რომლებიც უკვე იძლევიან დიდხალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ამ გაერთიანებებში შრომის ნაყოფიერება და წარმოების ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სკკპ თანამედროვე აგრარული პოლიტიკა ემყარება რა ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პრინციპებს, დიდ ყურადღებას უთმობს სასოფლო მშენებლობის, სოფლის კეთილმოწყობის საკითხებს. უკვე შექმნილია სპეციალიზებული სახელმწიფო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებულია საბჭოთა კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროში. მძლავრი განვითარება მიიღო აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა სისტემაში. ამ უკანასკნელმა ფართო განვითარება მიიღო საქართველოში. მათი მუშაობა ხასიათდება დადებითი შედეგებით. ბოლო ათი წლის მანძილზე სასოფლო მშენებლობას საბჭოთა კავშირში მოხმარდა 16 მლრდ. მანეთი. დღეს სოფლის ობიექტების მშენებლობაზე 3 მილიონამდე მშენებელი მუშა მუშაობს. სასოფლო მშენებლობისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები წელიწადში უკვე 10 მლრდ. მანეთისაზე მეტი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს ასრულებენ. ბოლო 13 წლის განმავლობაში სოფლად აშენდა 450 მლნ. კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საბინაო მშენებლობა სოფლად სულ უფრო ფართოდ გადადის ინდუსტრიულ ბაზაზე. ფართოვდება როგორც ინდივი-

დუალური, ისე კოოპერაციული მშენებლობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში აზ. ლ. ბრეჟნევის მიერ მითითებულია, რომ დღეს სასოფლო მშენებლობაში უნდა ისახავდეს ოჯახების უზრუნველყოფას იზოლირებულ, კეთილმოწყობილი სახლებით, რომლებსაც ექნებათ საკარმიდამო ნაკვეთები და ეზოს ნაგებობანი შინაური პირუტყვის, ფრინველისა და სატრანსპორტ საშუალებებისათვის. საერთო მშენებლობასთან ერთად პლენუმზე დიდ ადგილი დაეთმო სოფლად საგზაო მშენებლობის საკითხებსაც, რომელი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის დიდა აგრეთვე სოფლად ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის თებერვლის პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის საკითხებზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ამ პლენუმზე შეჯამდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები 1965 წლის მარტის პლენუმის შემდგომ პერიოდში და აღინიშნა იმ ნაკლოვანებების შესახებაც, რომლებიც ჯერ კიდევ არაა დაძლეული ამ სფეროში.

სკკპ თანამედროვე აგრარული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში გაცილებით მეტ სიძნელებთანაა დაკავშირებული, ვიდრე მთელი რიგ სხვა რესპუბლიკებში. ამ უკანასკნელის მიზეზია საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალდარგიანობა და სხვა, რომლებიც მეტისმეტად აფერხებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყვანას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მელიორაციას, სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას.

სკკპ თანამედროვე აგრარული პოლიტიკა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შემოქმედებითად გამოყენებას მოითხოვს.

ლიტერატურა — Литература

1. ვ. ი. ლენინი, საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა, ტ. 33, 1953, გვ. 196.
2. ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, თბილისი, 1965, გვ. 33.
3. ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, თბილისი, 1978, გვ. 4.
4. СССР в цифрах в 1977 году. М., 1978, стр. 137.



УДК 631 . 116 : 636

პ. გომიგაძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა
საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში

60 წლის განმავლობაში საბჭოთა ქვეყანამ გადალახა რა საუკუნეებრივი ჩამორჩენილობა, გადადგა გიგანტური ნაბიჯი ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე.

საბჭოთა კავშირში აშენებულა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომლის ეკონომიკაც წარმოადგენს ერთიან, მძლავრ სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ვითარდება სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

პარტიის XXV ყრილობის მიერ განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის აღმავლობის მთავარი გზები. მათ ეკუთვნით სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაცია და თანმიმდევრული ინდუსტრიალიზაცია კომპლექსური მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის და წარმოების ავტომატიზაციის გაფართოების, ქიმიზაციისა და მელიორაციის განვითარების შედეგად; წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი გაღრმავება სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე; სოფლის მეურნეობის მმართველობის გაუმჯობესება და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების მთელი სისტემის სრულყოფა.

სკკპ XXV ყრილობაზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად იქნა აღიარებული. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა: „პარტია სახავს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ მიზანს. პირველი—მივაღწიოთ ქვეყნის საიმედო მომარაგებას სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ამისათვის ყოველთვის გვექონდეს საკმარის რეზერვები, და მეორე—სულ უფრო წინ ვიაროთ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაახლოების გზით, რაც ჩვენი საპროგრამო მოთხო-

ენაა“ [1]. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს ისეთი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნას, რომელიც იქნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევითა დონეზე და ექნება ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური საძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ძალების მაღალეფექტიან ფუნქციონირებას და საბჭოთა სოფლის სოციალურ პროგრესს.

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, რომელიც შემუშავებული იქნა სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ და განვითარებული იქნა შემდგომში პარტიის ცკ-ის პლენუმებისა და პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებებში წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში ლენინური სტრატეგიის და ტაქტიკის განხორციელების ახალ ეტაპს. ეს პოლიტიკა ემყარება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ბაზისს და მიმართულია კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივი წყობის განმტკიცებისაკენ.

პარტიის მიერ წამოყენებულია გრძელვადიანი მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალური ღონისძიებები კომპლექსური ღონისძიებების პროგრამა.

საწარმოო ეკონომიკური ბაზა და სოციალური წინამძღვრები ახალ გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად მომზადებულია პარტიის პოლიტიკით, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური გარდაქმნებით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით. განვითარებული სოციალიზმის პირობებში აგრარული სექტორი შევიდა თავისი მაღალდინამიკური განვითარების სტადიაში. კონკრეტულად ეს გამოიხატება საწარმოო ფონდების ზრდაში, უპირველესად ყოვლისა, მოწინავე ტექნიკის ხარჯზე, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სამუშაო პროცესის კომპლექსურ მექანიზაციას, ბევრი საწარმოო პროცესის ელექტრიფიკაციას და ავტომატიზაციას, სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოშეიარაღებას, მიწების მელიორაციას, ქიმიზაციას. სკკპ აგრარული პოლიტიკის ამ მიმართულებების რეალიზაციის ტემპებსა და მასშტაბებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მეთავე ხუთწლედში სოფლის მეურნეობასათვის გამოყოფილია 1717 მლრდ. მანეთი, ე. ი. 41 მლრდ. მანეთით მეტი, ვიდრე იყო გასულ ხუთწლედში.

სკკპ ცკ მარტისა და შემდგომ პლენუმებზე გამოქვეყნებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღონისძიებები. მათმა რეალიზაციამ საშუალება მისცა მეურნეობებს დიდი თანხა გამოეყოს ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებისა და მოდერნიზაციისათვის, ახალი დარგების განვითარებისათვის, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების ფონდების გადიდებისა და სოციალურ-კულტურული ფონდების გაზრდისათვის. თუ 1965 წელს კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 4,9 მლრდ. მანეთს, 1977 წ. მან შე-

ადგინა 11,3 მლრდ. მან., თუმცა კოლმეურნეობათა რიცხვი ამ წლებში შემცირდა ერთი მეოთხედით. ამავე პერიოდში კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურება ერთ გამომუშავებულ კაცულზე გაანგარიშებით გაიზარდა 1,8-ჯერ.

სკკპ აგრარული პოლიტიკა გამიზნულია სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ, კოლმეურნეობების შემოსავლისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა გამომუშავების დაახლოებისაკენ, მრეწველობაში მატერიალური წარმოების სხვა სფეროში და სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების გამოთანაბრებისაკენ. ასეთი გამოთანაბრების მიზანია სახალხო მეურნეობაში შრომითი რესურსების სწორი გადაწილება, მათი გეგმაზომიერი გამოყენება.

სოფლის საწარმოო ძალების განვითარებისათვის პარტიის კურსის პრაქტიკული რეალიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური საკითხების გადაწყვეტასთან. სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ პერიოდში მოხდა კოლმეურნეობებში გადასვლა შრომაძლიდან გარანტირებული შრომის ანაზღაურებაზე, ამაღლდა საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურება, შემოღებულია კოლმეურნეობების პენსიით უზრუნველყოფა, მნიშვნელოვნად იკლებდა კაპიტალურ დაბანდებაში სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი სახსრების ხვედრითი წონა.

საწარმოო ძალების განვითარებაში ხარისხობრივმა ცვლილებებმა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესების გაძლიერება გამოიწვია. საკოლმეურნეო-საბჭოთამეურნეობრივი წყობის განვითარების დასაწყისში წარმოების კონცენტრაციას თან ახლდა ქვეყნის მსხვილი ზონებისა და რეგიონების სპეციალიზაცია.

ყველაზე მეტად დამახასიათებელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი წარმოების მიზანშეწონილ სტრუქტურას ამ პერიოდში წარმოადგენდა მსხვილდარგოვანი მეურნეობა. ასეთი სტრუქტურა გამომდინარეობდა საწარმოო ძალების მაშინდელი მდგომარეობიდან.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში მემცენარეობის და მეცხოველეობის ბევრი დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის დროს შეიქმნა კარგი პირობები საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გაღრმავებით პარტიამ აქტიურად შეუწყო ხელი ამ შესაძლებლობების გახსნას— მიუთითა მრავალდარგოვანი წარმოებიდან სპეციალიზებული წარმოებისაკენ—დაფუძნებულს მანქანურ ტექნოლოგიასა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე. თეორიული დასაბუთება ამ მეცნიერული რეკომენდაციებისა და პრაქტიკული ღონისძიებები მათი ცხოვრებაში გასატარებლად მოცემულია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში „სამეურნეობათა შორისო კოოპერა-

ციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ [4].

სოფლად პროგრესული სამეურნეო სისტემის წარმატებით განვითარება, ფართო საწარმოო კოოპერაცია, მიწათმოქმედების შერწყმა მრეწველობასთან, მეცნიერებისა წარმოებასთან, განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური შედეგები ამ ღრმა პროცესებისა იძლევა სრულ საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის აგრარული სექტორი შევიდა საწარმოო სტრუქტურის ახალი რევოლუციური გარდაქმნების პერიოდში, სპეციალიზებულ წარმოებაზე გადასვლაში, ორგანიზაციული ფორმების საფუძვლიან გაუმჯობესებასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში.

ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტემპები, გადიდდა დამზადების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, ამალდა სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობა.

სკკპ ცკ-ის 1978 წ ივლისის პლენუმზე მოტანილი იყო დამაჯერებელი მონაცემები ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდაზე.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე აღინიშნა, უკანასკნელ წლებში სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებასთან ერთად, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეთე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში: რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა ორი წლის გეგმა 3,75%-ის გადაჭარბებით შეასრულეს, წარმოების ზრდამ კი დაგეგმილი 19,2%-ის ნაცვლად 23,6%-ს მიაღწია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება თვალსაჩინოდ გამოვლინდა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საერთო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელში. 1977 წელს, 1965 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარი მილიონით გაზრდის გამო, ერთ



სულზე განგარიშებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1,5-ჯერ გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის რეკორდული ტუტყვის პროდუქტიულობის ზრდამ უზრუნველყო საზოგადოებრივი ურნეობების საერთო შემოსავლის გადიდება. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში 1977 წელს 1965 წელთან შედარებით 73%-ით გაიზარდა.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ წარმოების კონცენტრაცია დიდ გავლენას ახდენს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაზე და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, გამოყენებაზე, მაგრამ მოითხოვს, როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს: „პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დიდ ყურადღებას და დახმარებას, მეცნიერულ ანალიზს, დიფერენცირებულ მიდგომას და ეტაპობრივ გადაწყვეტას. მით უმეტეს, რომ ჩვენი პირობები მეტად სხვადასხვაგვარია და არა მარტო ქვეყნის ზონებში, არამედ ცალკეულ ოლქებში, ზოგჯერ კი რაიონებშიც. მინდა განსაკუთრებით გავაფრხილო ყველა ამხანაგი, ვინც პასუხისმგებელი ამ საქმისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, რომ აქ შეუწყნარებელია აჩქარება, ხელოვნური წაბიძგება, მითუმეტეს გადახტომები. რაციონალურად, წიგნიერად უნდა ვაწარმოოთ საქმე. ძირითად სახეობათა სასაქონლო პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სრულიადაც არ მოითხოვს, რომ თითოეულმა მეურნეობამ შეკვეცოს ის დარგები, რომელთა პროდუქცია საჭიროა შიდასამეურნეო მოხმარებისა თუ ვთქვათ ადგილობრივ ბაზარზე გატანისათვის“ [4].

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების კურსის არსი, რომელიც ნათლად არის ჩანოყალიბებული ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს რაც შეიძლება სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის თავისებურებები, რომლებიც დანახასიათებელია ამა თუ იმ ეკონომიკური ზონისათვის.

ამ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისათვის, სადაც გვხვდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული საწარმოო ზონები. ბუნებრივი საწარმოო პირობების თვალსაზრისით განსაკუთრებით მკვეთრი განსხვავება არსებობს მთისა და ბარის საწარმოო ზონებს შორის.

მთის საწარმოო რეგიონების ჩამორჩენილობა მსოფლიო-ისტორიული მოვლენაა. იგი გაპირობებულია როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებით (ხრამების, მთების, ტყეების და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა), ასევე სამეურნეო საქმიანობის შედეგებითაც. მთიან რაიონებში ჯერ კიდევ საგრძნობია უგზოობა, საკმარისი რაოდენობით არ არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაამუშავებელი სამრეწველო საწარმოები. მკვეთრ

ამაღლებას მოითხოვს სოფლის მეურნეობაში მელიორაციის გამოყენება ელექტრიფიკაციის, მექანიზაციის დონე, საკურორტო მუშაობების მოსახლეობა მცირე რაოდენობითაა, სამუშაოთა უდიდეს ნაწილს იძლეობს ხელით ან ხელის ინვენტარით, რის შედეგადაც დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, წარმოებული პროდუქციის ეკონომიკური ეფექტიანობა.

საქართველოს სსრ დასავლეთ კავკასიონის მეცხოველეობის ზონის დამახასიათებელი ბუნებრივ-ეკონომიკური ნიშნები მოცემული აქვს გ. გველესიანს: ა) სასარგებლო სამიწათმოქმედო ფართობის სიმცირე; ბ) დაბუნებულ ფართობთა მცირე კონტურიანობა. ტერიტორიული დაქსაქსულობა და დიდი დახრილობა; გ) ნძიმე კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების გამო კულტურათა მცირე მოსავლიანობა და სასაქონლო პროდუქციის სიმცირე; დ) სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის სიძნელე და შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე; ე) სოფლის მეურნეობიდან მცირე შემოსავლიანობა და ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის შედარებით დაბალი დონე; ვ) მრეწველობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები; ზ) საგზაო კომუნიკაციების შექმნის სიძნელეები; თ) მატერიალური წარმოების სფეროს შეზღუდულობის გამო მოსახლეობის შრომითი რესურსების სუსტად გამოყენება და ამასთან დაკავშირებით ნაწილობრივ მოსახლეობის მიგრაცია“ [6].

საკვლევ რეგიონში საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილია მხოლოდ სპეციალიზებული მსხვილი რქოსანი მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებით. მეურნეობათა საწარმოო მიმართულების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თავისებური სტრუქტურა, საზაფხულო საძოვრების დიდი მასივების არსებობა.

ცხრილი 1

ზონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა 0/0-ში 1977 წ. 1 იანვრისათვის

რაიონები	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	სტრუქტურა			
		სახნავი	მრავალწლ. ნარგავები	სათიბი	საძოვარი
მესტია	100,0	1,08	0,12	8,60	90,20
ლენტეხი	100,0	3,36	0,68	15,74	80,22
ონი	100,0	2,86	0,82	32,60	60,72
სულ ზონაში	100,0	2,10	0,41	16,39	81,10



როგორც 1-ელი ცხრილიდან ჩანს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულე ბის სტრუქტურაში შეიმჩნევა სახნავი მიწებისა და მრავალწლიანი მცენარეების დაბალი ხვედრითი წონა. აღსანიშნავია შემდეგი თავისებურებები: მცხოვრელობის საკვები ბაზა აქ წარმოდგენილია საზაფხულო საძოვრებითა და სათიბებით, რაც შეეხება საკვები კულტურების ნათეს ფართობებს, მესტიის რაიონში ნათესების აღნიშნული კატეგორია წარმოდგენილია 700,9 ჰა-ით, ლენტეხის რაიონში—502 ჰა-ით, ონის რაიონში—536 ჰა-ით. საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე საკვები კულტურების ნათესი შეადგენს შესაბამისად ჩამოთვლილ რაიონებში 116,8, 167,3 და 116,8 ჰა-ს. აღსანიშნავია მეორე გარემოებაც, ზამთრის საძოვრები ზონაში სრულებით არ მოიპოვება, რაც მსხვილი რქოსანი მესაქონლეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია.

ზონის საზოგადოებრივი მეურნეობების სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურა ასეთ სურათს იძლევა: მსხვილ რქოსან მესაქონლეობაზე მოდის სასაქონლო პროდუქციის 85,5%, მარცვლეულზე—2,9, კარტოფილზე—4,1.

მსხვილი რქოსანი მესაქონლეობა წარმოადგენს საზოგადოებრივი მეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროს და ზონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად რეზერვს. ამიტომ მომავალშიც ამ დარგს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, როგორც საწარმოთა პერსპექტიული სპეციალიზაციის მთავარ მიმართულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების მოქმედება იწვევს რესპუბლიკის სხვა რეგიონებთან შედარებით საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დაბალ დონეს.

ზონის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორალური მაჩვენებლების შედარება რესპუბლიკურ და საკავშირო მაჩვენებლებთან ამჟღავნებს მკვეთრ სხვაობას მაჩვენებლებს შორის.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საანალიზო რეგიონის ფაქტიური მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება რესპუბლიკურ და საკავშირო მაჩვენებლებს. აქ საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება—აღნიშნული ზონის საბჭოთა მეურნეობები შეიქმნა, ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე: მესტიის რაიონში 1975 წლიდან, ონისა და ლენტეხის რაიონში 1976 წლიდან. მესტიის რაიონში 1975 წელს არსებული 14 კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა 7 საბჭოთა მეურნეობა. ლენტეხის რაიონში არსებული 8 კოლმეურნეობის ბაზაზე 3 საბჭოთა მეურნეობა, ონის რაიონში—20 კოლმეურნეობის ბაზაზე 3 საბჭოთა მეურნეობა. ამჟამად საბჭოთა მეურნეობები ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებით ხასიათდებიან, რაც ასახავს პოულობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებში. ზონის საშუალო მაჩვენებლები მიუთითებენ ინტენ-

ქ. მარტოს საბ. საქ. სსრ
სახელმწიფო სტატისტიკა
ზოგადი ინფორმაცია

სიურობის დაბალ დონეზე. რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მეურნეობის შედეგობრივ მაჩვენებლებზე. 1976 წელს ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მიღებული იქნა 583,2 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქტი, რაც როდესაც რესპუბლიკური მაჩვენებელი შეადგენდა 1,19 მლნ მანეთს. საკავშირო მაჩვენებელი 2,02 მლნ მანეთს. დაბალი იყო მარცვლეულის და კარტოფილის მოსავლიანობა, ზონაში საშუალოდ შეადგენდა მარცვლეულის მოსავლიანობა 8,2, კარტოფილისა—23,3 ც-ს. ძროხის წველადობა 1976 წელს შეადგენდა მხოლოდ 861,7 კგ-ს, მაშინ როდესაც რესპუბლიკაში ის უდრიდა 1556 კგ-ს, ხოლო საშუალო-საკავშირო მაჩვენებელი—2270 კგ-ს.

1976 წელს მიღებული იქნა მთლიანი პროდუქცია: ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 2641,8 მან., ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე 453,4 მან., ერთ კაცდღეზე 3,46 მან., მთლიანი შემოსავალი: 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1210 მან. ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველ 100 მანეთზე 14,6, ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე 196,8, ერთ კაცდღეზე—1,42 მან. ჩამოთვლილი მაჩვენებლებით ზონის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ბევრად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურს.

ზონის საშუალო მაჩვენებლებით დაფარულია ცალკეულ საბჭოთა მეურნეობაში უკიდურესად დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგ., ლენტეხის რაიონის ჩალაურის საბჭოთა მეურნეობაში ძროხის საშუალო-წლიური წველადობა შეადგენდა 554 კგ-ს, ლენტეხის საბჭოთა მეურნეობაში—597 კგ-ს.

როგორც ზონის, ასევე ცალკეული რაიონისა და საბჭოთა მეურნეობის ისეთი შედეგობრივი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა 1 ც პროდუქციის თვითღირებულება და შრომის პირდაპირი დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე ბევრად ჩამორჩებოდა საშუალო-რესპუბლიკურ და საკავშირო მაჩვენებლებს. 1976 წელს ზონის 12-მა საბჭოთა მეურნეობამ ზარალით დაამთავრა წლიური სამეურნეო საქმიანობა. მხოლოდ ხაიშის საბჭოთა მეურნეობაში (დამხმარე საწარმოთა რენტაბელური საქმიანობის შედეგად) მიღებული იქნა მოგება 309111 ათასი მანეთის რაოდენობით. მაგრამ ამ საწარმოში როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება არარენტაბელური იყო. აქვე გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება მთის რაიონებში კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებზე მასობრივი გარდაქმნის თაობაზე. (შედარებით ფართოდ ეს მოსაზრება გამოთქმული გვაქვს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში ტ. X. თბ., 1978. გვ. 112-112).

გაუმართლებლად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად კოლმეურნეობათა მასობრივი გარდაქმნა საბჭოთა მეურნეობებზე. აღნიშნულ გარდაქმნებს აქვთ აშკარა გამართლება



რესპუბლიკის ბევრ რეგიონში, მხარებში მთიან რაიონებში ამ დონის დონის არ ახლდა შესაბამისი ეკონომიკური ეფექტი.

კომუნისმისაკენ წინსვლა ნიშნავს არა კოოპერაციული ფორმის ლას მეურნეობის სხვა ფორმით, არამედ კოლმეურნეობის ეკონომიკის ყოველმხრივ განვითარებას და აღმავლობას საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად. ე. ი. პრობლემა დაიყვანება ეკონომიკურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ეკონომიკის ამაღლების აუცილებლობაში წარმოების სპეციალიზაციისა და ინტენსიფიკაციის, კოლმეურნეობების მატერიალური სტიმულირების პრინციპის განუხრებელ გატარებაში.

სოფლის მეურნეობაში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება, იმის შესახებ, რომ „მიწათმოქმედება კალუგის გუბერნიაში სხვაა, ვიდრე ყაზანის გუბერნიაში... ყველა ამ საკითხში ადგილობრივ განსხვავებათა გაუთვალისწინებლობა იქნებოდა ბიუროკრატიზმის ცენტრალიზმში გადავარდნა და სხვა, იქნებოდა ხელის შეშლა ადგილობრივი მუშაკებისათვის ადგილობრივ განსხვავებათა იმ გათვალისწინებაში, რაც გონიერი მუშაობის საფუძველია“. [ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 428],

ვ. ი. ლენინის აღნიშნული დებულება ნათლად გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობაში ადგილობრივი-ბუნებრივი პირობების განსხვავების მხედველობაში მიღება უნდა წარმოადგენდეს პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების საფუძველთა საფუძველს.

აღნიშნულ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლება. იგი ამჟამად ხორციელდება. ქვეყნის მასშტაბით განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში. ამჟამად კონცენტრაციის პროცესი ხორციელდება სამეურნეობათა შორის გაერთიანებებით, რომელიც შეესაბამება წარმოების ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს. მსხვილი ინდუსტრიული წარმოების შექმნა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების რესურსების გაერთიანების საფუძველზე ეს არის ხარისხობრივად ახალი ეტაპი ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელების საქმეში.

რესპუბლიკის ამ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის პროცესი თან დაემთხვა კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად მასობრივად გარდაქმნას. წარმოების ცენტრალიზაციის და კონცენტრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე აღნიშნული პროცესი ეკონომიკურად გამართლებულია თუ გათვალისწინებული იქნება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალურ სიდიდემდე დაყვანის აუცილებლობა.

1975 წლამდე რესპუბლიკის მთის რაიონების კოლმეურნეობებში გამსხვილება ნიშნავდა ინტენსიფიკაციისა და წარმოების ცენტრალიზაციის გზით, ამაზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები: 1965 წელს მესტიის რაიონში კოლმეურნეობების რაოდენობა 17-ს უდრიდა, ლენტეხის რაიონში 14-ს, ონის რაიონში 35-ს. ერთ კოლმეურნეობაზე მესტიის რაიონში

საშუალოდ მოდიოდა 179 საკოლმეურნეო კომლი, 2800 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 125 ათას მან. ღირებულების წარმოების ძირითადი საშუალებები, 470 სული შახვილი რქოსანი პირუტყვი 58 ათასი მანეთის ღირებულების საერთო პროდუქცია. ლენტეხის რაიონში იგივე მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 182 კომლს, 2580 ჰა-ს, 18 ათას მანეთს, 452—სულს, 78 ათას მანეთს. ონის რაიონში—126 კომლს, 830 ჰა-ს, 112 ათას მანეთს, 302 სულს, 42 ათას მანეთს.

1974 წლისათვის გამსხვილების შედეგად კოლმეურნეობების რიცხვი შემცირდა მესტიის რაიონში 14-მდე, ლენტეხის რაიონში—12-მდე, ონის რაიონში 21-მდე. შესაბამისად გაიზარდა საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოსული ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზრდა ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლებისა, როგორც არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ღირებულება და მთლიანი პროდუქციის ღირებულება. მესტიის რაიონში ეს მაჩვენებლები უდრიდა 208 ათას და 70,2 ათას მანეთს. ლენტეხის რაიონში 265 და 69,3, ონის რაიონში 259 და 60 ათას მანეთს.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ კოლმეურნეობებში ფონდშიარაღებას და ფონდურზრუნველყოფის ზრდას არ შეესაბამებოდა მთლიანი პროდუქციის ღირებულების შესაბამისი ზრდა, რაც შეიძლება აიხსნას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის უმნიშვნელო გადიდებით. ამასთან ერთად ადგილი ჰქონდა მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. აღნიშნულ ტენდენციას ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის შემდეგაც. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პროდუქციის თვითღირებულების ზრდას ადგილი აქვს ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც, როცა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე შრომის ნაყოფიერების ზრდასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული გარემოება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას შრომის პირდაპირი დანახარჯების არასწორი აღრიცხვით. მაგრამ ასეთი ნაწილობრივი დამახინჯების მიუხედავად ის არ ცვლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდის ტენდენციას, რაც ქვეყნის მასშტაბითაც იყო აღნიშნული გამოჩენილი საბჭოთა აგრაროკოს-ეკონომისტების მიერ.

როგორც მთელი ქვეყნის, ასევე რესპუბლიკის და მთიანი რაიონების მასშტაბითაც შრომითი დანახარჯების შემცირება გამოწვეული იყო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებით. რაც შეეხება წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, ეს არის ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორების მოქმედების შედეგი. აქ უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. უკანასკნელ წლებში უფრო მეტად ამაღლდა სოფლის მშრომელთა შრომითი ანაზღაურების დონე (რაც სრულად გამართლებულ ეკონომიკურ ღონისძიებას წარმოად-

გენს), ვიდრე ამის საშუალებას იძლეოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. ამის შედეგად მეურნეობათა შემოსავალი, წმინდა შემოსავალი და რენტაბელობის დონე შემცირდა, რამაც გამოიწვია მეურნეობათა ზარალიანი ლიანობა.



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამაც.

უკანასკნელ წლებში საბითუმო ფასების სრულყოფასთან დაკავშირებით გაიზარდა ფასები წარმოების სამრეწველო საშუალებებზე (სათადარიგო ნაწილები, საწვავ-საცხები მასალები) „სოფლტექნიკის“ მომსახურებაზე, სარემონტო სამუშაოებზე.

მეცხოველეობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საკვები, რომლის დანახარჯებიც თითქმის 50—60% აღწევს მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში. ამ პერიოდში საკვების თვითღირებულებაც იზრდებოდა ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის თვითღირებულება, რაც დიდ გავლენას ახდენდა მეცხოველეობის ეკონომიკაზე.

მიუხედავად ჩამოთვლილი ობიექტური მიზეზებისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდა მთიან რაიონებში შეიძლება ითქვას დროებითი მოვლენაა. უახლოეს წლებში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ეფექტური ღონისძიებების გატარების შედეგად საზოგადოებრივი დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე შემცირდება. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამონახვა და სრულყოფილი გამოყენება.

მთიან რაიონებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდება და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. რა სურათი გვაქვს ამ მხრივ ზონის საბჭოთა მეურნეობრივ წარმოებაში?

1976 წლის მონაცემებით 1 ც რძის წარმოებაზე შრომის პირდაპირი დანახარჯები 8 მეურნეობაში 4,2-ჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირის საბჭოთა მეურნეობების შესაბამის მაჩვენებელს და 3,9-ჯერ შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად საჭიროა შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდა და მართვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც შესაძლებელს იკახდის შრომითი და მატერიალური საშუალებების ეფექტურ გამოყენებას.

აღნიშნულ პრობლემასთან მჭიდრო კავშირშია სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მთელი კომპლექსის განვითარება, რის არადაამაკმაყოფილებელი დონეც იწვევს მთის მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს. ამაზე ნათლად მტყველებს ა. კაცაძის მიერ მოტანილი მონაცემები.

1970 წელს 1959 წელთან შედარებით სოფლის მოსახლეობა შემცირდა—მესტიის რაიონში 11,2%-ით, ლენტეხის რაიონში 17,6%-ით, ონის რაიონში 26%-ით.

აღნიშნულ მოვლენას საგანგებო კვლევა ესაჭიროება, რის შედეგადაც უნდა დაისახოს მეცნიერულად დასაბუთებული გზები მთის სოფლისა და საერთოდ რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობისა და ახალგაზრდობის ნივთიერების პროცესების მეცნიერულად რეგულირებისათვის. ამის შესახებ ამხ. ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მითითებდა: „ჩვენ მეტად გვაფიქრებს სოფლის ახალგაზრდობის სტიქიური მიგრაციის პრობლემა. არ ისმება საკითხი ამ პროცესის სრული შეწყვეტის შესახებ. საქმე ეხება ამ პროცესის მართვას. სოფლის ახალგაზრდობის აზრებისა და მისწრაფების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი სულიერი მოთხოვნილებანი განუზომლად უსწრებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის რეალურ ზრუნვას. . . . სავსებით ცხადია, რომ ჩვენ საქმიან უნდა გადავწყვიტოთ ამ პრობლემათა რთული კომპლექსი, რომლებიც უკავშირდება სოფლად ახალგაზრდობის შენარჩუნებას, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, სოციალური მართვის პრობლემების გადაწყვეტაში პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. მუშაობა, რომელიც შედარებით ცოტა ხნის წინათ დავიწყეთ ამ მიმართულებით, ყოველნაირად უნდა განვახიზნოთ, მტკიცე მეცნიერული საფუძველი უნდა შევუქმნათ“.

როგორც საანალიზო ზონის საბჭოთა მეურნეობების წლიური ანგარიშების ანალიზი გვიჩვენებს სვანეთისა და ონის რაიონების სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობის 60—65% დასაქმებულია მემცენარეობაში. სამეურნეო წლის მანძილზე ამ დარგის მუშაკები მხოლოდ 30%-ით არიან სამუშაოთი დატვირთულნი. სავსებით მიზანშეწონილია, რომ მემცენარეობის სეზონურობის გამო დაუსაქმებელი ადამიანების შრომითი რესურსების გამოყენებას ორგანიზებული ხასიათი მიეცეს და მათი შრომითი საქმიანობა შეესაბამებოდეს საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს.

მთის მოსახლეობის დასაქმების აუცილებლობაზე სამართლიანად მიუთითებდა პროფ. ი. ლ. ჯაში ჯერ კიდევ 1964 წელს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომმა განვითარებამ და კონცენტრაციის გაღრმავებამ ხელი უნდა შეუწყოს მთის რაიონებში სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორც არის კვების, ხეტყის დამამუშავებელი მრეწველობა, სამშენებლო მასალების წარმოება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოები, საკურორტო და სატურიზმო მეურნეობის განვითარება და სხვ.

რესპუბლიკური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სათანადო კოორდინაციის შედეგად უახლოეს წლებში აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა, დადებით გავლენას მოახდენს სვანეთისა და რაჭის რაიონების სოფლის შრომითი რესურსების რაციონა-



ლურ გამოყენებაზე. ამ საქმეზე მომავალში გათვალისწინებული უნდა იქნეს სპეციფიკური თავისებურებანი, რომელიც მთის რაიონებს ახასიათებს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პარტიის XXV ყრილობის დადგენილებებში აღნიშნული მითითება, იმის შესახებ, რომ რაც უფრო დინამიკურია სახალხო მეურნეობა, მით უფრო სწრაფად იცვლება მისი დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, მით უფრო მწვავედ დგება არსებულ შრომით რესურსებთან მატერიალური წარმოებისა და არამატერიალური სფეროს განვითარების შეთანაწყობის ამოცანა, რომ 1980-იან წლებში ქვეყნის მასშტაბით შემცირდება შრომითი რესურსების ბუნებრივი მატება.

ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მთავარი რეზერვა მსხვილი რქოსანი მესაქონლეობის განვითარება. 1976 წელს ზონაში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენდა 1965 წელს—50982 სულს, 1970 წელს—48449-ს, 1976 წელს—52322-ს. სათიბ-საძოვრებით უზრუნველყოფა და მოსახლეობის 100 სულზე გაანგარიშებით პირუტყვის სულადობა ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში რესპუბლიკის სხვა რაიონების მიმართ შედარებით მაღალია, რაც მსხვილი რქოსანი მესაქონლეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის საუკეთესო რეზერვა.

მეცხოველეობის განვითარების ამოცანა პირველ რიგში უნდა გადაწყდეს საკვები ბაზის გაფართოებით და განმტკიცებით.

აღსანიშნავია, რომ თუ ქვეყნისა და ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით დაბლობი ზონის ბუნებრივ-ეკონომიკურ შესაძლებლობათა საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების ამოცანა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის მიერ ძირითადად უკვე გადაწყვეტილია, მაღალმთიანი რაიონების საწარმოო ძალების სრულად ათვისებისა და განსაკუთრებით მთის ფასდაუდებელი სიმდიდრის-ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ეფექტიანი გამოყენება ჯერ კიდევ ელის მეცნიერულ-ვაშუქებას. ამის მიზეზია როგორც პროფ. ი. ჯაში [5] სამართლიანად მიუთითებს „ის ისოტრიული ნემკვიდრეობა, რომელიც არსებობს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლის საქმეში“. ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება და აგრონომიული აზროვნება წარსულში ვითარდებოდა ბარის მიწათმოქმედების პირობებში განსაზღვრულ კანონზომიერებათა შესწავლისა და დადგენის მიმართულებით. რაც შეეხება მთიანეთის სოფლის მეურნეობას, მისი პრობლემებით შედარებით გვიან დაინტერესდა აგარარულ-ეკონომიკური მეცნიერება, როგორც ევროპასა და აშშ-ში, ასევე საბჭოთა კავშირშიც.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის კატეგორიული მოთხოვნა ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების შესახებ.

როგორც ამ ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის მთიანეთის სასო-


ფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების სისტემა უნდა ემყარებოდეს ამ მხარის რთული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ყოველმხრივ შესწავლას, აკნოლოგიის და შორეული პერსპექტივების ნეცნიერულ დასაბუთებას, მთის მონახლების საუკუნეობრივი სამეურნეო ტრადიციების, შრომითი ჩვევების გულმოდგინედ გათვალისწინებას.

ამ მიზნით განსაკუთრებული მზრუნველობის ღირსია სათიბ-საძოვრების გაადგილების სპეციფიკიდან ნაკარნახევი, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მომთაბარე მეცხოველეობისადმი შეუწინაღებელი ყურადღების გამოჩენა, ბაგური და ბაგურ-ბანაკური სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბება, საძოვრებისა და სათიბების პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლება, სათანადო წესრიგის დამყარება ბუნებრივი საკვები მოედნების გამოყენების და გაუმჯობესების საქმეში. უკანასკნელ წლებში ბევრი პრაქტიკული ღონისძიება განხორციელდა აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საანალიზო რეგიონის სათიბ-საძოვრები დასარეველიანებულია შხამიანი ბალახებისაგან. გამოძოვების არასწორი ორგანიზაციის გამო პირუტყვი ჯეგავს და თელავს ბალახს. იშლება ნიადაგი და კორდი. გაქაჩლებულ საკვებ სავარგულებზე ვითარდება ეროზიული პროცესები. ქარებისა და ყოკისპირული წვიმების გამო ადგილი აქვს ნიადაგის ფენის გამოქარვას, ნთლიან ჩამორეცხვას. ამის გამო ძლიერ მცირდება თივისა და ბალახის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. 1977 წელს ბუნებრივ სათიბებზე მოსავლიანობა შეადგენდა იფარის საბჭოთა მეურნეობაში 15,6 ც-ს, მულახის საბჭოთა მეურნეობაში—14,3 ც-ს, უშგულის საბჭოთა მეურნეობაში—8,4 ც-ს, პიბილეთის საბჭოთა მეურნეობაში—13,8 ც-ს, შეუბნის საბჭოთა მეურნეობაში—11,2 ც-ს, ლების საბჭოთა მეურნეობაში—5,8 ც-ს.

საკვების სრულყოფილად გამოყენების თვალსაზრისით სერიოზულ რეზერვად შეიძლება ჩაითვალოს ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში არსებული დიდი დაქანების მქონე მთის ფერდობების გამოყენება საზაფხულო საძოვრებად მეცხვარეობისა და მეთხეობის განვითარებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ამ ზონაში მეთხეობის და მეცხვარეობის განვითარება. მისასაღმებელია ამ მხრივ ონის რაიონის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების მიერ გადადგმული ნაბიჯები მეცხვარეობის განვითარების შესახებ.

საანალიზო ზონაში ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების სწრაფ და ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს მიწნერალური და ორგანული სასუქების გამოყენება. მოწინავე მეურნეობებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გამოცდილებით, სასუქების გამოყენების შედეგად, ბალახების მოსავლიანობა 1 ჰა-ზე შეიძლება გადიდდეს 25—30 ც-ით.

ამიტომ საჭიროა თითოეულ მეურნეობაში იქნეს შემუშავებული



ლონისძიებები სათიბებისა და საძოვრების მინერალური სასუქებით უზრუნველყოფისათვის. ჩვენს ქვეყანაში უახლოეს წლებში მინერალური სასუქების წარმოების გრანდიოზული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელს გახდის მდელოსნობის ქიმიზაციას.

ბუნებრივ საკვებ მდელოებზე მელიორაციული ღონისძიებების გატარება დიდ ეფექტს იძლევა. ამასთან დაკავშირებით უახლოეს წლებში გათვალისწინებულია გარკვეული სამუშაოების შესრულება როგორც მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციების ასევე თვით მეურნეობის ძალებით.

სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი ღონისძიებების დიდი ნაწილი შეუძლიათ შეასრულონ საბჭოთა მეურნეობებმა საკუთარი ძალებით. ამის მაგალითია ე. წ. პრინციპული სარწყავი არხების გამოყენება, რომლის საშუალებითაც მესტიის რაიონში უკვე იწყება 1049 ჰა სათიბი.

ზონაში, მომავალში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს სახორცე მეცხოველეობის განვითარებას. მსხვილი რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოების გადიდებისა და თვისობრივი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტა მესტიის, ლენტეხის და ონის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორც არის. საძოვრული და ბაგური წესით სუქება, საერთო სულადობის გადიდება და თითოეული საბჭოთა მეურნეობის თავისებურების შესაბამისად ჯოგის სტრუქტურის შექმნა, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის სრულყოფა და სახორცე ცხოველთა კონტინგენტის სამრეწველო შეჯვარების გზით მიღება.

აღსანიშნავია, რომ სუქების საქმის მოგვარებით საბჭოთა მეურნეობებში შეიძლება დასაკლავი პირუტყვის სულადობის გადიდების გარეშე ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. ჯერჯერობით, როგორც საქანალიზო მასალები გვიჩვენებს, სუქების საქმის მოუგვარებლობის გამო, ხორცის გეგმიანი ოდენობით მიღებისათვის ბევრად მეტი სულადობა ივლევა, რაც ხელს უშლის ჯოგის სტრუქტურის სრულყოფას.

საინტერესო მონაცემები ამ მხრივ მოტანილი აქვს პროფ. ს. ერქომაიშვილს [9], „ძროხის მოზარდის სულადობის (1,5—2 წლის) ბაგური შენახვის წესით 3 თვის განმავლობაში სუქების შედეგად მიღებული იქნა ცოცხალი წონის გადიდება—105 კგ (სუქების წინ 225 კგ, სუქების ბოლოს 370 კგ) ან 48%, ტანხორცის წონის (ქონის ჩათვლით) გადიდება—88,3 კგ-ით ანუ 95%. ცილის საერთო რაოდენობა გადიდდა—84,7%-ით, ხოლო ცხიმისა (ქონი უპირატესად)—407,8%-ით, სასმელად ვარგისი ქსოვილების რაოდენობა (კალორიებით გამოსახული) გადიდდა—204,6%-ით, ხოლო ნედლი ტყავის წონა 41,2%-ით.

ცნობილი ქართველი მეცნიერის მიერ მოტანილი მაგალითი აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პირუტყვის სუქების მაღალ დონეზე ჩატარე-

ბით მოკლე დროში შეიძლება ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი გაზრდა. როგორც რესპუბლიკის, ისე მთიანი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში.

უნდა უზრუნველყოფილი იქნეს პირუტყვის საბანაკო პუნქტების ბაქებში დაგროვილი ნაკელის სისტემატურად ფატანა და ფართობზე განაწილება. უმჯობესია სასუქის გამოყენება იმ ნაკვეთზე, რომელიც გასათრე მწვანე მასის მისაღებად არის განკუთვნილი.

მეტ ყურადღებას მოითხოვს საძოვრების ნაკვეთმორიგეობითი გამოყენება, როგორც პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთ საუკეთესო რეზერვი.

უნდა გატარდეს რაციონალური ღონისძიებები ნიადაგის დაცვისა და შესაბამისი სავარგულებით და კულტურებით მისი გამოყენებისათვის პირველი რიგის ამოცანად რჩება ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ყველა მასივის შესამიანი სარეველა ბალახებისა და ქვებისაგან გაწმენდა, გაქაჩლულ ფართობებზე მაღალმოსავლიანი საკვები ბალახების შეთესვა, მდელო-საძოვრიანი თესლბრუნვების მასობრივად დანერგვა.

ფართო მასშტაბით უნდა გაიშალოს გზების, წყლით მომარაგებისა, სისტემების, პირუტყვის სადგომი კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა, აგრეთვე აღჭურვა ინვენტარით, მოწყობილობითა და დანადგარებით.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მარცვლეული კულტურები და კარტოფილი. მართალია მარცვლეული კულტურების წარმოება მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი, მაგრამ ის უნდა დაექვემდებაროს მეცხოველეობის ინტერესებს. რაც შეეხება კარტოფილს, ამ მხრივ სვანეთისა და რაჭის ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელს უწყობენ მაღალი ხარისხის კარტოფილის კარგი მოსავლის მიღებას. იგი მომავალში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული არა მარტო როგორც სასურსათო კულტურა, არამედ მეცხოველეობაში და განსაკუთრებით მეორეობაში საკვებად.

უკანასკნელ წლებში მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის საკვები კულტურების ნათესი ფართობების გაზრდა ხდებოდა მარცვლისა და კარტოფილის ნათესი ფართობის ხარჯზე. ამის შედეგად 1976 წლისათვის მესტის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კარტოფილის ნათესი აღარ გვხვდება. ლენტეხის რაიონში ის შეადგენდა 105 და ონის რაიონში 161 ჰა-ს. სვანეთში კარტოფილის კულტურა მეტ ყურადღებას იმსახურებს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აქ ადგილობრივი ჯიშიც კი არის გამოყვანილი, რომელიც მეცნიერებაში „სვანური ღრმათვალას“ სახელით არის ცნობილი.

ზონაში მარცვლეულის და საკვები კულტურების მოსავლიანობა დაბალია, რაც ძირითადად უნდა აიხსნას ბუნებრივი პირობების არახელსაყრელობით. კლიმატური პირობები მკაცრია, სახნავი მიწები დაქუცმაცებული



ლი და გაბნეულია დახრილ ფერდობებზე, რის გამოც შეუძლებელი ხდება მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკურ, ღონისძიებათა გატარება და უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ გამოყენება. ჩნდება ორგანიზაციული და მინერალური სასუქების უკმარისობა.

ზემოთ აღნიშნული დამაბრკოლებელი ფაქტორების მიუხედავად ზონის სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაკები უფრო ღრმად წვდებიან საწარმოთა ეკონომიკას, სერიოზულ ღონისძიებას ატარებენ კადრების შესარჩევად და აღსაზრდელად.

ბევრი საბჭოთა მეურნეობა გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის დავალებებს. გაუმჯობესდა სახელმწიფოსთვის მიყიდული პირუტყვის კონდიცია. ხორციელდება ღონისძიებები პირუტყვისათვის მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად.

მესტია, ლენტეხი და ონი თვალსაჩინო კულტურულ კერებად იქცნენ. ამ დაბებში ზაფხულის თევებში თავს იყრის ორგანიზებული ტურიზმის ათასობით წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მომავალში დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონის გადაქცევას მაღალ განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონად და ჯანმრთელობის დაცვის კერად და ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრად.

ლიტერატურა — Литература

1. ლ. ი. ბ რ ე უ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თბ., 1976, გვ. 67.
2. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976, 22 იანვარი, გაზ. „კომუნისტი“.
3. სკკპ XXV ყრილობის მასალები. თბილისი, 1976.
4. სკკპ ცკ-ის დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. გაზ. „კომუნისტი“, 1976, 2. 06.
5. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები ტ. LXIII—LXIV, 1964, გვ. 443. ო
6. მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი (სვანეთი). „მეცნიერება“, თბილისი, 1970.

- 
7. რეკომენდაციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების შესახებ. თბილისი, 1977.
 8. სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. „მეცნიერება“, 1970.
 9. ს. ერქომაშვილი, ხორცის წარმოების გადიდების რეზერვები საქართველოში. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, გვ. 12, 1960.
 10. ნ. იაშვილი, საქართველოს სსრ მიწის ფონდი, წიგნი მეორე, თბილისი, 1975.
 11. ა. კაცაძე, საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია, „მეცნიერება“, გვ. 72. 1977.
-



ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 112. 1980.

УДК 631 . 116 . 7(47 . 93)

გ. ჭკაღლა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო და
აგროსამრეწველო ინტეგრაციის მნიშვნელოვანი თანამშრომელი
ეპოქა

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის მიერ აღებულ კურსს—სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978) პლენუმმა ხაზი გაუსვა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისათვის აქტიური მუშაობის ჩატარების აუცილებლობას, როგორც ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლის ერთ-ერთ გადამწყვეტ საფუძველს.

თუ 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელი აგრარული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, ივლისის პლენუმმა განსაზღვრა საბჭოთა სოფლის შემდგომი განვითარების მაგისტრალური გზა, რომლის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარება, რადგანაც იგი ხორცს ასხამს და კიდევ უფრო ავითარებს დიდი ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის მაისში მიღებული დადგენილებების საფუძველზე განისაზღვრა და პრაქტიკულად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კონკრეტული გეგმები. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმოები და გაერთიანებები. ეს სრულიად ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია, რომლებსაც აქვთ დიდი მომავალი, რადგანაც აქ ორგანულად ერთიანდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, შენახვა და სამრეწველო გადამუშავება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირება და ინტეგრაციის
ლევა დიდ საშუალებებს, არა მარტო წარმოების ტემპების დაჩქარების
თვის, არამედ მისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლებისათვის.
წარმოების დანახარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების
სათვის. სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სწორად
რაციონალურად გადაჭრისათვის. სწორედ აქედან გამომდინარეობს კომუნისტური
პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ესოდენ დიდი ყურადღება და
მოთხოვნა ასეთი ტიპის საწარმოების შექმნისა და განვითარების საქმეში
მეტი აქტიურობისა და გერგილიანობის გამოჩენისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978) პლენუმზე აღინიშნა
ის გარკვეული მუშაობა, რომელიც გაწეულია ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით.
თულებით. მაგრამ როგორც აღნიშნა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური
კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა—„სამეურნეობათა
თაშორისო კოოპერაცია დიდი და რთული ობიექტური პროცესია. არ შეიძლება
მისი შეფერხება ისევე, როგორც არ შეიძლება დაჩქარება. მუშაობა
უნდა მიმდინარეობდეს გეგმაზომიერად, მოფიქრებულად, სასოფლო-სამეურნეო
წარმოების ინტენსიფიკაციის სხვა ღონისძიებებთან კომპლექსურად.
ეს საქმე, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითია და ზუსტად დავიცავთ
ასეთ პრინციპს. მაგრამ ნებაყოფლობითობა და თვითღიწება ღვიძლი ძმე-
ბი კი არა, ანტიზონები არიან“¹.

როგორც ეს პლენუმზე აღინიშნა, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და
აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების
სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარებისათვის მუშაობა
ჯერ კიდევ არ არის გამოიღვივებული ყველგან ისე, როგორც ჯერ არს.
სწორედ ამ საკითხში არსებულ ნაკლოვანებებზე გაამახვილა ყურადღება
საქართველოს კომპარტიის XII პლენუმზე თავის მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძემ,
როცა აღნიშნა: „ჭიანჭურვება ისეთი საკითხის გადაწყვეტა, როგორცაა
მევენახეობისა და მეჩაიეობის აგროსამრეწველო გაერთიანების ექსპერიმენტის
წესით შექმნა. არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, არც კვების მრეწველობის
სამინისტროს პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგიათ იმისათვის, რომ
შექმნათ თუნდაც ერთი ასეთი ინტეგრირებული საწარმო სახელმწიფო
საწყისებზე . . . როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გავლენას ახდენს უწყებრივი
დაქსაქსულობის ძალა, ეს კი სერიოზული მუხრატუხია აგროსამრეწველო
ინტეგრაციისათვის მუშაობაში . . . სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის
საკითხები მუდამ უნდა იდგეს სოფლის პარტორგანიზაციათა, რაიონული, საოლქო და
რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების დღის წესრიგში“².

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალები, თბილისი, 1978, 33-45.

² გაზეთი „კომუნისტური“, 1978, 14 ივლისი.



ამჟამად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სისტემაში ირიცხება 80 ათასზე მეტი სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია), საწარმოთა გავრთიანებები. სულ კოოპერაციაში მონაწილეობს კოლმეურნეობათა 96 და საბჭოთა მეურნეობების 60 პროცენტი. ეს მასშტაბები რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აღვნიშნავთ, რომ სსრ კავშირში 1978 წლისათვის არის 27112 კოლმეურნეობა და 20066 საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობათა უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა კოოპერირებული ფორმირების წევრია. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილია და ფუნქციონირებს 275 სამეურნეობათაშორისო საწარმო (ორგანიზაცია) და გავრთიანება, სადაც გავრთიანებულია 4894 წევრი-მეურნეობა.

როგორც კავშირის, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით კოოპერირების ყველა ფორმიდან უპირატესი გავრცელება ჰპოვეს სამეურნეობათაშორისო საწარმოებმა (ორგანიზაციებმა). კავშირის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სამეურნეობათაშორისო საწარმოების, ორგანიზაციების და გავრთიანებების სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა—მეცხოველეობის დარგზე მოდის 40%, მეფრინველეობაზე—23, მემცენარეობაზე—6,7, დანარჩენი სახის გავრთიანებებზე კი 30 პროცენტზე მეტი. როგორც ვხედავთ, კოოპერირებული საწარმოების უმნიშვნელო ხვედრითი წონა მოდის მემცენარეობაზე, რაც ამ დარგის სამრეწველო საფუძველზე გადაყენის თავისებურებებით და შეზღუდულობით უნდა აიხსნას.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოთხოვს მეურნეობათა სპეციალიზაციის მიღწეული დონის ღრმა ანალიზს და მეცნიერულად დასაბუთებული დონისძიებების დასახვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მან დადებითი ეფექტის ნაცვლად შეიძლება მოგვცეს უარყოფითი შედეგები, მით უმეტეს ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პირობებში. აქვე შევნიშნავთ, რომ საწარმოთა კოოპერირების და აგროსამრეწველო ინტეგრირების დიდ შესაძლებლობებს იძლევა ჩვენი რესპუბლიკის ისეთი ძირითადი მაპროდუქციებელი დარგები, როგორცაა მეხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა და ეთერზეთოვანი კულტურები. მხოლოდ საჭირთა სწორად განისაზღვროს კონცენტრაციის დონე და აქედან გამომდინარე ასეთი ტიპის საწარმოების ოპტიმალური სიდიდე, სოფლის მეურნეობის წარმოების ზონებისა და რაიონების მიხედვით.

კოოპერირებული საწარმოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად იზრდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. თუ 1970 წელს საბაიო შენატანები შეადგენდა 800,0 მლნ. მანეთს, 1977 წელს მიაღწია 4,3 მლრდ. მანეთს. უკანასკნელ ორ წელწადში ძირითადი ფონდები გაიზარდა 1,4-ჯერ და 1978 წლის დასაწყისისათვის 3. შრომები, ტ. 112, 1980.

შეადგენდა 11,7 მილიარდ მანეთს, ძირითადი ფონდების ღირებულება 1970 წელს კი შეადგენდა 2583,0 ათას მანეთს. მომუშავეთა რიცხვი 1970 ათასი კაციდან (1970 წ.) 1978 წლისათვის გაიზარდა 1 მილიარდამდე. მათი საწარმოო საქმიანობის შედეგად 1977 წელს მიღებული იყო 1.1 მლნ. მანეთის მოგება, რომლის 24% განაწილდა წევრ-მეურნეობებს შორის. მოტანილი მონაცემები აშკარად მეტყველებენ კოოპერირებული საწარმოების და გაერთიანებების დიდ მიღწევებზე და უპირატესობებზე მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად იყოს გამოყენებული, მათი მუშაობა იყოს ნაკლოვანებებს მოკლებული. როგორც ეს პლენუმზე აღინიშნა, სოციალისტური სისტემის უპირატესობა იძლევა საშუალებას სამეურნეობათა შორისო და აგროსამრეწველო საწარმოების (ორგანიზაციების), გაერთიანებების გაცილებით მაღალ ტემპით განვითარებისათვის, მხოლოდ საჭიროა საფუძვლიანად შევისწავლოთ და შევარჩიოთ ყოველ მოცემულ დარგისათვის ყველაზე მისაღები და ყველაზე ეფექტიანი ფორმები.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, შემდგომ სრულყოფას და დახვეწას მოითხოვს კოოპერირებული და აგროსამრეწველო გაერთიანებების დეგემვის, ეკონომიკურ-ფინანსური ურთიერთობის და მმართველობის სისტემები. ჭერ კიდევ გვხვდება ბევრი მაგალითი, როცა ურთიერთობა სამეურნეობათა შორისო საწარმოებსა, გაერთიანებებსა და წევრ-მეურნეობებს შორის აგებულია არახელსაყრელი სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და დაშვებულია არაეკვივალენტური გაცვლა საქმიანობის შედეგების მიხედვით. განსაკუთრებით ეს ეხება „ცხოველმრეწვის“ სისტემის საწარმოებს ეკონომიკური ურთიერთობის არასრულყოფას ხშირ შემთხვევაში მიყვანართ იქამდე, რომ სამეურნეობათა შორისო საწარმოები, რომლებმაც მიიღწიეს სრულ საპროექტო სიმძლავრეს და განავითარეს საწარმოო ბაზა, ცდილობენ გამოეყონ წევრ-მეურნეობებს ცალკე დამოუკიდებელ საწარმოებად, რაც ეწინააღმდეგება კოოპერირების ძირითად პრინციპებს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოოპერირებას და აგრარულ-სამრეწველო კომბინირებას (მიუხედავად მათი იერარქიული დონისა) მიყვანართ ახალი საწარმოო ფორმირების (ერთეულის), ახალი ტიპის საწარმოს შექმნამდე. წარმოების ასეთი კოოპერირების და კომბინირების მიზანია ერთიანობის მიღწევა და წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების დასრულებული სახე მზა პროდუქციის სახით და შრომითი, ფინანსური და საწარმოო რესურსების კომპლექსური გამოყენება. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მსხვილი საწარმოო კომპლექსები, სადაც სოფლის მეურნეობის წარმოება ემყარება სამრეწველო საფუძველს, ხასიათდება დიდი ეკონომიკური ეფექტურობით: შრომის ნაყოფიერება იზრდება 2,5—3-ჯერ და მეტად, პროდუქციის თვითღირებულება 1,5—2-ჯერ მცირდება. მასასადამე, საქმე გვაქვს გაფართოებული კვლავწარმოების



ინტენსიური ტიპის საწარმოებთან, რაც მათი შინაარსი და ძირითადი დასახსიათებელი ნიშან-თვისებაა.

მხოლოდ ამჟამად უმეტესობა აგროსამრეწველო გაერთიანებებისა (კომპლექსებისა) არ წარმოადგენს ერთ მთლიანს ორგანიზაციულ-სამეურნეო თვალსაზრისით და ხშირ შემთხვევაში ცალკეულ მათგანს შორის (ეგულისხმობთ სხვადასხვა სახის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს) არ არსებობს პირდაპირი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ფინანსური კავშირი. ასეთ პირობებში არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აგროკომპლექსი არის წარმოების ორგანიზაციის ფორმა. ივლისის (1978) პლენუმზე სწორედ ფორმების მრავალფეროვნებას, მათ საფუძვლიან შესწავლას და ყველაზე მისაღები და ეფექტიანი ფორმების გამოყენებას მიექცა განსაკუთრებული ყურადღება.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ როგორც კავშირის მასშტაბით, ასევე ჩვენი რესპუბლიკის პირობებშიც სამეურნეობათაშორისო კოოპერაციამ და აგროსამრეწველო ინტეგრაციამ ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა მეცხოველეობაში. 1978 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სოფლის მეურნეობის წარმოების 193 გაერთიანებდნენ 105 მეცხოველეობაზე მოდის და ეს გასაგებიცაა. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია ისეთია, რომ ის შეიძლება დაეყოს სტადიებად, თავისთავად სპეციალიზებულ წარმოებად და მით უმეტეს მაშინაც, როცა მას წარმოებისათვის მიწა არ გააჩნია. მეცხოველეობის განვითარება კოოპერირებულ საწარმოებში (ორგანიზაციებში) წარმატებით შეიძლება თავის მეურნეობაში არწარმოებულ საკვების არსებობის პირობებში, მიწა ასეთი საწარმოებისათვის წარმოადგენს ძირითადად წარმოების გაშლის სივრცობრივ ბაზისს მისი განლაგებისათვის. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მეცხოველეობაში სამეურნეობათაშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ეს ფორმა ყველაზე და ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულ, რაციონალურ ფორმად და გაცილებით უკეთეს შედეგებს ვაღწევთ, როცა ასეთი ტიპის საწარმოები (ორგანიზაციები) იქმნება ძირითადად საკუთარი წარმოების საკვები ბაზის საფუძველზე, საჭირო მიწის ფართობის გამოყოფით. სწორედ ზემოთ აღნიშნული ფაქტორი (საკუთარი წარმოების საკვების არარსებობა და მისი გარედან მიღება) წარმოადგენს ძირითად მიზეზს, რომ სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია ჭერჭერობით ყველაზე მეტად განვითარებულია მეცხოველეობის დარგებში.

მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსების შექმნამ დღის წესრიგში მკაცრად დააყენა სპეციალიზებული სასაქონლო საკვებწარმოების ორგანიზაცია, თვით ასეთ კომპლექსებში საკვების წარმოების პარალელურად. წილობრივი მონაწილეობით ასეთი კომპლექსების უზრუნველყოფა საკვებით ხშირად ვერ ამართლებდა და არასაიმედოა. სწორედ ამ საკითხს

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სკკპ ცკ ივლისის (1978) გლ
ნუმმა, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის დიდი სიმდიდრის, ბუნებრივი რესურსების
სათიბების და საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე განსაკუთრებულ
ბის მძლავრი ინდუსტრიული დარგის შექმნის ამოცანებზე, ამ დარგში ა
სებულ ნაკლოვანებებზე და მის აღმოფხვრის გზებზე ერთხელ კიდევ
ამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე
ტის XII პლენუმმა.


სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978) პლენუმის დადგენი
ლებამ^{*} ჩვენი რესპუბლიკა ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებ
თან ერთად გაკრიტიკებული იყო იმისათვის, რომ ვერ მივაღწიეთ არსებო
ვაუმჯობესებას მეცხოველეობაში, განსაკუთრებით პირუტყვის პროდუქ
ტიულობის ზრდაში. მიუხედავად უკანასკნელ წლებში მეცხოველეობის
განვითარებაში მიღწეული წარმატებებისა, ჩვენი რესპუბლიკა მე-10 ხუთ
წლედის ორი წლის შედეგებით ბევრი მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩებ
საშუალო-საყვეშიროს.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგ
რაციის ბაზანე ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის დარგების განვითარ
ების ობიექტური წინამძღვრების არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს მე
ცხოველეობის ფერმების შეკვეცის იმ არასწორ პრაქტიკას, რომელსაც
დაადგენენ ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები. მაგალი
თად, უკანასკნელ წლებში მელორეობის დარგის სპეციალიზაციისა და კონ
ცენტრაციის მოტივით ჩვენს რესპუბლიკაში გაუქმდა 229 მელორეობის
ფერმა, ამავე პერიოდში კი მსხვილი მელორეობის კომპლექსების მშენებ
ლობა და წარმოებაში გადაცემა ჩამორჩა, რამაც უარყოფითად იმოქმედა
ამ დარგის განვითარებაზე. ამჟამად კი ხელახლა გვხვდება გაუქმებული
მელორეობის ფერმების აღდგენა. ვასაგებია, რომ ასეთ გაუმართლებელ
დაუსაბუთებელ სპეციალიზაციას და კონცენტრაციას წარმოებისათვის
მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით სწრაფი ტემპით
წარიმართა მსხვილი რქოსანი პირუტყვის გადაყვანა სამრეწველო საფუძ
ვლებზე. შეიქმნა სარძეო მესაქონლეობის კომპლექსები, სახელმწიფო და
სამეურნეობათაშორისო სასუქებელი კომპლექსები, პუნქტები და მოედ
ნები, რამაც დადებითი გავლენა იქონია დარგის განვითარებაზე, მაგრამ
ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა რჩება. ჯერ კიდევ დაბალია
პროდუქტიულობა, ბერწიანობა 28—30 პროცენტს აღწევს, დაბალია ზო
ოვეტერინარული მომსახურების დონე, თვითრინებაზეა მიშვებული რე
პროდუქცია, დიდა საკვების დანახარჯი ერთეულ პროდუქციაზე, მაღალია
მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება.

როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
XII პლენუმზე აღინიშნა, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკა-

* სკკპ ცკ-ის ივლისის (1978 წ) პლენუმის მასალები, თბილისი, 1978, გვ. 64.



ში შემოყვანილია 34 ათასი ჯიშისანი და გაუმჯობესებული დეკლუნი, ხოლო ფურების სულადობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 3,3 ათასი სულით და საშუალო ნაწველი 137 კილოგრამით. მოტანილი მონაცემებიდან შეიძლება მივხედოთ, რომ ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო საწარმოების, გაერთიანებების ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმირების, მათ შორის ურთიერთკავშირის საკითხების გადაწყვეტის დროს; ხშირად საკითხი წყდება არა ობიექტური ფაქტორების ღრმა ანალიზის საფუძველზე, არამედ ზედაპირულად, წარმოების ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინების გარეშე. სამეურნეობათაშორისო საწარმოების და აგროსამრეწველო კომპლექსების სრულ საბრუნველ საშუალებების ათვისებამდე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების გაუქმება ყოველად დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ მეცხოველეობის განვითარების გეგმების წარმატებით განხორციელებას და არსებული დონის შენარჩუნებასაც კი.

მეცხოველეობის დარგების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე ჩვენს რესპუბლიკაში მოითხოვს ღრმად გააზრებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას. ისტორიულად ჩვენი რესპუბლიკის ბარის და მთის მეცხოველეობის სპეციალიზაცია მკვეთრად იყო გამოკვეთილი, აქ რაიმე ახლის იქნება კი არაა საჭირო, არამედ უფრო მნიშვნელოვანია მისი გაღრმავება და მეცნიერულად შესწავლა. მთის რაიონების მეცხოველეობას, როგორც ოდიოვან, უნდა მიეცეს მკვეთრად გამოხატული მებორცულ-მერძეული მიმართულება. ამას გვიკარნახებს ჩვენი მთის სათიბების და საძოვრების მაქსიმალურად ათვისების ამოცანა. მიხედვით საკვებმომპოვების პირობებში კი ინტენსიური მერძეული მიმართულება—ნახიროში ფურების ხვედრითი წონით 60 პროცენტამდე.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში უფრო მწვავედ დგას მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოების და აგროკომპლექსების ოპტიმალური სიდიდის საკითხი, ამ საკითხში სხვა რესპუბლიკების მაგალითის გადმოტანა, შაბლონი ყოველად დაუშვებელია. მით უმეტეს, ჩვენს პირობებში ასეთი საწარმოებისა და კომპლექსების ერთიანი ოპტიმალური სიდიდე კი არ გვჭირდება, არამედ მთისა და ბარის რაიონებისათვის ცალ-ცალკე, წარმოებისათვის არსებული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. თუ ეკონომიკურ-ფინანსური პირობების რეგულირება შესაძლებელია, აქ ჩვენ უძღური ვართ. მსხვილი რქოსანი პირუტყვის მერძეეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანების, აგროსამრეწველო კომპლექსის ოპტიმალურ სიდიდედ ჩვენი რესპუბლიკის მთის რაიონებისათვის უნდა ჩაითვალოს 400—600 სული, ხოლო ბარის რაიონებისათვის 800—1200 სული. ანალოგიურად ვარირებას მოითხოვს მსხვილი რქოსანი პირუტყვის გამოზრდისა

და სუქების, მეცხვარეობის და მელორეობის სამეურნეობათაშორისო გვერთიანებების და აგროსამრეწველო კომპლექსების ოპტიმალური სიდიდის და
ამ ბოლო ხანებში სულ უფრო დიდი გავრცელება ჰპოვა მცხვარეობათაშორისო საწარმოო კოოპერაციამ და აგროსამრეწველო ინტეგრაციამ მებოსტნეობაში, მებაღეობაში, მევენახეობაში, ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებაში, მეთესლეობაში და მემცენარეობის სხვა დარგებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარებას მებოსტნეობაში. ეს დარგი საგარეუბნო ზონის მეურნეობებს გარდა დაქსაქსული მრავალ მეურნეობაში და უმეტეს შემთხვევაში ზარალიანია, ეს მით უმეტეს ითქმის ჩვენს რესპუბლიკაზე, სადაც ცალკეულ არასპეციალიზებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეული კულტურების ნათესი არ აღემატება 2—3 ჰექტარს; მაშინ როცა ცდები გვიჩვენებს, რომ მსხვილი მებოსტნეობის მეურნეობები მაღალრენტაბელურია.

მებოსტნეობის სპეციალიზაციის და კონცენტრაციისას სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე დადებითად წყდება რიგი საკითხები: ნათესების კონცენტრაცია და ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის მექანიზებული რაზმების შექმნა, ტექნოლოგიის შემუშავება მათი ბიოლოგიური და თესლბრუნვების თავისებურებების გათვალისწინებით, ერთნაირი პროდუქციის დიდი მასის ერთდროული მიღება და რეალიზაცია, მისი სამრეწველო გადამუშავება ადგილზე და სხვა.

აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მებოსტნეობის განვითარების საქმეში გარკვეული მიღწევები აქვს ჩვენს რესპუბლიკას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამი წლის წინ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შექმნილი აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, რომელიც მოიცავს წარმოების დასრულებულ ტექნოლოგიურ ციკლს: სას.-სამ. პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას და რეალიზაციას თავისი სავაჭრო ქსელიდან. აღნიშნულ გაერთიანებაში შედის 55 საბჭოთა მეურნეობა, 209 მალაზია, ბოსტნეულის და ხილის საბითუმო ბაზა, სამაცივრო მეურნეობითი ტევადობით 11,5 ათასი ტონა, სამი საკონსერვო ქარხანა, ავტომეურნეობა—250 მანქანით. აღნიშნული გაერთიანების ამოცანაა მასში შემავალ მეურნეობაში მოუყაროს თავი სასაქონლო ბოსტნეულის და საადრეო კარტოფილის წარმოებას. რესპუბლიკაში მებოსტნეობის შედგომი განვითარების ამოცანის წარმატებით გადაჭრა ბევრად და მოკიდებული დაცული და ღია გრუნტის მებოსტნეობის სწორად შეთანაწყობაზე, რათა მოსახლეობა წლის განმავლობაში უზრუნველყოთ ახალი ბოსტნეულით. ამჟამად დაცული გრუნტის მებოსტნეობის განვითარებას რესპუბლიკის მასშტაბით აწარმოებს „საქსათური“-ს გაერთიანება და მასში შემავალი მეურნეობები. ვფიქრობთ, ამ ორი გაერთიანების კომბინაცია და

დაქვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა-
დმი უფრო მეტ დადებით ეფექტს მოგვცემდა.

მეტად ხელსაყრელი ობიექტური პირობები გაგვაჩნია ჩვენი რესპუბ-
ლიკის სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების მეხილეობის
ვენახეობისა და მეჩაიეობის სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო
ინტეგრაციის ბაზაზე განვითარებისათვის. თუმცა ამ მიმართულებით ჯერ
კიდევ არ გადავვიდგამს გარკვეული ნაბიჯები.

მეხილეობას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელო-
ვანი ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში
მეხილეობის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებს, დარგში აღინიშნე-
ბა კონცენტრაციის უაღრესად დაბალი დონე, რაც განაპირობებს სას.-სამ.
სამუშაოთა მექანიზაციის ნაკლებად გამოყენებას, მოწინავე ტექნოლოგიის
ნელი ტემპით დანერგვას და სხვა, რაც საბოლოოდ იწვევს დაბალ მოსავ-
ლიანობას.

სათანადო გაანგარიშებებით დადგენილია, რომ ხილის მთელი მოსავ-
ლის მხოლოდ 60—65% მოიხმარება მოსახლეობის მიერ ნატურალური,
გადაუმუშავებელი სახით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეხილეობაში არსე-
ბობს მეტად ხელსაყრელი პირობები სასოფლო-სამეურნეო და სამრეწვე-
ლო წარმოების კომბინაციისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხილის
შენახვა ზამთრის პერიოდში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაბა-
ტონებული იყო (და ამჟამადაც არანაკლებად) აზრი თითქოს ყველაზე მი-
ზანშეწონილია სამაცივრო ხილის შესანახი მეურნეობები მოწყობილიყო
ქალაქის საბითუმო ბაზებში, ხოლო მეხილეობის მეურნეობებში კი ან
სრულებით არა, ან კიდევ ხანმოკლე შენახვისათვის. გამოცდილებამ გვიჩ-
ვენა, რომ ეს ვარიანტი არ წარმოადგენს საუკეთესოს და შესაძლებელია
საკითხის უფრო რაციონალურად გადაწყვეტა. ხილის ქალაქის საბითუმო-
სამაცივრო მეურნეობებში შენახვა ხდება 2—3-ჯერ და ხშირად უფრო
მეტი გადატვირთვის შემდეგ, რამაც არ შეიძლება არსებითი გავლენა არ
მოახდინოს მის ხარისხზე, გამომდინარე აქედან დიდია დანაკარგები შენახ-
ვის დროს, ასევე საჭირობოროტო საკითხს წარმოადგენს მისი უტილიზა-
ცია. სამაცივრო მეურნეობის მომსახურებისათვის საჭიროა დროებითი
მუშახელის მოზიდვა, რაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებუ-
ლი. მეხილეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის დროს, როცა მეურ-
ნეობას ექნება სამაცივრო მეურნეობა ხილის შესანახად, ჩამონაყარი და
არასტანდარტული ხილის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოს ყვე-
ლა ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობანი დღის წესრიგიდან იხსნება. მაგ-
რამ ხილის წარმოების ინტეგრაცია ასეთ სამრეწველო დონეზე მოითხოვს
ხეხილის ბალების გარკვეულ კონცენტრაციას და ის არ უნდა იყოს 500
ჰა-ზე ნაკლები.

გამომდინარე აქედან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის IX პლენუმმა დაამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის მეხილეობის სამრე-

წველო რელსებზე გადაყვანის ვრცელი პროგრამა. კერძოდ, მთელი წლებში უნდა გაშენდეს 22 ათასი ჰა ინტენსიური ბაღები, აქედან 13 ათასი ჰა ისეთ აგროკომპლექსებში, როგორცაა შინდისი-ვარძის (13 ათასი ჰა), მალხაზისწყერის (2,2 ათასი ჰა), ხოვლეს (2 ათასი ჰა) ათასი ჰა). მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის მარტო ეს აგროკომპლექსები გაცილებით მეტ ხილს აწარმოებენ, ვიდრე ამჟამად რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა ერთად.

მეხილეობის ახალი აგროკომპლექსების შექმნასთან ერთად მთავარ ყურადღება უნდა მიექცეს მეხილეობის სპეციალიზაციის და კონცენტრაციის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ხეხილის ჯურების და ჯიშების შერჩევას და შეთანაწყობას, სიმეჩხერის ლიკვიდაციას, მოსავლიანობის გადიდებას.

ჩვენი რესპუბლიკის უძველესი და ტრადიციული დარგი, მევენახეობა დიდ შესაძლებლობებს იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური შეთანაწყობისათვის სამრეწველო წარმოებასთან ერთი მეურნეობის ფარგლებში, აგროსამრეწველო საწარმოს (გაერთიანების) სახით.

მევენახეობა მიეკუთვნება ისეთ დარგს, სადაც ყველაზე მეტად შესაძლებელია ვიწრო სპეციალიზაცია და კონცენტრაციის მაღალი დონე. თუ დავუმატებთ იმას, რომ მისი პროდუქციის 85—90% გადამუშავებას ექვემდებარება და ისიც 2—3 საათის განმავლობაში მოკრფილი, რომ მივიღოთ მაღალი ხარისხის ღვინო, მაშინ ჩვეთვის ნათელია თუ წარმოების აგროსამრეწველო ინტეგრაციის რაოდენ დიდი შესაძლებლობანი გავვაჩინა. აღნიშნული ობიექტური წინამძღვრები გვაძლევენ შესაძლებლობას მოვაწყოთ სპეციალიზებულ მეურნეობებში თანამედროვე მოთხოვნილებების მსხვილი მეღვინეობის საწარმოები, რომლებიც მეტწილად იმუშავებენ თავიანთი წარმოების პროდუქციის ბაზაზე. ჩვენს პირობებში არაა გამორიცხული მეორე გზა, როცა მეურნეობათა კოოპერირების ბაზაზე შეიქმნება ასეთი ტიპის გაერთიანება, მეთაური საწარმოს ხელმძღვანელობით გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფების სამეურნეო დამოუკიდებლობის და იურიდიული პირის უფლების შენარჩუნებით.

მევენახეობაში აგროსამრეწველო ინტეგრაციის რომელ ფორმასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, მაინც ძირითადი და გადამწყვეტია წარმოების ციკლის დასრულებული სახე: წარმოება, გადამუშავება, შენახვა, რეალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორმის და შინაარსის ერთიანობა არ გვექნება. ამასთან ერთად წარმოების დასრულებული ციკლი საშუალებას გვაძლევს შევამციროთ ზედნადები ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები, ხარჯები ცალკე ღვინის ჩამოსასხმელი ქარხნების მშენებლობაზე, მინიმუმამდე დავიყვანოთ მუშახელის გამოყენების სეზონურობა და, რაც მთავარია, საგრძობლად ავამაღლოთ მზა პროდუქციის ხარისხი.

ჩვენი რესპუბლიკის მემცენარეობის დარგებიდან განსაკუთრებით



წელსაყრელი პირობებია მეჩაიეობის და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების ინდუსტრიულ ბაზაზე გადაყვანისათვის.

მეჩაიეობის გადაყვანა სამრეწველო საფუძველზე შესაძლებელია ორი გზით: კერძოდ: 1) ჩაის მეურნეობა-ფაბრიკებისა და 2) მეჩაიეობის აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნით. შეიძლება ჩაის მეურნეობა-ფაბრიკის შექმნა ჩაითვალოს პირველ ეტაპად, მაგრამ გამორიცხული არაა პირდაპირ გადავიდეთ მეჩაიეობის მსხვილი აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნაზე; იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ცალკეული მეურნეობების მიერ წარმოებული ნედლეული ვერ დატვირთავს ჩაის ფაბრიკის მწარმოებლობას სეზონის განმავლობაში და საჭირო იქნება ნედლეულის მიწოდება სხვა მეურნეობებიდან, რომლებიც შეინარჩუნებენ ეკონომიკურ და იურიდიულ დამოუკიდებლობას; და მეორე—ამჟამად მეჩაიეობის ყველა რაიონში შექმნილია ჩაის ფაბრიკების გაერთიანება; ხომ არ აჯობებდა შექმნილიყო რაიონის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გაუწყვედა ერთიან ხელმძღვანელობას ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებასა და გადამუშავებას? აღნიშნული საკითხი ჩვენ მიერ დაყენებული იყო ჯერ კიდევ 1975 წელს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ათ რაიონში შექმნილია სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მეურნეობის წარმოების გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარების გაუმჯობესებას, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომ სრულყოფას სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურების კოორდინაციას, სოფლად სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსურ განხორციელებას.

მეჩაიეობის დარგში აგროსამრეწველო ინტეგრაცია ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი უნდა გახდეს ჩაის წარმოების დარგში რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, რადგან აქ ერთ მთლიანობაში წარმოდგენილია ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთლის წარმოება და გადამუშავება ერთი მეურნეობის ხელში. სხვა დადებით მხარეებთან ერთად ეს გახდებოდა მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლების საწინდარიც.

ამჟამად გვაქვს ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა და ცალკე ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობები. აღნიშნული დარგის აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მოწყობის მიზნით საჭიროა ეთერზეთების წარმოების აგროსამრეწველო კომბინატების შექმნა, რომელიც საკუთარი წარმოების ნედლეულის გარდა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულს მიიღებდა გადამუშავებისათვის სხვა მეურნეობებისაგანაც. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს ეთერზეთოვანი კულტურების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხები არასპეციალიზებულ მეურნეობებში, რადგანაც აქ აწარმოებენ მრავალი სახის პროდუქციას უაღრესად დაბალი კონცენტრაციის პირობებში, რაც აპრობებს პროდუქციის მაღალ თვისობრივობას და ამ

დარგის ზარალიანობას. ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების აგრო-
სამრეწველო ინტეგრირების დიდი შესაძლებლობანი გააჩნიათ აბაშის, გა-
ლის, გულრიფშის, ყვარლის და მარნეულის რაიონებს.

ამჟამად ჩვენ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და კონცენტრაც-
ციას სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე
ვუთანხმებთ მმართველობის მოძველებულ სისტემას, რომელიც დაფუძ-
ნებულია უწყებრივ გათიშულობაზე, როცა პირიქით უნდა იყოს, მმართვე-
ლობა უნდა გარდავქმნათ თავიდან ბოლომდე, ქვემოდან ზემოთ და პირი-
ქით, შეეუსაბამოთ და მოვარგოთ ამ ახალ პროგრესულ ღონისძიებას. უნ-
და მივალწიოთ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, რაც ამ ქეტად რთუ-
ლი პროცესის წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხე-
დია.



ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. 112, 1980.

УДК 631.17:336

З. А. ЭЛИЗБАРАШВИЛИ

ЭФФЕКТИВНОСТЬ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ТЕХНИКИ В УСЛОВИЯХ ГОРНОГО ЗЕМЛЕДЕЛИЯ

Пленум ЦК Компартии Советского Союза от 3—4 июля 1978 года определил магистральный путь дальнейшего развития сельского хозяйства страны. Принят ряд постановлений, из которых особого внимания заслуживают мероприятия по развитию комплексной механизации с.-х. производства.

На XII Пленуме ЦК Компартии Грузии, посвященного итогам июльского пленума, было отмечено, что с 1965 года до настоящего времени энергетическая мощность сельского хозяйства республики, увеличилась на 88%, а энерговооруженность труда в 1,6 раз.

Однако, общий уровень развития сельского хозяйства республики, в которой немаловажную роль играет экономическая эффективность использования техники, пока не отвечает современным требованиям. Поэтому сейчас огромное значение придается определению экономической эффективности использования техники в условиях горного земледелия, и на ее основе, разработке предложения и рекомендации по ее улучшению.

К 1977 году сельское хозяйство республики располагало 22860 физических единиц или 16270 условных эталонными тракторами. Среднегодовая нагрузка одного условного трактора составляла в колхозах и совхозах 4072 условных гектаров. Эти показатели сравнительно низкие по сравнению с соответствующими союзными показателями, однако, расчеты проводимые нами показывают, что нагрузка тракторов выпускаемых отечественной промышленностью в настоящее время серийно, в условиях горного земледелия, где их применение весьма ограничено из-за неровности рельефа, раздробленности обрабатываемых участков, большинство которых мелкоконтурные и расположены на склонах гор разной крутизны, должны быть сравнительно низкими.

При определении показателя уровня механизации в республике общий объем механизированных работ делят на общую площадь всех посевов, хотя заранее знаем, что значительная часть посевных площадей выращивания культур в горных районах и районах производства интенсивных культур на мелких участках пока не механизированы. Особо ценным, несоизмерительным, несравняемым становится среднереспубликанский показатель нагрузки условного трактора.

На основе применения экономико-математического моделирования и ЭВМ нами была рассчитана оптимальная структура МТП для колхозов и совхозов республики. Краткая методика этих расчетов такова. В каждой группе хозяйств разной производственной специализации, рассчитывалось расчетное модельное хозяйство своими параметрами (структура и площадь посевов, урожайность культур и т. д.). На 10—15 основных культур этих хозяйств составлялись технологические карты. На основе этих карт, по известной модели определения оптимального состава МТП, которая была предоставлена нам Ростовским институтом сельхозмашиностроения, для каждого модельного хозяйства была составлена конкретная, цифровая экономико-математическая матрица и решена на ЭВМ «Минск-22».

Полученная структура и количественная потребность МТП распространялась на все хозяйства для которых последняя являлась типичной. Суммированием системы машин всех групп хозяйств, получали общую систему машин для всех колхозов и совхозов республики.

Однако было бы иллюзией предполагать, что рекомендованной системой машин в десятой пятилетке все процессы в сельском хозяйстве республики будут механизированы. В таблице даны сравнительные суммарные показатели технологической структуры отдельных культур и отраслей в 1977 г. и к 1980 году.

Из данных таблицы 1 видно, что только в растениеводстве, неполный перечень операции с учетом их повторяемости в цикле, достигает 1133. Из них в настоящее время имеющимися на производстве техническими средствами можно механизировать только 32%. Рекомендованная система машин на 1976—1980 гг. позволит поднять этот уровень лишь до 55%.

Объясняется это следующими причинами. Малоземелье побуждает хозяйства заниматься интенсивным земледелием—увеличивая в общей площади обрабатываемой земли долю многолетних культур (24% в среднем против 2% соответствующего союзного показателя).

Сравнительные суммарные показатели технологической структуры отдельных культур



Наименование культуры	Ресурсы	Выполняется в настоящее время			Будет выполняться при новой системе машин 1976-80 гг.		
		вручную	мех	%	вручную	мех	%
Колосовое	59	10	49	83	6	53	50
Кукуруза	54	27	27	50	16	38	70
Подсолнечник	16	5	11	68	2	14	87
Овощи	77	62	17	21	39	40	50
Картофель	36	20	16	44	12	24	66
Сахарная свекла	43	31	17	35	14	34	70
Табак	53	46	7	13	34	19	35
Эфиромасы	55	47	6	10	34	21	38
Травы	24	11	13	54	6	13	75
Виноградарство	113	61	57	48	40	78	67
Садоводство	123	55	68	55	46	77	62
Чайеводство	136	117	17	13	80	56	41
Цитрусоводство	134	124	13	9	81	52	38
Лавр благородный	65	60	5	7	32	33	50
Тунг	87	82	5	5	53	29	33
Устройство террас	10	5	5	50	2	3	60
Подготовка почвы для закл. м. л. насаждений	36	10	26	72	2	30	83
Итого	1133	772	361	32	503	625	55

теля), часто применяя для этой цели склоны гор, тем более, что природно-экологические условия для многих ценнейших плодовых субтропических культур на склонах бывают лучше, чем в низинах. Однако, машин серийного выпуска для комплексной механизации возделывания этих культур на склонах, да и для работ на мелких участках, расположенных на равнинах, до сих пор нет. Из 55 машин горного земледелия, которые вошли во Всесоюзную систему машин, пока серийно не выпускается ни одна машина.

Несмотря на большие успехи, достигнутые в техническом оснащении сельского хозяйства республики, до сих пор ощущается нехватка в технических средствах определенной номенклатуры. Это положение имелось в виду, когда председатель Совета Министров республики Патаридзе З. А. 28 октября 1976 г. на сессии Верховного Совета СССР говорил: «Высокий уровень затрат труда на производство с.-х. продукции в республике в значительной степени объяс-



няется тем, что до сих пор не имеем средств механизации для выполнения малоэнергоёмких операций, а также для работ на мелкоконтурных участках. Применение средств малой механизации — малогабаритных тракторов, мотокультиваторов, мотокосилок и т. д. даёт возможность механизировать трудоёмкие процессы не только в мелких огородинках, садах, фермах, но и на горных мелкоконтурных и приусадебных участках, где применение существующей техники вообще невозможно и зачастую нецелесообразно. Тем не менее в текущей пятилетке даже не предусмотрено создание малогабаритных тракторов и комплексов машин...».

Это лишний раз доказывает необходимость расширения сельхозмашиностроения внутри республики, так как крупные заводы Союза не могут учесть нужд республики и выпускать нужные машины такими малыми партиями, которые нужны хозяйствам горного земледелия.

Основным направлением технического прогресса по Союзу в настоящее время считается увеличение мощности энергетических средств и рост производительности агрегатов за счет увеличения ширины захвата. Только за период 1971—1975 гг. мощность тракторного двигателя возросла от 64,1 л. с. до 92,2 л. с. В соответствии с этим увеличивается производство с.-х. машин с широким захватом. Рабочие скорости на основных полевых с.-х. работах повышены вдвое.

Специфические условия сельскохозяйственного производства в республике, как горной страны, не позволяют увеличить ни ширину захвата, ни скорость агрегатов до такой степени, чтобы максимально использовать мощность таких тракторов. Исследование показало, что, например, в таких горных районах, как Душети, Тианети, Ленингори, Джава и Казбег, основные пахотные трактора ДТ-75 и колесный пропашной трактор МТЗ-50 и МТЗ-80 даже наполовину недогружены на полевых работах и их используют в основном на дорожных, землянных, лесных и других разовых тяжелых работах.

Годовая нагрузка условного эталонного трактора в Пасанаурском колхозе Душетского района в 1977 году составила всего 234 усл. га, Гудамакарском — 373 усл. га, Млетском — 146 усл. га и т. д. В Ленингорском районе нагрузка условного трактора в колхозах было равно в среднем 500 усл. га. В Джавском животноводческом совхозе — 178 усл. га, Угировском животноводческом совхозе — 243 усл. га, Ахалсонельском совхозе Тианетского района — 431 усл. га, в Сионском колхозе Казбегского района — 180 усл. га и т. д.

Несмотря на то, что современные технические средства не обес-



печивают комплексную механизацию в условиях горного земледелия и во многих случаях значительная их часть хозяйствам горных районов нужна на очень короткий промежуток времени года, из-за нехватки рабочей силы, они вынуждены покупать последние, хотя заранее знают, что эксплуатировать их им экономически невыгодно. Этим обусловлена высокая себестоимость механизированных работ в таких хозяйствах. Например, себестоимость 1-го усл. эталонного гектара в Пасанаурском колхозе Душетского района по данным 1977 года была равна 7,80 руб., в Магароскарском — 5,26 руб., в Джавском животноводческом совхозе — 9,76 руб., Угироиском совхозе того же района — 9,75 руб., а в Сенагурском совхозе — 12,10 руб. и т. д.

В 180 колхозах и совхозах горных районов, имеющих в среднем 3—5 тракторов себестоимость 1-го усл. этал. га в 1976 году была равна 6,91 руб., а в 226 хозяйствах, имеющих по 5—10 тракторов — 5,53 руб.

Ввиду того, что в горных районах значительная часть обрабатываемых участков расположены на склонах, их подавляющее количество остается мелкоконтурным. Всего 32 тыс. га посевов в Абхазской АССР представлены на 28 тыс. участках. Средняя площадь обрабатываемых участков в горных районах Верхней Аджарии не превышает 1-го га, средняя площадь участков под виноградниками в Земо-Имерети и Рача не превышает 0,8—1,0 га. Средняя площадь под чайными плантациями составляет 1,07 га, а под цитрусами — 0,84 га.

Хозяйства в горных районах укрупняются: объединяются в совхозы или межхозяйственные предприятия. Однако рельеф с.-х. угодий не позволяет укрупнить эти участки в крупные массивы. Поэтому вопрос создания машин для работы на мелкоконтурных участках с повестки дня не снимается.

Причиной низких нагрузок тракторов в колхозах и совхозах горных районов объясняется и тем, что в ряде случаев трактора не обеспечены соответствующими рабочими машинами и орудиями. Не то, что отечественная промышленность их не выпускает, а из-за того, что на мелких участках использовать не могут, хозяйства их не покупают. Так, например, исследованием было установлено, что из 45—50 наименований машин включенных во всесоюзную систему машин для садоводства и виноградарства, хозяйства горных районов закупают только 21—22 наименования, из 15—20 номенклатур машин, выпускаемых для производства зерновых культур, только 8—10 наименований и т. д. В связи с этим, многие трактора в течение года

используются всего 120—130 дней, а их мощность — на 50—60%. В 1977 году в колхозе Пасанаури Душетского района трактора работали всего 64 дней, Базалетском — 88, в среднем по району — 120 дней. В четырех колхозах Ленингорского района трактора в течение года работали всего 130 дней и т. д.

Установление рациональной пропорции между энергетическими средствами и рабочими машинами является одним из больших резервов повышения экономической эффективности использования МТП в горном земледелии.

По всесоюзным установкам, после XXIII съезда КПСС, эксплуатация МТП на с.-х. предприятиях должна вестись силами самих хозяйств. Какая форма организации использования техники должна быть в условиях горного земледелия подходящей? Хотя поиск рациональной формы находится в стадии исследования, по результатам наших исследований мы пришли к выводу, что в настоящее время наиболее подходящей формой организации труда и его оплаты должна быть комплексно-механизированное отраслевое звено или бригада с аккордно-премиальной безнарядной системой оплаты труда. Механизатор в таком звене является не простым исполнителем норм, а хозяином земли.

Предложение такой формы организации и оплаты труда, сейчас когда ратуем за специализацию, интенсификацию и концентрацию производства, могут показаться странным. Однако объединение нескольких хозяйств в одно не означает концентрацию производства — мелкие участки остаются мелкими, а специализацию осуществить можно и при предлагаемой форме организации труда.

Анализ показал необоснованность утверждения ряда специалистов сельского хозяйства республики о том, что из-за малоземелья и малых объемов механизированных работ колхозы и совхозы горных районов не должны иметь собственную техническую базу и следует возродить институт МТС.

Карликовые (до 4 га) и мелкие фермы (до 40 га) в США составляют 57% от их общего количества. В странах Западной Европы 70—90% всех хозяйств являются мелкими, имеющие до 10 га с.-х. угодий. Эти хозяйства своими техническими средствами производят почти все операции и от производимой продукции получают прибыль. Нет никаких объективных причин препятствующих и нашим мелким хозяйствам достигнуть того же, следует только их оснащать соответствующими средствами малой механизации.

Переход таких колхозов и совхозов на полное производственное обслуживание подразделениями Р/О «Грузсельхозтехники» должно



369369-00
302-0170133

было бы быть прогрессивной формой концентрации техники на данном этапе, пока нет такой техники. Поэтому не случайно на IX пленуме (1978 г.) ЦК Компартии Грузии отмечалось важное значение работы, проводимой в республике по улучшению использования техники на основе специализации и концентрации. Однако здесь же было сказано, что такое обслуживание обходится очень дорого, следует глубоко проанализировать причины такого положения и отыскать оптимальное решение этого вопроса.

Во время исследования мы подробно изучили этот вопрос. Об итогах можно сказать несколькими словами. Концентрация техники улучшает экономические показатели использования МТП, но давать специальной службе, тем более, другой ведомости производственную программу — план производства с.-х. продукции — невозможно. А «сельхозтехника» имеет только план производства механизированных работ и прибыли. То есть интересы хозяйства и «сельхозтехники» не совпадают. Из-за этого, хотя в 1975 году 328 малоземельных колхозов горных районов должны были перейти на полное производственно-техническое обслуживание «Сельхозтехники», а после 1976 года еще 529, на самом деле к концу 1977 года перешли всего 172 хозяйства. Так что сама жизнь доказала несостоятельность этого мероприятия.

Концентрация техники дело хорошее, однако она должна осуществляться в сфере производства. Это сейчас, когда районные управления сельского хозяйства преобразуются в районные хозрасчетные аграрно-промышленные объединения, вполне осуществимое дело.

Дело эксплуатации и технического обслуживания МТП — наука. Ее внедрение на практике требует инженерных знаний, обоснованного планирования и организации тракторных работ. Между тем, в республике эксплуатации МТП не уделялось достаточное внимание, практикуются необоснованные реорганизации. После передачи техники таким мелким тракторопользователям, какими являются колхозы горных районов, техника фактически осталась вне сферы инженерно-технического обслуживания и надзора. Подавляющая часть квалифицированных инженеров-механиков оказалась в системе «Сельхозтехника». Вот об этом следует задуматься. Хозяйства настолько уже укрупнены, что сами смогут эксплуатировать технику, только надо разработать рациональную форму их инженерно-технического обслуживания.

Результаты исследования показали, что в условиях горного земледелия повышение нагрузок тракторов серийного производства больше невозможен. Подавляющее большинство хозяйств может на-

грузить только маломощны, маневренных с комплектом с.-х. машин тракторов и пшасси. Мощных тракторов им вообще не следует продавать, а в условиях упомянутого районного агропромышленного производственного объединения, сконцентрировать в специализированных хозрасчетных службах для их коллективного использования.

Поддержание тракторов и прочей с.-х. техники постоянно в работоспособном состоянии является необходимым условием их рациональной эксплуатации.

Несмотря на то, что за последний период ремонтная база сельского хозяйства республики намного окрепла, достигнутый уровень еще недостаточен. В настоящее время сложилась диспропорция между машинно-тракторным парком и материальной базой его технического обслуживания. По нормам, на 100 руб. стоимости машин должна соответствовать ремонтная база стоимостью 60—70 руб. В самом деле сейчас у нас приходится всего на 10—20 руб.

На ремонт техники в колхозах и совхозах республики ежегодно затрачивается в среднем по 10—15% их балансовой стоимости. По отчетным данным 1977 года только на технические уходы затрачено 1,2—1,5 раза больше по сравнению с установленной нормой. Обследованием было установлено, что в настоящее время в республике на 1 руб. стоимости машин, на ремонт и техническое обслуживание расходуется 0,39 руб. или 39%, в то время как по нормативу не должен превысить 12—15%.

В хозяйствах горных районов обслуживание тракторов во многих случаях сводится к устранению неисправностей путем замены сломанной детали новым. Из-за этого в хозяйствах обследованной нами районов: Душети, Тианети, Ленингори и Джава, простой тракторов достигает 20—30% рабочего времени смены. Кроме того, во время обследования было установлено, что существует диспропорция между завозимой в районах техникой и необходимой для его обеспечения запасными частями. Такое положение наносит значительный убыток экономике с.-х. предприятий. Только из-за дефицита запасных частей в обследованных типично горных районах ежегодно простаивает около 15% машин.

Основная масса тракторов горных хозяйств районов республики приходится на районные отделения «Грузсельхозтехники». Однако, материальная заинтересованность работников этого ведомства связана не с технической готовностью МТП хозяйств, а с выполнением плана реализации и ремонта.

Из-за этого, как выяснилось, основная масса запасных частей попадает в ремонтные предприятия «Сельхозтехники». Это иногда

заставляет хозяйства тащить машины на ремонт в «Сельхозтехнику» преждевременно. Происходит это потому, что «Сельхозтехника» монопольно владеет запчастями, и торговать ими ей не выгодно. Необходимо создать такую систему, которая обеспечила бы гарантированное распределение запасных частей между «Сельхозтехникой», колхозами, совхозами и другими с.-х. предприятиями.

Особые условия машинноиспользования в хозяйствах горных районов, требуют и особого подхода к решению вопроса организации ремонта с.-х. машин, так как расходы на ремонт являются существенной частью издержек по эксплуатации МТП.

Качественный и дешевый ремонт возможен только в крупных государственных предприятиях. Однако, как выяснилось анализом, в результате полученных показателей и сравнения их с соответствующими нормативными показателями, надежность и качество ремонта многих машин в этих предприятиях не выдерживает никакой критики, а стоимость очень велика. Например, по данным 1977 года капитальный ремонт 9 тракторов колхозов в обследованной мастерской Душетского района обошелся в среднем по 1388 руб., а в среднем по республике 846 руб. В то время как лимитная цена всего 712 руб. для ДТ-75. Тем не менее, например, в Душетском районе, на многих тракторах (по паспортным данным тракторов марки ДТ-75) в течении их эксплуатации затрачено в среднем 12100 руб., что 4,3 раза больше их первоначальной стоимости. Это свидетельствует о низком уровне качества ремонта.

Затраты на ремонт высоки и тогда, когда их производят сами хозяйства. Как показали исследования, эти затраты в хозяйствах горных районов слагаются в основном из стоимости запасных частей. В калькуляции себестоимости доля оплаты труда составляет всего 15—20%. Отсюда и получается мнимое впечатление, будто ремонт в доме дешевле обходится.

Выводы и предложения

1. В хозяйствах горных районов удельный вес площадей, на которых существующие средства техники не могут применяться, очень значителен. Подавляющее большинство хозяйств по размерам сельхозугодий и объемам механизированных работ относятся к мелким хозяйствам и работают в условиях как равнинного, так и горного рельефа.

2. Исходя из этого, для дальнейшего развития механизации с.-х. производства в условиях горного земледелия, необходимо разрабаты-

вать три типа систем машин: для равнинного сельского хозяйства, для возделывания специфических культур, расположенных на мелкоконтурных участках и для горного земледелия.

3. Низкие годовые нагрузки тракторов в хозяйствах горных районов, по сравнению со среднесоюзными показателями, обуславливаемая природными особенностями и возможностями выпускаемой в настоящее время промышленностью техники должны приниматься во внимание при расчетах потребности в с.-х. технике и при разработке планово-экономических показателей тракторного использования.

4. Хозяйства горных районов должны оснащаться оптимальной системой машин, в которой основное место должны занять машины горного земледелия и машины, работающие на мелких участках, т. е. машины малой механизации; высокоэнергоёмкие и дорогостоящие машины должны концентрироваться в специальных службах.

5. В хозяйствах горных районов, для закрепления механизаторов, следует их оплату связать не с объемами выполненных механизированных работ, а непосредственно с конечными итогами производства — с урожайностью возделываемых ими культур.

6. В ряде колхозов, которые расположены в Мтиулети, Верхней Имеретии, Рача-Лечхуми, Сванетии и Верхней Аджарии вопрос об изыскании каких-то форм организации использования МТП следует пока снять с повестки дня. Использование современной мобильной с.-х. техники в земледелии этих хозяйств вообще исключается. Такие хозяйства взамен живой тяги следует как можно скорее обеспечивать машинами малой механизации.

7. Техническое обслуживание МТП колхозов и совхозов горных районов следует выделить в самостоятельную, специальную службу, входящей в систему самого Министерства сельского хозяйства. Такая служба наравне с колхозами и совхозами должна отвечать за исход производства. Их финансирование должно быть поставлено в прямую зависимость от выполнения государственных планов — заданий по производству с.-х. продуктов в обслуживаемой им зоне.



УДК 631 . 116 . 7 : 634

ა. ნარკომაშვილი

სამეურნეობათაშორისო და აგარაულ-სამეურნეო-სავაჭრო გაერთიანებები

სკკპ XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველმხრივ განვითარდეს საკოლმეურნეობათაშორისო, კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობის და სახელმწიფო-კოოპერაციული გაერთიანებები, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადამუშავებისა და რეალიზაციის დარგში.

გამოდირდა რა პარტიის აგრარული პოლიტიკიდან, რასაც დასაბამი მისცა სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმმა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ შეტანილი მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე 1976 წლის მაისში მიიღო დადგენილება—„სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ახლა, როცა ჩვენი სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა, სულ უფრო მყარი მატერიალური საფუძველი იქმნება. წარმოების მრავალდარგოვანი ხასიათი, სუსტი კონცენტრაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აფერხებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციის განვითარებას, ამცირებენ დანახარჯების ეფექტიანობას, არსებითად აბრკოლებენ ამ დარგში ეკონომიკურ, მაშასადამე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება ობიექტურად მოითხოვს პრინციპულად ახალ მიდგომას, მის კიდევ უფრო ღრმა სპეციალიზაციას, მეურნეობათა ღონისძიებების გაერთიანებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართოდ გამოყენების მიზნით. ფართო კოოპერირების ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი გადაყვანა ინდუსტრიულ საფუძველზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეების პრაქტიკული განხორციელების ახალი ეტაპია.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია აფართოებს კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი წარმოების მასშტაბებსა და შესაძლებლო-

ბებს, ამაღლებს მისი კონცენტრაციის დონეს, ამასთან აღარ იქმნება მეტის-მეტად მსხვილი და ისეთი მეურნეობები, რომელთა მართვა შეუძლებელი ხდება. იგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტ ზრდას; საკოლმეურნეო წარმოების განსაზოგადების დონის ამაღლებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოებას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით აღმოფხვრას. ამგვარად იგი არა მარტო ახალი ორგანიზაციული ფორმაა, არამედ დიდი მნიშვნელობის სოციალისტურ-ეკონომიკური მოვლენაცაა.

პარტიის მიერ გატარებული დიდი ღონისძიებების შედეგად შეიქმნა მეურნეობათა შორისი კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის მრავალფეროვანი ორგანიზაციული ფორმა, რაც გაპირობებულია მათი მრავალმხრივი ფუნქციით. ამ ფორმების ერთიანი გაგების თვალსაზრისით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილია შემდეგი ფორმების განსაზღვრა: 1) მეურნეობათა შორისი საწარმო და ორგანიზაცია, 2) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეურნეობათა შორისი საწარმოო ორგანიზაცია, 3) აგრარულ-სამრეწველო საწარმო, 4) საწარმოო გაერთიანება სოფლის მეურნეობაში, 5) აგრარულ-სამრეწველო საწარმოო გაერთიანება, 6) აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, 7) სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათა შორისი კოოპერაციის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მსხვილი სახელმწიფო კომპლექსების მშენებლობის გზით და მეორე მხრივ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საპაიო შენატანის საფუძველზე სამეურნეობათა შორისი ორგანიზაციების შექმნის გზით.

1978 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით რესპუბლიკაში იყო 278-ზე მეტი სამეურნეობათა შორისი გაერთიანება, აქედან სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 220 გაერთიანება, აქედან მსხვილფხვარქოსანი პირუტყვის სასუქი—7, ღორების გამოზრდისა და სუქებისა—11, ზბოების გამოსაზრდელი—1, დეკეულების გამოსაზრდელი—1, მეცხოველეობისა (შერეული საქმიანობის)—30, მერძევეობის—2, მეფრინველეობის—23, მეიხვეობის—3, მეცხვარეობის—5, მეთევზეობის—1, მეფუტკრეობის—5, ცხოველთა ხელოვნური დათესვლის—22, მევენახეობის—2, ვაზის და ხეხილის სანერგის—5, მეციტრუსეობის—1, მეტუნგოეობის—1, მებოსტნეობის (დახურული გრუნტის)—2, მებოსტნეობა-მებაღეობის (ღია გრუნტის)—4, საკვებმოპოვების—9, მელიორაციის—5, კომბინირე-



ბული საკვებისა და ბალახის ფქვილის წარმოების—3, სატყეო—10 და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების—67; მუშაობს საბჭოთა მეურნეობა—ტექნიკუმის, საბჭოთა მეურნეობა—ქარხნის გაერთიანებული და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და ინტეგრაციის საქმეში საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაა მოპოვებული აბაშის, გურჯაანის, ხობის, კასპის, მარნეულის, საგარეჯოს, გორის, მახარაძის, ჩოხატაურის, ვარდახნის, მცხეთის და რიგ სხვა რაიონებში. როგორც რიგი გაერთიანებების სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანალიზი მოწმობს გაერთიანებების მრავალრიცხოვანი ფორმებიდან ყველაზე დიდი აღიარება დაიმსახურა ძირითადად ფორმამ: 1) სამეურნეობათაშორისო კოოპერაციამ და 2) აგროსამრეწველო ინტეგრაციამ. პირველი ფორმის ყველაზე ჩამოყალიბებული ტიპებია სამეურნეობათაშორისო საწარმოები ან ორგანიზაციები, ხოლო მეორე ფორმის—სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებები.

ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებას პოულობს როგორც პირველი, ასევე მეორე ტიპის გაერთიანებები. სამეურნეობათაშორისო საწარმო-ორგანიზაცია იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობის პრინციპით, ხოლო სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებები წარმოების ინტეგრაციის შედეგებით მაღალი ფორმის მიხედვით; სადაც უკვე ადგილი აქვს კოოპერატორთა კოოპერირებას; რაც საშუალებას იძლევა თავი მოეუყაროთ მთელ ძალებს მთავარი, ძირითადი პროდუქციის გამოშვებაზე, მოვაწყოთ მისი წარმოება თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე. ამასთან გაერთიანებებში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები არ კარგავენ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას. ისინი ერთმანეთს კი არ ერწყმიან, არამედ ნაყოფიერად თანამშრომლობენ. გაერთიანებას შეუძლია განახორციელოს მონაწილე მეურნეობათა ფუნქციების მთლიანი ან ნაწილობრივი ცენტრალიზაცია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მეორე უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია, რომელსაც აგრეთვე აქვს ორი ფორმა: ა) აგრარულ-სამრეწველო საწარმოები და ბ) აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები. აგრარულ-სამრეწველო საწარმოს ძირითადი სახეობიდან გვხვდება ერთიან ბალანსზე მყოფი საბჭოთა მეურნეობა—ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა—ტექნიკუმი და სხვა; ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობასთან სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის მეორე ტიპია აგროსამრეწველო გაერთიანებები.

ფუნქციითა მიხედვით გაერთიანებანი იყოფა: ა) აგრარულ-სამრეწველო და ბ) აგრარულ-სამრეწველო-გამსაღებელ გაერთიანებად. საქმიანობის მასშტაბის მიხედვით კი ა) დარგობრივ და ბ) ტერიტორიულ გაერთიანებად.

აგროსამრეწველო ინტეგრაცია წარმოადგენს სამეურნეობათაში კოოპერაციის ერთ-ერთ უმაღლეს ფორმას. იგი აერთიანებს სოფელ მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, დამხმარებელ წარმოებას და ვაჭრობასაც კი. ასეთი გაერთიანების ტიპურ მაგალ წარმოადგენს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანება, რომელიც სამი წლის წინათ შეიქმნა.

1977 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გაერთიანებაში შედიოდა 46 საბჭოთა მეურნეობა, 3 გადამამუშავებელი საწარმო, საკონსერვაციო ქარხნები, დამამზადებელი პუნქტები, ხილბოსტნეულის სავაჭრო მაღაზრები და სხვა. სპეციალიზაციის მიხედვით გაერთიანებაში შემავალი საბჭოთა მეურნეობები შეიძლება დაჯგუფებული იქნეს შემდეგი სახით: 1) მერძეობა-მებოსტნეობის, 2) მებოსტნეობა-მერძევეობის, 3) მებოსტნეობის, მებოსტნეობა-მევენახეობის, 5) მეთამბაქოეობის, 6) მეკარტოფილეობა-7) მეკარტოფილეობა-მერძევეობის, 8) მევენახეობის, 9) მევენახეობა-მეღვინეობის, 10) მეცხოველეობის მიმართულებით.

გაერთიანების სარგებლობაში იყო სულ 120 747 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მ. შ. სახნავი—54.426 ჰა, ვენახი—2 425 ჰა და ხეხილი—2 774 ჰა. მეცხოველეობის საზოგადოებრივ ფერმაში ირიცხებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 33 208 სული, მ. შ. ფური 11. 139 სული; ღორი—15 717, მათ შორის ნეზვი 1 568; ერთი საფურაყე ძროხიდან ჩამოწველი იქნა საშუალოდ 1 683 კგ რძე; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადღეურ მისო წონაშატი შეადგენდა 188 გ-ს, ღორისა—179 გ-ს. მიღებულ იქნა ყველ 100 ფურზე 67 ხბო; ყოველ 100 ნეზვზე 1 046 გოჭი. რძის თვითღირებულება შეადგენდა 31,14 მანეთს, ამონაგები კი 27,35 მანეთს; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის თვითღირებულება 311,23 მან., ხოლო ამონაგები 151,15 მან.

გაერთიანებაში შემავალ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგული—2625 ჰა, მ. შ. სახნავი—112 ჰა, მარცვლეულის ნათესი—415, ბოსტანი—182, ხეხილის ბაღი—60,3; ვენახი—54 ჰექტარი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი—722 სული, მ. შ. ფური—242 და ღორი—324 სული. კარტოფილის მწარმოებელ ერთ მეურნეობაზე საშუალოდ—247 ჰა კარტოფილი და თამბაქოს მწარმოებელ ერთ მეურნეობაზე საშუალოდ—98 ჰა თამბაქო.

წლითიწლობით იზრდება გაერთიანებაში შემავალ საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობა და პროდუქტიულობა; ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერება და რენტაბელობის დონე, შედარებით მცირდება პროდუქციის თვითღირებულება და ზარალიან მეურნეობათა რიცხვი.

როგორც 1975 და 1976 წლების სამეურნეო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლების ანალიზი მოწმობს, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებაში შემავალი საბჭოთა მეურნეობები ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებზე

ნებლებს აღწევენ, ვიდრე გაერთიანების შექმნამდე. 1977 წლის პირველი იანვრისათვის საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა 2 329 ათასი მანეთის საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები, მ. შ. ფლო-სამეურნეო დანიშნულებისა 2254 მანეთის. მომუშავეთა საშუალო წლიური რაოდენობა 725 კაცს შეადგენდა. ხელფასის ფონდი—701 ათას მან., ერთი მუშის საშუალო-წლიური ანაზღაურება—970 მან., სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია—1058 ათასი მან., აქედან ერთ მომუშავეზე მოდიოდა საშუალოდ—1534 მან. საშუალოდ ერთ მეურნეობაში წარმოებული იქნა 2 264 ტ ბოსტნეული, 503 ტ კარტოფილი და 74 ტ ხილი.

გაერთიანებაში შემაჯავლა საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები; ბოსტნეულის (100,2%), კარტოფილის (106,0), ხარისხოვანი ჩაის ფოთლის (108,7), კვერცხის (114,0), ძროხის საშუალო-წლიური წველადობის (103,5), ერთ ცხვარზე მატყლის პარსვის (107,6), ერთ ნეზვზე გოჭების (102,9) და ყოველ 100 ნერბზე (103,5%) ბატყების მიღების გეგმები.

მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გადიდების შედეგად გაერთიანებამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმები: მარცვლეულის—193,7 პროცენტით, ბოსტნეულის—104,5; კარტოფილის—115,9, შაქრის ქარხლის (საქარხნო)—119,5, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის—129,8, ხორცის—131, რძის—108,7, მატყლის—170,2 და კვერცხის—114,2 პროცენტით.

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებების სისტემის საწარმოებმა გადაამუშავეს—1155 ტ ბოსტნეული და 710 ტ ხილი. დამზადების კანტორებმა 760 ათასი მანეთის ნაცვლად მიიღეს—1150 ათასი მანეთის მოგება (250%), ავტოსატრანსპორტო საწარმომ—20 ათასი მან-ის ნაცვლად 55000 მანეთი (275%), ხოლო საკონსერვო ქარხანამ, რომელსაც მოგება არ ჰქონდა დაგეგმილი სამეურნეო საქმიანობა დაამთავრა 21 ათასი მან-ის მოგებით. 46 საბჭოთა მეურნეობიდან მოგებით დაამთავრა 1976 სამეურნეო წელი 20 მეურნეობამ, ხოლო ზარალით—26 მეურნეობამ. მეურნეობებში 801 ათასი მან-ის ნაცვლად მიღებული იქნა 869 ათასი მან-ის მოგება (108,5%), ანუ 68 ათასი მანეთით მეტი. საბოლოო შედეგების მიხედვით მეურნეობებმა მოიგეს 4,9 მლნ. მან და იზარალეს 4,0 მლნ. მან., ე. ი. საბოლოო მოგება შეადგენდა 0,9 მლნ. მანეთს.

გაერთიანების სავაჭრო სისტემამ ამავე პერიოდში საქონელბრუნვის გეგმა 40 457 ათასი მანეთის ნაცვლად შეასრულა 44 209 ათასი მანეთის (109,3%), რეალიზებულ იქნა 133,515 ტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც 20 623 ტონით აღემატება 1975 წლის მაჩვენებელს. თუ 1974 წელს, გაერთიანების შექმნის პირველ წელს რენტაბელობის დონე შეადგენდა 11,1 პროცენტს, 1976 წელს 3,5 პროცენტს აღემატებოდა.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული თბილისის, რუსთავის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და საკურორტო ზონების მოსახლეობის

ხილბოსტნეულით მომარაგების საქმეში. ვაჭრობის ისეთმა ახალმა პროდუქტულმა ფორმამ, როგორცაა „მინდორი—მაღაზია“ დადებითი შედეგ გამოიღო, საგრძნობლად გააუმჯობესა ახალი ხარისხოვანი პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების საქმე.

„წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, ესე იგი ის, რასაც მარქსისტ-ლენინელები სოციალისტური წარმოებისა და შრომის შემდგომ განსაზოგადებებს უწოდებენ, ცხოვრების დაბეჯითებული მოთხოვნაა, ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი საფუძველია“—აღნიშნავდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცკ-ის 1978 წლის ივლისის პლენუმზე—„მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მუშაობა ადვილი არ არის. ორგანიზაციული, მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით იგი, უეჭველად, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე, ვთქვათ კოლმეურნეობების გამსხვილება“.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის წარმოების გადიდების ერთიანი, ყველაზე ეფექტიანი გზაა. ამ დიდი მუშაობის კარგად მოფიქრებული ორგანიზაცია საშუალებას იძლევა ნაკლები დანახარჯებით, დროს დაზოგვით მივაღწიოთ იმ მიზნებს, რომელსაც პარტია უსახავს სოფლის მეურნეობას. სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სამუშაოთა განხორციელების დროს მთავარი საკითხი ეს არის, საფუძვლიანი გააზრება, მეცნიერული დასაბუთება, მაღალი საწარმოო ეფექტი.

გაწეული მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ განსაკუთრებულ ყურადღება და სერიოზული დამუშავება სჭირდება სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის უკეთესი ორგანიზაციული ფორმების შერჩევას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და მიმართულებისათვის. საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა როგორცაა გაერთიანების დებულება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სოფლის მეურნეობის, დამზადების, წყალთამეურნეობის, კვების მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროებთან ურთიერთობა, ფასების დაწესება და სხვა მრავალი.

როგორც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი გვასწავლის—ჩვენ გვჭირდება არა ყოველგვარი გაერთიანებანი, არამედ ისინი, რომლებსაც მართლაც ახალ საფეხურზე აყავთ წარმოებისა და შრომის სოციალისტური განსაზოგადება, ეყრდნობიან მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს, უზრუნველყოფენ უმაღლეს ნაყოფიერებას და იძლევიან მაქსიმალურ იაფ პროდუქციას.



УДК 631.15 : 338.111

ა. ზელიძე

სიხლენი საბოთა მეურნეობების მუშაობა შრომის ანაზღაურებაში

სკკპ ლენინური აგრარული პოლიტიკის მიხედვით, გამარჯვებული სოციალიზმის პერიოდში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.— მიწის, ტექნიკის, შრომითი რესურსების, კაპიტალური დახანდეების— მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობით, ხარისხობრივად გამოყენება, ყველა სხვა თანაბარ პირობებში დამოკიდებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების (საწარმოების) შემდგომი პოლიტიკური ეკონომიკური, ორგანიზაციული სამეურნეო და სოციალური განმტკიცების მეცნიერულად დასაბუთებული, კომპლექსური ხასიათის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და თანმიმდევრულ განხორციელებაზე.

ამ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ნორმირების და ანაზღაურების, მატერიალური დაინტერესებისა და მორალური წახალისების გეგმიან, სისტემატურ გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

ვ. ი. ლენინის გენერალური კოოპერაციული გეგმის თანახმად ინდივიდუალური წვრილი გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების შემდეგ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტექნიკით ხელახლა აღჭურვა არსებითად ცვლის სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათს, სფეროსა და სპეციფიკას. შრომა იქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად: როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში ფართოდ ინერგება სამრეწველო ტექნოლოგია, ძირითადი საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემა. მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მანქანათა სისტემის პრაქტიკულად დანერგვა, გაღრმავებული, დარგობრივი სპეციალიზაცია.

საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივ ზრდასთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან, და მათი ეკონომიკურად და ორგანი-

ზაციულად განტიციებასთან და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სერიოზულ ხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად, გეგმიანად მიმდინარეობს საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, ანაზღაურების გაუმჯობესება და სრულყოფა, რაც თავის ანახევარყოფილ ცალკე ეტაპების მიხედვით შემუშავებულ ტიპურ დებულებებში მის ანაზღაურების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის შემუშავებული აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე მთლიანად ითვალისწინებს ღონისძიებათა სისტემას საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მუშაკთა თავიანთი მომხმარებლის შედეგებით მატერიალური დაინტერესებისა და მორალური წახალისების ძირითად გაუმჯობესების შესახებ. შემდგომ წლებში მიღებული სკკპ XXIII ყრილობის, სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსის მთლიანი და ცალ-ცალკე დადგენილებები საზოგადოებრივი წარმოების განვითარების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაუმჯობესების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა მოცდილების პროპაგანდის გაძლიერებისა და წარმოებაში ფართო დანახვის შესახებ.

ამ იურიდიული ხასიათის საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის მთავარ დებულებაში სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ რომელიც მთლიანად ვრცელდება ყველა საწარმოო ტიპის საბჭოთა მეურნეობაზე და ამ დებულების შესაბამისად შედგენილ საბჭოთა მეურნეობების წესდებაში და სხვ. მოცემულია ამოსავალი სახელმძღვანელო დოკუმენტები შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების შესახებ საბჭოთა მეურნეობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1965 წლის 2 აპრილის დადგენილებით, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფისა და საზოგადოებრივი წარმოების ზრდით მუშაკებისა და სპეციალისტების დაინტერესების გაძლიერების მიზნით, შრომის ანაზღაურებაში შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილებაში მეცნიერულად განზოგადებულია შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება-სრულყოფაში მოპოვებული მიღწევები, გამოცდილება და დასახულებული ღონისძიებათა კომპლექსი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომის საკითხების, ხელფასის და ხელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 15 ივნისის დადგენილებით „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ და



საკითხები: 1) ტიპური დებულება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ინდუსტრიულ-სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშების შრომის ანაზღაურების შესახებ, 2) ტიპური დებულება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან ტიპური დებულებების მიხედვით ცალკეულ მეურნეობებში წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით შემუშავებული დამატებითი დებულებები—მიწათმოქმედების მაღალი კულტურის კოლექტივის, საკონტროლო ჯგუფის, საუკეთესო ტრაქტორისტის, მომხიანერის შესახებ და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურების და სხვა საკითხების შესახებ სოციალისტური სამრეწველო საწარმოთა მდიდარი გამოცდილების შემოქმედებითად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, გამოყენებას. მას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება ამჟამად—სოფლის მეურნეობის დარგების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის პროცესში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქართველოს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, დამტკიცებულია ძირითადი დებულება საწარმოო გაერთიანებების, კომბინატების და სამრეწველო საწარმოთა მუშაკების პრემირების შესახებ სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგების მიხედვით.

ეს დებულება შედგება 4 განყოფილებისაგან და 47 მუხლისაგან.

- I განყოფილება—საერთო დებულებანი,
- II განყოფილება — მუშების პრემირება,
- III განყოფილება—ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების პრემირება და
- IV განყოფილება — პრემიების დარიცხვის, დამტკიცების, გადახდისა და პრემირების შესახებ დებულების დამუშავების წესი. ამ ძირითად დებულებას თან ერთვის 2 დანართი:

დანართი 1 — ჩამოთვლა თანამდებობების საწარმოო გაერთიანებების (კომბინატების) მუშაკებისა და მრეწველობის საწარმოების, რომლებსაც უმცირდებათ პრემიები ხელფასის ფონდის გადახარჯვის დაშვებასთან დაკავშირებით, დანართი 2 — ჩამოთვლა დარღვევების, რომელთა დროს პრემიის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დარიცხული ცალკეული კატეგორიის მუშაკების სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის, უმცირდებათ ან არ უნაზღაურდებათ მთლიანად.

ძირითადი დებულების შემოღების მიზანს შეადგენს ის, რომ გაძლიერდეს პრემიის ზეგავლენა-ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობისა და

შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, დაჩქარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მოწინავე საწარმოო დაწესებულებების დანერგვა, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი და მუშაობის დეგები.

ხელმძღვანელობენ რა ამ ძირითადი დებულებით, სამინისტროებში უწყებები პროფკავშირის ცენტრალურ და რესპუბლიკურ კომიტეტებს შეთანხმებით ამტკიცებენ ტიპურ დებულებებს, სამეურნეო საწარმოთა გაერთიანებების (კომბინატების) და საწარმოების მუშაკთა პრემიის შესახებ.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებისათვის სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკებს შორის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების, მატერიალური დაიწესებულების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზონისძიებების თანმიმდევრული განხორციელების შედეგად მოპოვებული მიღწევების, მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საბჭოთაო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 16 თებერვალს მიღებული დადგენილებით № 54/3 4—5 „საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ დამტკიცებულია: 1) ტიპური დებულება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ, 2) ტიპური დებულება საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსახურეების შრომის ანაზღაურების შესახებ.

პირველი ტიპური დებულების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ, შემოღების მიზანს შეადგენს მუშების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსახლეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში; შრომის ნაყოფიერების განუზრელი ზრდის უზრუნველყოფაში და ამ საფუძველზე მოსახლეობის კვების იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქტებით და მრეწველობისათვის ნედლეულის წარმოების გადიდებაში.

ეს ტიპური დებულება შედგება 13 თავისაგან: 1. სატარიფო განაკვეთები; 2. შრომის ნორმირება, 3. ანაზღაურების სისტემა მემცენარეობაში მათ შორის. ხარისხის წახალისება, 4. სტიმულირება მოსავლის დროულ და ხარისხობრივი აღებისა და საკვების დამზადებისათვის, — წახალისებამბის აღების ხარისხის; 5. შრომის ანაზღაურების სტიმულირება მეცხოველეობაში—სტიმულირება კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სტიმულირება მეცხოველეობის ცალკე სახის პროდუქციის დამზადებისათვის.

6. შრომის ანაზღაურება—ტრაქტორისტ-მემანქანეების, დანამატი კლასისათვის, წახალისება ტექნიკის მომსახურების ვადების გადიდებისათვის, დანამატი მუშაობის სტაჟისათვის; 7. ბრიგადირების, თანაშემწეების, ზმების უფროსების, მერგოლურებისა და უფროსი მუშების შრომის ანაზღაურება. ბრიგადების ხელმძღვანელი სპეციალისტების შრომის ანაზღაურება; 8. სტიმულირება პროფესიების შეთავსების, მომსახურების ნორმების გადიდების, მატერიალური რესურსების ეკონომისათვის; 9. პრემირება და შრომის დამატებითი ანაზღაურება მუშაობის ძირითადი შედეგებისათვის—პრემირება პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებისათვის, შრომის დამატებითი ანაზღაურება პროდუქციის წარმოების ზრდისათვის; 10. მეცხოველეობის სახელმწიფო კომპლექსების მუშათა შრომის ანაზღაურება სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის, ნორმირებული დავალება და მისი შესრულების სტიმულირება, მეცხოველეობის კომპლექსების მუშების პრემირება; 11. პროდუქციის წარმოებასთან არადაკავშირებული, დამხმარე და მომსახურე წარმოების, ავტომობილების მძღოლების, დამხმარე საწარმოებისა და სარეწების მუშების, სეზონური და დროებითი მუშების შრომის ანაზღაურება, —სარემონტო სახელოსნოების მუშათა შრომის ანაზღაურება, ავტომობილების მძღოლთა პრემირება, 12. დამატებითი სტიმულირება ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის სახის წარმოებისათვის —ბრინჯი, წიწიბურა, ფეტვი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, შაქრის ჭარხლის თესლი, სელი-დოლგუნეცი, თამბაქო, 13. საერთო დებულებები.

ამ ტიპის დებულებას თან ერთვის ორი დანართი—1. ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების განაწილება ჯგუფების მიხედვით საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტრაქტორისტ-მემანქანეების შრომის ანაზღაურებისათვის; 2. სანიმუშო განაგარიშება—პროდუქციის შეფასებისა და ხელფასის დარიცხვის განსაზღვრა: 1. მემცენარეობაში, დასაქმებული მუშებისათვის. 2. მერძეული ჯივის მწველავეებისათვის, პრემირების განაგარიშების ვარიანტებით, 3. მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის მომსახურე-მესაქონლეების (მწყემსებისათვის); 4. დედა ღორების, გოჭების მომსახურების სამუშაოებზე დასაქმებული მეღორეებისათვის; 5. გასასუქებელი ღორების მომსახურებაზე დასაქმებული მეღორეებისათვის; 6. გალიებში ბატარეებზე მოზარდი ქათმების მომსახურე მეფრინველე-ოპერატორებისათვის; 7. ქათმის—მოქცეულის გალიებში შენახვის მომსახურე მეფრინველე-ოპერატორებისათვის; 8. ცხვრის დედასულადობის მომსახურებაზე დასაქმებული მწყემსებისათვის.

მეორე ტიპის დებულებების—საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შესახებ, შემოღების მიზანს შეადგენს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სა-

სოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების მატერიალური და პენსიების გაძლიერება, მუშაობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

ეს მეორე ტიპური დებულება შედგება 4 თავისაგან: 1. თანამდებობრივი ხელფასის დადგენის წესი, 2. სტიმულირება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებისათვის, 3. პრემირება და შრომის დამატებითი ანაზღაურება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის—შრომის დამატებითი ანაზღაურება პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის პრემირება პროდუქციის ცალკეული სახეების წარმოებისათვის, პრემირება მეცხოველეობის კომპლექსების საპროექტო სიმძლავრის ათვისებისათვის, დასაპრემირებელი მუშაკების წრე, პრემიისა და შრომის დამატებითი ანაზღაურების სიდიდე; 4. საერთო დებულებები.

ამ მეორე ტიპურ დებულებას თან ერთვის 4 დანართი: 1. თანამდებობრივი ხელფასი—საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების; განყოფილებების, ფერმების, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების, სამკროების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების; სოფლის მეურნეობის დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების; საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მომსახურე და უმცროსი მოსამსახურე პერსონალის.

დანართი 2. ჩამოთვლა თანამდებობების საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების, რომელთაც უნაზღაურდებათ დანამატი და პრემიები, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების გადაჭარბებისათვის ტიპური დებულების შესაბამისად.

დანართი 3. ჩამოთვლა თანამდებობების—საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების, რომელთაც არ ეძლევათ პრემია და დამატებითი ანაზღაურება, მათი მიზეზით ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

დანართი 4. ჩამოთვლა დარღვევების, რომელთა დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დარიცხული პრემიები და დამატებითი ანაზღაურება, მუშაკთა ცალკეულ კატეგორიებს უმცირდებათ ან არ უნაზღაურდებათ მთლიანად.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკების შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, შემუშავებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების შემდეგ (1977 წ.) და მთლიანად პასუხობს მის მოთხოვნებს.



ამ ორ ტიპიურ დებულებაში შეტანილია ყველა ის ცვლილებები და დამატებები, რაც საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულების პროცესში იქნა მოპოვებული და მეცნიერულად გაანალიზებული 1970 წლიდან დღემდე, ამასთან გათვალისწინებულია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა და მორალური წახალისების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებანი.

შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ, ამ ორ ტიპიურ დებულებაში მოცემული სახელმძღვანელო მითითებების განუხრელი განხორციელებისათვის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ნორმირების ძირეული გაუმჯობესების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების შესახებ სოციალისტური მრეწველობის მდიდარი გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებას.

ზემოხსენებული დებულებების თითოეული საბჭოთა მეურნეობის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით შემოღება ცხადია არ ნიშნავს ამ საქმეში ადგილი ქონდეს არევიდარევის, შრომის ანაზღაურების შრავალ სახეობას, სიჭრელეს, სუბიექტურ მიდგომას, შეცდომებს.

ამ ტიპიური დებულებების მოთხოვნილებათა განუხრელი განხორციელება მთლიანად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი წარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სწორად დაგეგმვაზე, შესრულებული სამუშაოებისა და მიღებული პროდუქციის ზუსტად აღრიცხვაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში შრომის ძირითადი ანაზღაურების განუხრელი ზრდის უზრუნველყოფას და მასთან შრომის დამატებითი ანაზღაურებისა და პრემირების სწორ შეთანაწყობას. ამასთან მიზანშეწონილია სამრეწველო საწარმოთა გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენება შრომის კოლექტიური ანაზღაურების ფორმების შემოღების შესახებ.

საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების ამ ტიპიური დებულების პრაქტიკულად განხორციელების დროს მტკიცედ უნდა იქნეს დაცული სოციალისტური მეურნეობრიობის ლენინური ძირითადი პრინციპები და მატერიალური დაინტერესების ისეთი ფორმების შემოქმედებითი გამოყენება, როგორცაა პრემირება შრომითი მიღწევების, წარმატებით ორგანიზატორული მუშაობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეალებების შესრულებისათვის.

მტკიცედ უნდა იქნეს დაცული მითითებები იმის შესახებ, რომ ამ ტიპიური დებულებების საფუძველზე თითოეულ საბჭოთა მეურნეობაში პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებით, მუშავდება დებულება მუშების შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების კონკრეტულ ღონისძიებებს, მოცემული მეურნე-
5. შრომები, ტ. 112, 1980.

ობის წარმოების თავისებურებებს, პრემიების წესებს, ხელფასის და
მტკიცებული ფონდიდან და აგრეთვე გამომუშავებისა და მომსახურების
ნორმირებიდან გამომდინარე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების
(გამომუშავების) წლიური ნორმატივებიდან გამომდინარე პროდუქტების
ქმედი წესის შესაბამისად.

დებულება ყოველწლიურად მტკიცდება ზემდგომი სათანადო ორგანიზაციის
ნების ხელმძღვანელობის მიერ, პროფკავშირების შესაბამის კომიტეტთან
შეთანხმებით და დაიყვანება თითოეულ მუშაზე. შრომის ანაზღაურების
წარმოებს მოცემულ წელს საბჭოთა მეურნეობებისათვის დამტკიცებული
ლი დებულების შესაბამისად. დებულების გაუქმების ან შეცვლის შესახებ
მუშები გაფრთხილებულნი უნდა იქნენ 2 კვირით ადრე.



УДК 632.9 : 33

ბ. ზაქარაიანი

მეცნიერული პროგრამის მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სისტემაში

სსრ კავშირის მანე ორგანიზმების ფაუნა და ფლორა 10000-ზე მეტ სახეობას შეიცავს, რაც თავისი საზიანო მოქმედებით ყოველწლიურად მილიონობით ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას.

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობა თავისი შედგენილობით მრავალფეროვანია. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სიმრავლეს კი თან ახლავს მავნებელ-დაავადებათა სიმრავლე და ნაირსახეობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. ყანჩაველი მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ისეთ მაპროფილებელ დარგებში, როგორცაა მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა, მებოსტნეობა, მემინდვრეობა და ტექნიკური კულტურები, აღნიშნულია 500-ზე მეტი სხვადასხვა მავნებელი და დაავადება. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მათი სალიკვიდაციო კომპლექსურ ღონისძიებათა გატარების გარეშე შეუძლებელია ამ დარგების შემდგომი განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

მცენარეთა დაცვის აქტუალურ პრობლემად კვლავ რჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის სრული დაცვა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება მანე ორგანიზმების მოქმედებისაგან. აღნიშნული პრობლემა გლობალურია და ჯერჯერობით ნაწილობრივად და გადაწყვეტილი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ამოცანების ფონზე სრულყოფილად უნდა გადაწყდეს მცენარეთა დაცვის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: პროგნოზებისა და სიგნალიზაციის, კარანტინის, იმუნიტეტის, ინტეგრირებული, ბიოლოგიური და ბრძოლის ქიმიური მეთოდების კვალიფიკაციური წარმართვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ცალკეული რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით, მცენარეთა დაცვის მთელი სამსახურის ორგანიზაციული სრულყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ახალი საშუალებებით აღჭურვა.

მცენარეთა დაცვის ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტი-
მოითხოვს მეცნიერული და ტექნიკური კავშირების გაღრმავებას ქვეყნის
შიგნით არსებულ შესაბამის ცენტრებთან და საზღვარგარეთის ცენტრებთან
ლების კრიტიკულად შესწავლას, მეცნიერული მიღწევების დაჯილდოვებას
გამოცდილების წარმოებაში დანერგვას.

მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სისტემაში სხვადასხვა დანიშნუ-
ლებისა და მოქმედების ქიმიური საშუალებანია რეკომენდებული: ინსექ-
ტიციდები, ფუნგიციდები, ბაქტერიციდები, ნემატოციდები, ოვიციდები,
ლავრიციდები, აკარიციდები და ა. შ. აღნიშნული პრეპარატების მან-
ორგანიზმების სალიკვიდაციოდ გამოყენებისას გადაწყვეტი მნიშვნელო-
ბა ენიჭება მავნებელ-დაავადებათა განვითარების ცალკეული ციკლების
სწორ პროგნოზირებასა და დროულ სიგნალიზაციას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დღევანდელი დონე და მისი შემდ-
გომი აღმავლობა დღის წესრიგში აყენებს მცენარეთა დაცვის საშუალებო-
სოფლის მეურნეობის საჭიროების მთლიანად დაკმაყოფილებას. ამ მიზნის
მეცხრე ხუთწლედში წარმოებული იქნა 1,5-ჯერ მეტი შხამქიმიკატები, ვიდრე
წინა ხუთწლედში. 1975 წელს გამოშვებულია 438,3 ათასი ტონა. საშუალო-
წლიურმა მატებამ შეადგინა 8,35%; 1970 წელთან შედარებით 1975
წელს პესტიციდების ახალი გაუმჯობესებული ნაერთების წარმოება 22%-
ით გაიზარდა, 37 დასახელებული ქიმიური ნაერთის ნაცვლად წარმო-
ებულ იქნა 54 დასახელების სხვადასხვა პრეპარატი. მეათე ხუთწლედში წარ-
მოებული იქნა 100 დასახელების პესტიციდი, მათი წარმოება მეცხრე
ხუთწლედთან შედარებით 1,4-ჯერ გადიდა. ნავარაუდევია მიმდინარე
ხუთწლედში შეიქმნას მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოსა-
შვებად 25 ახალი საწარმო, რომელთაგან 16 პერბიციდებს გამოუშვებს.

სსრ კავშირში მეცხრე ხუთწლედის შედეგების მიხედვით ინსექტიცი-
დების გამოყენების ეფექტურობა სხვადასხვა კულტურების მიხედვით ასეთ
სურათს იძლევა: თავთავიან კულტურებში მოსავლიანობის მატებამ შეად-
გინა 3 ც/ჰა-ზე, სამარცვლე მესიმინდობაში—5,8, შეკარტოფილეობაში—
21, მებოსტნეობა-მებაღეობაში—35, სასილოსე სიმინდში—31, მებაღე-
ობაში—27, მევენახეობაში—33 ც/ჰა-ზე.

სასოფლო-სამეურნეო დარგების განსხვავებული აგროტექნიკური კო-
მპლექსი დღენიადავ მოითხოვს განუახორციელოთ ყოველმხრივი პროგ-
ნოზი მავნებელ-დაავადებათა მოსალოდნელი განვითარების შესახებ, უნდა
დავსახოთ და შევარჩიოთ გასატარებელი ღონისძიებათა ყველაზე შედე-
გიანი და მისაწვდომი ღონისძიება, რამაც უნდა უზრუნველყოს მთელი
პოტენციური მოსავლის შენარჩუნება და ამ ღონისძიებების გატარებაზე
დაწესდეს დანახარჯთა მაღალი უკუგება.

გამოჩენილი იაპონელი მეცნიერი, ტოკიოს უნივერსიტეტის სასოფ-
ლო-სამეურნეო ქიმიის ფაკულტეტის პროფესორი კოიჩი იამადა წიგნში
„მეცნიერებისა და ტექნიკის პორიზონტები“ აღნიშნავს, რომ „მემცენარე-



ობის, ნიადაგთმცოდნეობისა და სასუქების მეცნიერების დარგში მოჭრული მეცნიერული მიღწევების შედეგად სასოფლო-სამეურნეო ლოგის სრულყოფის გამო, ძლიერ გაიზარდა პროდუქციის წარმოება ფართობის ერთეულზე. მეორე—პესტიციდების გამოყენებით თითქმის საესებოთ ავიცილებთ თავიდან მოსავლის დანაკარგებს მავნებლებისა და ავადმყოფობებისაგან. ახალი პესტიციდები და ანტიბიოტიკები, რომლებიც ოცწლეულის ბოლოს შეიქმნება, კიდევ ეფექტიანად გვიხსნის ხილისა და ბოსტნეულის გაფუჭებისაგან, ვიდრე ამჟამად ხმარებული პესტიციდები“.

სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის ზრდა და მიღებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და თვით სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება პირდაპირ დაკავშირებულია მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სამეურნეო, ტექნიკურ და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ამ საკითხის რაციონალურად გადაჭრა მთლიანად დაფუძნებულია მცენარეთა დაცვის დაგეგმილ ღონისძიებათა საჭიროებისათვის გამოყოფილ მატერიალურ და ტექნიკურ საშუალებათა დროულად მომარაგებაზე. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირ შემთხვევაში ირღვევა შხამქიმიკატებით მომარაგების გრაფიკი, რაც საზიანოდ მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, 1975 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გეგმით უნდა მიეღოთ 8200 ტ შაბიამანი, მიიღეს 7200 ტ, ცინები 3500 ტონის ნაცვლად—2110; ფოსფორორგანული პრეპარატები სულ უნდა მიეღოთ 1515 ტ, ფაქტიურად კი მიიღეს 698 ტონა.

განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა მცენარეთა დაცვის საჭიროებისათვის გათვალისწინებული ტექნიკის უკმარისობა. 1977 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განაცხადი წარუდგინეს სხვადასხვა მარკისა და დანიშნულების ტექნიკის შეძენისათვის, მაგრამ მათი დაკმაყოფილება სასურველი მანქანა-იარაღებით სანახევროდაც არ შესრულდა. მაგ., „მ3ს“ მარკის სასხურ მანქანაზე მოთხოვნილება წარმოდგენილი იყო 299 ცალზე, დააკმაყოფილეს 100-ით, „მ3ტ-1“ ა“ზე ნაცვლად 1450-სა წარმოებას გაეგზავნა 720 ცალი, „მ5-400“ საკიდი სატრაქტორო სასხური-196, ნაცვლად 749 ცალისა.

სოფლის მეურნეობას დიდ სამსახურს უწევს ავიაცია. ავიაციით ხორციელდება მინერალური სასუქების შეტანა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ თხევადი და ფხვიერი შხამქიმიკატებით ბრძოლა.

ამ სამუშაოებს ძირითადად ასრულებენ „ან-2“, „იპ-12-მ“ ტიპის თვითმფრინავები და „მ1-1“, - „ბა-15“ შეველმფრენები. ცალკეული სახის ავიაციური სამუშაო სპეციფიკურობით ხასიათდება, რადგან თვითმფრი-

ნავთა და შვეულმფრენთა ექსპლუატაციური და ეკონომიკური მაჩვენებლები ხშირად დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე დასაბუთებული ფართობის სიგრძეზე, ქიმიკატების ხარჯვის ნორმებზე, მასილზე სამუშაოებელი ნაკვეთებიდან აეროდრომამდე, ფრენის სიჩქარესა და თმფრინავის ერთჯერად დატვირთვაზე, ამიტომ აღნიშნული პირობების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

50 წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა წარმატებით იყენებს ავიაციას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში პირველ ხუთწლედში დამუშავებული იქნა 64,9 ათასი ჰა ფართობი. ავიაციის გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და მისი წლიდან მიექცა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სპეციალური ავიაციის მშენებლური ფრენა-საათების რაოდენობა. 1964 წელს მწარმოებლური ფრენა-საათების რაოდენობამ 16,4 ათას საათს მიაღწია, ნაცვლად 1958 წელს 3,4 ათასის. თუ 1958 წლის ავიაციის მიერ დამუშავებული იქნა 130 ათასი ჰა, 1964 წელს ეს მაჩვენებელი 3,6-ჯერ გაიზარდა. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობაში სსრ კავშირის მასშტაბით უკვე 1 მლნ. ჰა-ზე მეტი სამუშაო შესრულდა. სამოქალაქო ავიაციის დიდ სახეობა-სამეურნეო გამოყენებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში სპეციალური დანიშნულების ავიაციის 20 სახის სამუშაოს ასრულებს.

უკანასკნელ წლებში გაფართოვდა სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენების მასშტაბები, თუ 1962 წელს ავიაციის გამოყენებით 10 დასახელების სამუშაო სრულდებოდა, 1977 წელს ეს რიცხვი 20-მდე გაიზარდა.

1977 წელს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამსახურის ჩაბმული იყო 21 თვითმფრინავი და 10 შვეულმფრენი, მოქმედებაში იყო 8 სასოფლო-სამეურნეო აეროდრომი.

1973 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენებით შეტანილ იქნა საგაზაფხულო გამოკვებისათვის მინერალური სასუქები 33168 ჰა-ზე, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი ჩატარდა 11523, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა—5205.

1976 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ავიაციის საშუალებით სულ დამუშავდა 125000 ჰექტარი.

1977 წელს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ძალებით სხვადასხვა სახისა და დანიშნულების სამუშაოები შესრულდა რესპუბლიკის 18 რაიონში 160 752 ჰა-ზე. მათ შორის ქარელის რაიონში 1500 ჰა-ზე, კასპში—718, საგარეჯოში—2800, გურჯაანში—4300, სიღნაღში—4000, წითელწყაროში—21000, ახმეტაში—17000, ყვარელში—14500, ლაგოდეხში—8000, მარნეულში—6620, წალკაში—8500, თეთრწყაროში—11500, დმანისში—7120, სამხრეთ ოსეთში—3000, აბაშაში—3000, ხობში—2000, აფხაზეთის ასსრ-ში—1000 ჰექტარზე.



1978 წელს რესპუბლიკის 18 რაიონში ავიაციის გამოყენებით დამუშავდა 171696 ჰა ფართობი. თვითმფრინავების გამოყენებით სავაზაფხულო გამოკვებისათვის მინერალური სასუქები შეტანილ იქნა 42080 ჰა-ზე, ხეობიცილები—41860, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგო ღონისძიებანი ჩატარდა 40400 ჰა-ზე. შვეულმფრენების გამოყენებით მინერალური სასუქები იმავე დანიშნულებით შეტანილ იქნა 14132 ჰა-ზე, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ—33224 ჰა-ზე.

1976 წელს ავიაციის გამოყენებით ვენახების წამლობა ჩატარდა 6658 ჰა-ზე, ხეხილისა 100 ჰა-ზე, 1977 წელს შესაბამისად —7370 და 598 ჰა-ზე, 1978 წელს—7920 და 948 ჰა-ზე; ციტრუსოვანთა წამლობა ამ პერიოდში ავიაციის გამოყენებით თითქმის უცვლელია და ყოველწლიურად 950 ჰა-ს შეადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ერთობლივი დამტკიცებული გეგმით 1979 წლისათვის ავიაციის გამოყენებით დამუშავდება 188095 ჰა ფართობი. აქედან: მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი ჩატარდება 90024 ჰა-ზე, ჰერბიციდების შეტანა—41860 ჰა-ზე, მინერალური სასუქები ადრე გაზაფხულზე გამოკვებისათვის—56212 ჰა-ზე. მათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სახის სამუშაო უნდა შესრულდეს ავიაციის გამოყენებით 198600 ჰა-ზე. აქედან: მავნებელ-დაავადებათა ბრძოლის ღონისძიებანი 95500 ჰა-ზე, ჰერბიციდების შეტანა 43500 ჰა-ზე, მინერალური სასუქების შეტანა ადრე გაზაფხულზე გამოკვებისათვის 59600 ჰა-ზე.

სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენების დიდ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ შეწამვლისა და შეფრქვევისას ავიაციის გამოყენებას შეუძლია შრომითი, მატერიალური დანახარჯების და სამუშაო დროის მკვეთრი შემცირება, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად მოქმედი გამოუმუშავების ნორმებით ერთ ჰა ვენახზე შესაქმიოკატების ხელით (ზურგსაკიდი) შესხურებისათვის საჭიროა 4,7 კაცდღე, მაშინ როცა შვეულმფრენ „ბა-15“-ს შეუძლია ამავე ფართობის ვენახი 8 წუთში შეასხუროს, ე. ი. თუ შვეულმფრენი „ბა-15“-ს ერთი დღის განმავლობაში 5—6 საათს ვამუშავებთ, შევწამლავთ 38—45 ჰა ვაზს, რაც 50-ჯერ აღემატება ამავე სამუშაოზე ხელით მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში ავიაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, იგი მაინც ვერ პასუხობს იმ გაზარდილ მოთხოვნებს, რომელსაც მას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა უყენებს. ჩვენს რესპუბლიკაში სპეციალური ავიაციის გამოყენების დონე ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, მაგალითად, აზერბაიჯანში მთელი გამოყენებული სახმარი მიწების 33,2 პრო-

ცენტი ავიაციით მუშავდება, სომხეთში—18,6, საქართველოში კი 10 ბარ
ცენტი. სსრ კავშირში ყოველწლიურად ავიაციის გამოყენებით მუშავდ
140—145 მლნ ჰა ფართობი, აშშ-ში 110—111 მლნ ჰა; სსრ კავშირში ავე
ციით დამუშავებული ფართობების რაოდენობა 1970 წელთან შედარებ
გაიზარდა 6,7-ჯერ, აშშ-ში კი 5,5-ჯერ.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენე
ჯერ კიდევ ჩამორჩება საბჭოთა კავშირისა და მოწინავე კაპიტალისტუ
ქვეყნების თანამედროვე მიღწევებს. მეცნიერულად არ არის დადგენილ
თხევადი ქიმიკატების ხარჯვის ნორმები, გადიდებული ნორმები კი საგრ
ნობლად ამცირებს თვითმფრინავების შრომის ნაყოფიერებას, ხოლო თხ
ვადი ქიმიკატების ხარჯვის ნორმების ხელოვნური ზრდა აფერხებს შრო
მის ეფექტურობის ზრდას, უარყოფითად მოქმედებს სოფლის მეურნეო
ბის პროდუქციის სიუხვესა და ხარისხზე. რაციონალურ შესხურებაზე გ
დასვლა მნიშვნელოვნად აამაღლებს სპეციალური დანიშნულების ავი
ციის მუშავთა შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს კაცდღეთა დანახარჯებ
ყოველ დასამუშავებელ ჰა-ზე. შრომატევად პროცესს წარმოადგენს თვით
მფრინავთა ავზებში ფხვიერი ქიმიკატების ჩატვირთვა, ვინაიდან იგი მეტ
წილად ხელით წარმოებს, მოუწესრიგებელია სასუქებითა და თხიერი ქი
მიკატებით ავზების დატვირთვის მექანიზაცია, მოთხოვნების დაკმაყოფ
ილებასთან შეუსაბამობაშია სასოფლო-სამეურნეო აეროდრომების რა
ოდენობა მათი სიმცირის გამო.

სკკპ XXX ყრილობამ სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკა
ციის ძირითადი ბერკეტების სისრულით ამოქმედებას განსაკუთრებულ
მნიშვნელობა მიანიჭა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენ
სიფიკაციის ყველა ფაქტორის მთელი შესაძლებლობით ამოქმედება, უწი
ნარეს ყოვლისა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებით უნდა
გადაწყდეს.



УДК 63 : 331

ჯ. ბეწაძე

ზრომითი ბალანსის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში


განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების განუხრელი აღმავლობა. ამ მოთხოვნათა ფონზე კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ზრომითი ბალანსის გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიების შემუშავება. ამიტომ გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს წარმოების პიროვნული ფაქტორის პრობლემების სწორ გადაწყვეტას.

როგორც ცნობილია, მუშახელზე მოთხოვნილება ჩვენში განუხრელად იზრდება და როგორც სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებშია აღნიშნული კვლავაც გაიზრდება როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროში. ამავ დროს ომის შორეულ შედეგებთან დაკავშირებულ დემოგრაფიულ ფაქტორთა მოქმედებას ოთხმოციან წლებში მოჰყვება ზრომისუნარიანი მოსახლეობის ნაკადის მკვეთრი შემცირება.

შექმნილი სიტუაცია მთელი სიმწვავეით აყენებს საკითხს ზრომითი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების ამოცანის შესახებ. მისი გადაწყვეტის მთავარი გზაა ზრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარება, უწინარეს ყოვლისა, ხელის ზრომის მექანიზაციის გზით შეცვლა არა მარტო ძირითად წარმოებაში, არამედ სხვა სამუშაოებზედაც.

იმ ფაქტორთა შორის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ზრომითი ბალანსის გაუმჯობესების საქმეს არის მოსახლეობის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი განვითარებისა და სრულყოფის გზით, რამაც მკაფიო გამოხატულება პპოვა სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მე-15 მუხლში ჩაწერილია, რომ „სოციალიზმის დროს, საზოგადოებრივი წარმოების უზუნაესი მიზანია ყვე-



ლაზე სრულად დააკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“.

საზოგადოებრივი წარმოების ფუნდამენტური მიზნების დასახევისათვის ერთად პარტიის „ეკონომიკური სტრატეგია—აღნიშნავს ამხანაგი ლ. ბრეჟნევი სკკპ XXV ყრილობაზე—შეიცავს იმ საშუალებების, იმ გზების ზუსტ განსაზღვრასაც, რომელსაც დასახული მიზნებისაკენ მივყავართ. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებებით გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში“ [4].

ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

საქართველოს მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები და შედეგები მკვეთრად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ამაღლდეს შრომის ანაზღაურება ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე გადაანგარიშებით საზოგადოებრივი წარმოების სექტორში, რის შესახებაც სამართლიანად იქნა აღნიშნული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. „ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყეს ხელი სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“ [5]. ბუნებრივია სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სასიკეთო გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე, რის შესახებაც წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მაჩვენებლები:

ცხრილი 1

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება განაგარიშებული ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე ფულად მაჩვენებელში (მან-ობით)

წლები	მთლიანად საზოგადოებრივი სექტორში	მათ შორის	
		კოლმეურნეობებში	საბჭოთა მეურნეობებში
1970	1085	971	1123
1971	1033	950	1165
1972	1038	986	1091
1973	1132	1028	1285
1974	1241	1117	1428
1975	1224	1100	1388
1976	1250	1100	1397

როგორც მოცემული ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელია სოფლის-



საქართველოს ენციკლოპედია

მეურნეობრივი წარმოების გარკვეული ზრდის ტენდენციები, მაგრამ ზრდა მერყევი ხასიათისაა. მაგალითად, თუ 1970 წელს ერთ საშუალო ზომის მუშაკზე უნარიან სოფლის მეურნეობის მუშაკზე მთლიანად წარმოებული მანეთის სას.-სამ. პროდუქცია (საზოგადოებრივი მეურნეობიდან), 1975 წელს მან შეადგინა 1224 მანეთი, ე. ი. გაიზარდა 8,04%-ით, ხოლო 1976 წ. 8,2%-ით. როგორც ვხედავთ, ზრდა განსაკუთრებით ბოლო ორ წელიწადში მეტად უმნიშვნელოა. სადღესო პირობები მკვეთრად აყენებს საკითხს, რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების პროდუქციის საერთო მაჩვენებლები და ერთ პირობით შრომისუნარიანზე გაანგარიშებით იზრდებოდეს უფრო სწრაფი ტემპით. რაც შეეხება კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობებს, აქაც გვაქვს გარკვეული პროგრესი ამ მხრივ, რაც ნათლად გვიჩვენებს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვაზე სოფლის მეურნეობის წარმოებისა და კოლმეურნეთა შემოსავლების ზრდისადმი. ასე, მაგალითად, თუ 1970 წელს მთლიან შემოსავალში ერთ შრომისუნარიან პირობით მუშაკზე კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებულ შემოსავალში მოდიოდა 971 მანეთი, 1976 წელს მან შეადგინა 1 100 მან., ე. ი. გაიზარდა აბსოლუტურად 120 მან-ით, შეფარდებით კი 8,8%-ით. მაგრამ, როგორც ცხრილიდან ჩანს, განსხვავება საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით ჯერ კიდევ საგრძნობია. მაგალითად, საანალიზო პერიოდის ბოლო 1976 წელს საბჭოთა მეურნეობებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 1397 მანეთი, ე. ი. 297 მანეთით, ანუ 9,4%-ით მეტი. ეს იმით არის გაპირობებული, რომ წარმოების პირობები საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ საგრძნობლად უკეთესია, ვიდრე კოლმეურნეობებში, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის საზოგადოებრივი წარმოების გადიდების დიდ შესაძლებლობებს.

ბუნებრივია, რომ „ცხოვრების დონის“ ცნება არ ამოიწურება მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობით, არამედ იგი აერთიანებს ისეთ დიდ-მნიშვნელოვან ღონისძიებებს როგორცაა კულტურული დონე და სხვა. კულტურული ცხოვრების დონის ზრდა შრომითი ბალანსის მეტად აქტიური მუხლია, რაც აგრეთვე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების და განსაკუთრებით კომუნისტის, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რის შესახებაც ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცკ-ის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე: „დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეტი ვიზრუნოთ ადამიანთა საბინაო, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის“ [3].

მშრომელთა კულტურული კეთილდღეობის ამაღლების განსაკუთრებული ფართო პროგრამა განხორციელდება მიმდინარე მეათე ხუთწლედში. მარტო განათლებას მეათე ხუთწლედში მოხმარდება 20 მლრდ მანეთი, რაც მეტად საგრძნობი ციფრია ეროვნულ შემოსავალში.

მნიშვნელოვანი ძვრებია მომხდარი სოფლის კულტურული განვითარებისათვის. მაგალითად, თუ 1940 წელს სოფლის მეურნეობას ჩვენს რეს-

პუბლიკაში ემსახურებოდა 0,8 ათასი საშუალო სას.-სამ. განათლების მქონე სპეციალისტი, 1965 წელს მან მიაღწია 2800, 1970 წ.—8300, 1974 წ.—4000, ხოლო 1975 წელს 3900. როგორც ვხედავთ, სპეციალისტების სწრაფი ზრდა, რაც დამახასიათებელია აღნიშნულ დინამიკურ მწკრივში, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სოფლის კულტურული განვითარებამ მაჩვენებლებით მეტად მაღალია და საერთო-საკავშირო მაჩვენებლებზე მას საპატიო ადგილი უჭირავს. კიდევ უფრო მაღალი ხვედრითი წონის ხასიათდება ჩვენი რესპუბლიკის მაჩვენებლები, უმაღლესი სას.-სამ. განათლების სპეციალისტების გამოშვების მიხედვით, თუ 1965 წელს სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის მომზადდა 2300 სპეციალისტი, 1970 წელს მან შეადგინა 2 900, ხოლო შემდგომ წლებში 1972, 1973, 1974, 1975 წლებში მართალია რამდენადმე შემცირების ტენდენციას ჰქონდა ამ მხრივ ადგილი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შრომითი ბალანსის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა უშუალო მწარმოებლური შრომითი რესურსების რაოდენობრივი ზრდისა, რამაც ერთგვარად განაპირობა აღნიშნული მდგომარეობა, რაც უდავოდ მოსალოდნელია მომავალშიც.

მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მაჩვენებელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მოსახლეობის რეალურ შემოსავალს. მე-10 ხუთწლიედში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 21%-ით გაიზარდა. ამასთან აბსოლუტური მატება მნიშვნელოვნად მეტი იქნება, ვიდრე წინა ხუთწლიედში. თუ 1965 წელს მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავალი საშუალოდ 600 მანეთს უდრიდა, 1980 წელს იგი მიაღწევს 1200 მანეთს, ე. ი. გაიზარდება ორჯერ.

მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების მთავარ მიმართულებად მიიძინარე ხუთწლიედში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გადიდება იქნება, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი გაიზარდა 17%-ით და მიაღწევს მე-10 ხუთწლიედის ბოლოს 170 მანეთს, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობიდან გაიზარდა 26%-ით.

რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანის გადაჭრაში დიდ როლს შეასრულებს საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. ამ მიმართულებით უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიება იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1976 წლის დეკემბერში მიღებული დადგენილების რეალიზაცია, რომელიც დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია საშუალო ანაზღაურების მქონე მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების ერთდროული გადიდების შესახებ, რის შედეგადაც ერთდროულად ჩვენი ქვეყნის 31 მლნ. კაცს გაუუმჯობესებს საყოფაცხოვრებო პირობებს, მათ შორის სოფლის მეურნეო-

გაზი საშუალო რგოლის ხელმძღვანელ კადრებსაც. ამ კატეგორიის მუშაკთა ხელფასი საშუალოდ 18%-ით გაიზარდება.

თუ განვიხილავთ სტატისტიკურ მონაცემებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მშრომელთა შემოსავლების შესახებ, დავსვამ შემდეგით, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწარმოთა ორივე ტიპში ადგილი აქვს ერთ კოლმეურნეზე და საბჭოთა მეურნეობის ერთ მუშაკზე შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას. მაგ., თუ 1965 წელს კოლმეურნე წევრებზე მთლიანად გაიცა ფული და ნატურა 152 მლნ. მან., 1970 წელს მან შეადგინა 221 მლნ. მანეთი. აბსოლუტურად გაიზარდა 67 მლნ. მანეთით, რაც პროცენტულად შეადგენს 65,2%-ს, ხოლო 1975 წელს შესაბამისად 1965 წელთან შედარებით 125 მლნ. მანეთს, ე. ი. ორჯერ და უფრო მეტად. ანალოგიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება საანალიზო წლებში ერთ კაცდღეზე გაიცემული შემოსავლების ხვედრითი წონაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობების განვითარების თანამედროვე პირობები, განსაკუთრებით მისი ტექნიკური შეიარაღებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები განუხრელად უწყობს ხელს კოლმეურნეთა რეალური შემოსავლების ზრდას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ჩვენი რესპუბლიკის მახვენებელი საერთო-საკავშირომახვენებლის დონეზე დაბალია, რის შესახებაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, კერძოდ იმის შესახებ, რომ „ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება ორჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში“ [5].

ფ. ენგელსი სოციალისტური წარმოების სოციალური შინაარსისა და მიმართულების ჩამოყალიბებისას მჭიდროდ უკავშირებდა ერთმანეთს მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და თვით ადამიანის, როგორც პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ, თავისუფალ განვითარებას. იგი აღნიშნავდა, რომ საწარმოო ძალების განუწყვეტელი და მაღალი ტემპით განვითარებისათვის, პირველად იქნება მიღწეული „ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილი იქნება არსებობა, რომელიც არა მარტო მატერიალურად სავსებით საკმაო იქნება და დღითი დღე უფრო ბარაქიანი გახდება, არამედ აგრეთვე მათი ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიას მისცემს“ [1].

ფ. ენგელსის აღნიშნული დებულებებიდან ნათლად ჩანს სოციალისტური საზოგადოების წევრთა ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობები.

განავითარა რა მარქსიზმის კლასიკოსების დებულებები ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითი სიახლენი შესძინა მათ და მოგვცა ახალი საზოგადოებრივი წყობილების უმაღლესი იდეალის ღრმა და ყოვლისმომცემი თეო-

რიები. 1903 წელს რუსეთის ს. დ. მ. პ. პროგრამის პროექტში მან უფრო სრულად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები. პროგრამის პროექტის ვანხილვისას ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა კულმურნობური შეხედულებები საზოგადოების მიზნის შესახებ და საზოგადოებრივი წარმოების გეგმავნიობის ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს არა მარტო მთელი საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ „... საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად“ [2].

ამიტომ არის, რომ სკკპ XXV ყრილობამ ხუთწლიდის მთავარ ამოცანად დასახა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით.

აღსანიშნავია, რომ თუ 1965 წელს საკოლმეურნეო წარმოებაში დასაქმებულ საშუალო-წლიური მუშაკის ანაზღაურება თვეში შეადგენდა 36 მანეთსა და 50 კაპ., ხოლო ერთი კაცდღისა 2,20 მანეთს, 1975 წლის შესაბამისად მან შეადგინა 67,60 მანეთი და 4,89 მანეთი, ე. ი. ათწლეულის მანძილზე ის გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოების მაღალი რგოლის მუშაკთა ძირითადი სატარიფო ანაზღაურება.

მიუხედავად აღნიშნული ძვრებისა, ამ საკითხში ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზი და მოუგვარებელი პრობლემაა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომითი ბალანსის გაუმჯობესების საქმეზე. განსაკუთრებით ეს მდგომარეობა თვალსაჩინოა ჩვენი რესპუბლიკის მთიანი ზონის კოლმეურნეობებში, სადაც ანაზღაურება ჯერ კიდევ შრომადღეების მიხედვით წარმოებს.

1976 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით რესპუბლიკის 739-დან 180 კოლმეურნეობა შრომის ანაზღაურებას აწარმოებდა საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ტარიფებით, ხოლო 528 კოლმეურნეობა 1968 წლიდან მოქმედი (შეფასება პირველ თანრიგზე 2,34 მან.) და უფრო მეტი ტარიფებით, საქართველოს მთიანი ზონის კოლმეურნეობების თითქმის 80% ანაზღაურებას აწარმოებს შრომადღეების მიხედვით. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ შრომის ანაზღაურება ჯერ კიდევ მეტად მერყევეა. ზემოაღნიშნული პროცენტებიდან კოლმეურნეობათა 41,3%-ში ერთი კაცდღის ანაზღაურება 2,0 მანეთი იყო, ხოლო დანარჩენ პროცენტში უფრო ნაკლები.

ჩვენი აზრით, ამ შედეგის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ამ ზონაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ტექნიკურ საშუალებათა დაწერგვას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პროგრესული მეთოდების განხორციელებას, პროდუქციის წარმოების მოსავლი-

ნობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვების გამოვლინებას და ეფექტურ გამოყენებას, საწარმო-საფინანსო დისციპლინის დაცვას და ა. შ.

კოტა როდია შემთხვევა, როდესაც საანალიზო ზონის კოლმეურნეობებში 1972—1976 წლების მონაცემებით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ანაზღაურების დონე უცვლელი რჩება. მაგ., დუშეთის რაიონში საშუალოდ შრომის ნაყოფიერების დონის საშუალო მაჩვენებელი შესაბამის წლებში გაიზარდა 13,7%-ით, ხოლო რიგ კოლმეურნეობებში ანაზღაურების დონე უცვლელი დარჩა. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რადგანაც მასიური მიგრაცია არ შეიძლება ნაწილობრივ მაინც არ იყოს ამ ფაქტით გამოწვეული.

შრომითი ბალანსის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდა. ზონის სოფლის მეცხოვრება შემოქმედებითი აქტივობის რამდენადმე დაქვეითება გამოიწვია იმ შეუწყნარებელმა უყურადღებობამ, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1976 წლის ბოლოსათვის კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ შეადგინა 3,6 მლნ. მანეთი, თუ ამას დაემატებთ წინა წლებში დავალიანებათა თითქმის ამდენივე თანხას, სურათი ნათელი გახდება. განსაკუთრებით დიდი ვადაგადაცილებული დავალიანება ირიცხება ბოგდანოვის, ახალქალაქის, ლაგოდნის, დუშეთის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, საჩხერის, ჭიათურის და სხვა რაიონებზე. ნაკვალ იმისა, რომ წლების განმავლობაში ეს თანხა მცირდებოდეს, იგი კვლავ იზრდება, რომლის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ცუდი ეკონომიკური პირობები, მაგრამ ზოგჯერ მისი გამომწვევი მიზეზი სამეურნეო ორგანიზაციის მოუქნელი, არა მიზანსწრაფული მუშაობაა, განსაკუთრებით შესაბამისი რაიონების სახბანკოს განყოფილებების, საანგარიშო-საალრიცხვო სექტორებისა, რომელთა მიზეზითაც დავალიანებით ხდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარიცხვა და გაცემა, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომითი აქტივობის საერთო მაჩვენებელზე.

თუ რა გავლენას ახდენს მატერიალური წახალისების პროგრესული სისტემის დანერგვა შრომითი აქტივობისა და საერთოდ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისადმი რწმენის განმტკიცების საქმეში, ნათლად დასტურდება აბაშისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითით და ზოგიერთი ეკონომისტის მტკიცება იმის შესახებ, რომ ზეგეგმური პროდუქციის 50%-ის გაცემა ყოველგვარ ნორმას გადაჭარბებულია, არ გამოდგება მთის ზონის კოლმეურნეთა შრომითი აქტივობისა და საერთოდ შრომითი ბალანსის გაუმჯობესებისათვის. თუკი აბაშის რაიონში მატერიალური წახალისების გაბედულმა ნაბიჯმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო და გადაჭრით აამაღლა საზოგადოებრივი წარმოებიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობაც და ხარისხიც,

რატომ არ შეიძლება ის თამამად იქნეს გამოყენებული ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ფაქტი ერთია, თუ წლების მანძილზე აბაშის რაიონის სამეურნეო მეურნეობებში სიმინდის საექტარო მოსავლიანობა 10—15 ცენტნერს აღემატებოდა, მატერიალური სტიმულირების პროგრესულმა მეთოდმა უაღრესად დიდი ნაყოფი გამოიღო და სიმინდის მარცვლის წარმოება 2,2 ჯერ გაიზარდა და 1975 წელს პა-ზე მიღებულ იქნა 33,4 ც სიმინდის მარცვალი. აი რა შეუძლია რაციონალური სოციალური პროგრამის განხორციელებას.

ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს ან სრულყოფილად არ ხორციელდება შიდასამეურნეო ანგარიში. ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ამ პრინციპზე მუშაობის დიდი და მდიდარი გამოცდილება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უკვე კარგა ხნის შემუშავებული აქვს რეკომენდაციები შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვის შესახებ, მისი ცხოვრებაში განხორციელება საანალიზო რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში არ ხორციელდება, მართალია, აქ ბევრი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორია მხედველობაში მისაღები, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ეს მეთოდი მეურნეობის გაძლიერების პროგრესული მეთოდია.

ლიტერატურა —ЛИТЕРАТУРА

1. ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბზ. 1954, გვ. 337.
2. ვ. ი. ლენინი. თბზ. ტ. VI, გვ. 51.
3. ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა სკკპ ცკ-ის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე.
4. სკკპ XXV ყრილობის მასალები. თბილისი, 1976, გვ. 54.
5. ე. ა. შვედნაძე. საქართველოს კპ ცკ საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, თბილისი, 1976, გვ. 53—54.
6. Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции, стат. сб., Тбилиси, 1977, стр. 19.



УДК 634.3 (47.93)

ბ. სარჯველაძე

მეცნიერების განვითარების საქითხები კოლხეთის დაბლობზე

სკკ XXV ყრილობის მიერ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის დასახული გრანდიოზულ ღონისძიებათა სისტემა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ბრძოლის გაშლილ პროგრამას, რომლის განხორციელება მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალიზმის ძირითად ეკონომიკური კანონის მოქმედებასთან.

მოძმე ხალხებთან ერთად აღსანიშნავია სსრ კავშირის მრავალეროვან ოჯახში შემავალი ქართველი ხალხის დიდი მიღწევები პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული რესპუბლიკის კომპარტიის XXV ყრილობაზე. მე-9 ხუთწლედში საქართველოში წარმატებით შესრულდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების გეგმები და უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე აღნიშნულ დარგებში პირველად მიიღწია უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საშუალოდ ჩვენმა ქვეყანამ; გეგმის გადამეტებით წარმოებულ იქნა 220 მლნ. მან. ზეგეგმითი პროდუქცია, მაგრამ ამავე დროს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე მთელი პასუხისმგებლობით აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაბანდებები ყოველი 100 მანეთიდან მხოლოდ 39% უკუგებას იძლევა, რომ ერთ მუშაკზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება ორჯერ ნაკლებია საშუალო-საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით.

უკანასკნელ წლებში, სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიუხედავად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგები ჩვენს რესპუბლიკაში ჩამორჩება. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული არსებული რეზერვები, დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. თანმიმდევრულად არ ხორციელდება მშრომელთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი, სრულყოფას საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია და სხვა საკითხები.

საქართველოს ბოლშევიკებს ვ. ი. ლენინი სამართლიანად მიუძღვნა და გაეთვალისწინებინათ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სეპარატივიზაცია. როგორც ცნობილია, რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისპირეთის მთელ რიგ რესპუბლიკებში ტექნიკური პროგრესის გადსოფლის მეურნეობიდან თითქმის მოლიანად განიღვებნა ხელით რაღაც გარკვეულად განაპირობა აღნიშნული რესპუბლიკების ბუნებრივი პირობებმა, კერძოდ რელიეფმა. საქართველო კი, როგორც ცნობილია რითადად მთავორიანია, ხოლო ნაწილი დაბლობებისა ჭარბტენიანი ზღუდავს საწარმოო პროცესების მექანიზაციის ფარგლებს.


საკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტროს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილებაში „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ნათქვამია, რომ მიუხედავად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების დიდი ხარვეზებიც, რაც გარკვეულ ნაწილში კოლხეთის დაბლობ სამეურნეო ათვისებასაც ეხება. აღნიშნულ დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ 1980 წლისათვის დაშრობილი და ათვისებული იქნეს ათასი ჰექტარი, ხოლო მომდევნო—5—10 წელიწადში—მთელი კოლხეთის დაბლობი.

კოლხეთის დაბლობზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენება. მიწის, წარმოების ამ ძირითადი, საშუალების რაციონალურად დასაბუთებულ გამოყენებაზეა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა-განვითარება, სოფლის მეურნეობაში დამატებით მუშაკთა მატერიალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვზე.

კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისება ისეთი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, როგორც საქართველოა, დიდი სახალხო მეურნეობის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ყურადღება ექცეოდა და ამჟამადაც ექცევა მის დროულ ათვისებასა და ხალხის სამსახურში ჩაყენებას, მეცნიერულად დასაბუთებული დაშრობითი ღონისძიებათა გატარების შედეგად საშუალება გვქვას განვავითაროთ ისეთი ძვირფასი საერთო საკავშირო მნიშვნელოვანი კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსი, ტუნგო, კეთილშობილი და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ამავე დროს მაღალ დონეზე ავიწინოთ მეცხოველეობა და მარცვლეულის წარმოება.

ბელადის მიერ მითითებული იყო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი ლიორაციულ სამუშაოთა ფართოდ გაშლის აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ-ში შეიქმნა კოლხეთის დაბლობის დაშრობის მუშაოთა სამმართველო „კოლხიდმშენი“, გამოიყო დიდძალი თანხები,



ლო 1929 წელს მოეწყო საცდელი მელიორაციული სადგური ქ. ფოთში, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა კოლხეთის დაბლობის მეცნიერულად გამოკვლევას. მაგრამ თუ გავანალიზებთ სახელმწიფოს მიერ კოლხეთის დაბლობის დასრობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის თანამედროვე დონეს, ნათლად დავინახავთ, რომ იგი სათანადოდ ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მოაზრობამ დაუსახეს კოლხეთის ამთვისებლებს.

საკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნემა, ქ. აღმათაში, ყაზახეთის პარტიული სამეურნეო აქტივის კრებაზე, როდესაც ანალიზი გაუკეთა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დიდ საქმეებს, აღნიშნა მისი დიდი ეროვნული მნიშვნელობა და ამასთანავე ის შეცდომებიც, რომლის გამოსწორება აუცილებელია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ გაუგებრობანი და შეცდომებია კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეშიც.

პირველი დიდი შეცდომა ის იყო, რომ კოლხეთის დაბლობზე ჩაის გაშენება დაწყებული იქნა ნიადაგური პირობებისა და პირველ რიგში მისი სტრუქტურის დეტალურად შესწავლის გარეშე.

შეცდომები იქნა დაშვებული აგრეთვე დასრობილ მიწებზე ერთ-ერთ პირველ საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ ორგანიზაციისას, სადაც ჩაის პლანტაციები გაშენებულ იქნა სრული მელიორაციული და წინასწარი მოსამზადებელი აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების გარეშე, რის გამო მეურნეობაში ბოლო ხუთწლედში ჩამოწერილ იქნა 107 ჰა ჩაის პლანტაცია, რომლის საბალანსო ღირებულება 809752 მანეთს შეადგენდა, აგრეთვე 38,7 ჰა დაფნის პლანტაცია, საბალანსო ღირებულებით 299 603 მანეთის და სხვ. როგორც ვხედავთ, მეურნეობაში მიწების ათვისების არასწორმა წესმა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი რაოდენობით იქნა ჩამოწერილი მრავალწლიანი კულტურები ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ჩაის პლანტაციის გაშენების არასწორმა პრაქტიკამ აქაც იჩინა თავი, რის შედეგად მეურნეობაში 1968 წელს გაშენებული ჩაის პლანტაციები დღესაც არ არის ექსპლუატაციაში შესული, ეს გარემოება განაპირობა იმან, რომ დასრობითი სამუშაოები შესრულდა დაბალხარისხიანად. გრუნტის წყლების ზედპირთან სიახლოვემ გამოიწვია მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანება და ჩაის ბუჩქის ნორმალურად განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა თბილ ადგილებში არსებობს დიდი რეზერვები მეციტრუსეობის განვითარებისა, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მოითხოვს ლიმონის კულტურის შემდგომი განვითარება როგორც ფართობის, ისე განსაკუთრებით მოსავლიანობის ზრდის გზით. ორი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კოლხეთში დაბალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ისეთი ძვირფასი სამკურნალო მცენარე, როგორიცაა ლიმონი. ცნობილია, რომ

ლიმონის კულტურა დაბალი ყინვაგამძლეობით ხასიათდება. ამიტომ მიერ შესწავლილი იქნა ის ძირითადი ღონისძიებანი, რაც ლიმონის კულტურის ნორმალურ გამოზამთრებას და ეკონომიკურ ეფექტურობას უზრუნველყოფს. ეკონომიკური ეფექტიანობის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიმონის მარტივი ტიპის გამოსაზამთრებელი ლიმონარიუმი, რომელიც მოწესი იქნა 1964 წელს ჩვენ მიერ სოფ. სუფსაში 460 კვადრატულ მეტრზე დასაზრული იქნა ჰაერგამტარი ქსოვილით. სასუქების ეკონომიკური ტიანობის განსაზღვრის მიზნით, ლიმონარიუმი დაყოფილი იქნა 3 სექსადაც შეტანილი იქნა პირველ სექციაში სრული მინერალური სასუქი (NPK) აგროტექნიკური დოზა, მეორე სექციაში ტორფის სასუქი, მესამეში ტორფისა და ნაკელის ნარევი გადამწვარ კირთან ერთად. ამ ტიპის განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადყო ტორფისა და ნაკელის ნარევის მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა, სრულ მინერალურ სასუქთან შედარებით, 1976 წლიდან ლიმონარიუმის სამივე სექციაში ვაქებს ნაკელისა და ტორფის ნარევი მინერალური სასუქის აგროტექნიკური დოზის ეკვივალენტური რაოდენობით. 1975 წელს ცდის მე-3 ვარიანტში, სადაც შეტანილი იქნა ერთ ძირ ლიმონის ხეზე 20 კგ ნაკელი, ტორფის კომპოსტი ($P_{0,5} K_{0,1}$) შეტანილი იქნა 1974 წელს), მიღებულ პირველი ვეგეტაციის 5040 ცალი ლიმონი, რაც ერთ ძირ ხეზე 210 უდრის, ფულადი შემოსავლით კი 756 მანეთს, რაც ჰექტარზე გაანგებებით 54961 მანეთს უდრის, ცალობით 366408, ხოლო თუ გავითვალნებთ, რომ აღნიშნული ჯიშის ლიმონი წელიწადში გვაძლევს მე-2 და ვეგეტაციის ნაყოფს, მაშინ მოსავლიანობა თითქმის ორჯეცდება: მაშინ, იმავე 1975 წელს, როდესაც საცდელი ლიმონის ხიდან მოკრე და სახელმწიფოზე ჩაბარებული იქნა 256 ცალი ნაყოფი, მასზე კიდევ ჩა მე-2 და მე-3 ვეგეტაციის 231 ცალი ნაყოფი. მე-3 ვარიანტი, რომელიც მოსავლიანობით, ისე ფულადი შემოსავლის 62,08%-ით უკეთესია პირველი ვარიანტის ($N_{0,4} P_{0,5} K_{0,1}$ —1 ძირზე) შედეგებთან. 1975—1976 წლებში ზამთარში სუფსის მიკროორარიონში ადგილი ჰქონდა ტემპერატურის მკვეთრი პირველ დეკადში) დაცემას—4 გრადუსამდე, რის შედეგად რაობა ლიმონის პლანტაციებიდან ნაყოფი საერთოდ არ მიუღიათ, ხოლო ლიმონის არიუმიდან სახელმწიფოს ჩაბარდა პირველი ვეგეტაციის 26000 ცალი ნაყოფი და გარდა ამისა, მიღებული იქნა 15 ათას ცალამდე მე-2 და ვეგეტაციის ნაყოფი, ე. ი. 1976 წელს მიღებულ იქნა ერთ ძირზე 500 ცალი ლამდე ლიმონის ნაყოფი, რაც 1 ჰა-ზე გადამზარებებით მილიონ უდრის. 1977 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა 36 ათასი ცალი პირველი ვეგეტაციის ნაყოფი, ხოლო ლიმონარიუმში მოსაკრევი დარჩა მე-2 და მე-3 ვეგეტაციის 12 ათასი ცალი ნაყოფი, ანუ სულ 460 კვადრატულ მეტრზე მიღებულ იქნა 48 ათასი ცალი ნაყოფი, ფულად 7200 მანეთის, ხოლო 1 ჰა-ზე გაანგარიშებით უდრის 1,05 მლნ ცალ ლიმონის ნაყოფს, ხოლო თანხით 200 ათას მანეთს უდრის და 40-ჯერ აღემატება მაღალმოსავლიანობას.



ის პლანტაციიდან ფულად შემოსავალს. მაშინ როდესაც რაიონში ყველაზე მაღალმოსავლიან 1975 წელს მიღებული იქნა დაახლოებით იმდენი რაოდენობის ნაყოფი 8,5 ჰა ლიმონის პლანტაციებიდან. აღსანიშნავია ერთი ცალი ნაყოფის თვითღირებულება სრულმოსავლიანობის დროს აღემატება ერთ კაპიკს.

ლანჩხუთის რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად ლიმონის გამოზამთრების აღნიშნული მეთოდის განხილვის შედეგად, ჩვენი მონაწილეობით შერჩეული და გამოყოფილი იქნა სუფსის კოლმეურნეობაში 12 ჰა ჯაგნარით დაფარული თვისებელი მიწის ნაკვეთი ლიმონის მარტივი ტიპის ლიმონარიუმის დასაწყობად. საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 1977 წელს გაშენდა ლიმონის 2 ჰა-ზე, ხოლო 1978 წელს მომზადდა ნიადაგი 3ა ლიმონარიუმის გასაშენებლად.

სუფსის ლიმონარიუმი მშენებლობის პროცესში დაათვალიერა რესპუბლიკის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ.

ლიმონის გამოზამთრების აღნიშნულმა მეთოდმა ფართო გამომხატურება ჰპოვა კოლხეთის ზონის მოსახლეობაში. 1977 წლისათვის მარტო სუფსის მიკრორაიონში ლიმონის მარტივი ტიპის გამოსაზამთრებელი მოწყობილი იქნა 500-მდე ოჯახში—საკარმიდამო ნაკვეთებზე. იმავე წლის ოქტომბერში სოფელ სუფსაში ჩატარებულ ზონალურ თათბირზე, რომელიც მიზნად ისახავდა ლიმონარიუმის მშენებლობას, გადაწყდა სპეციალიზებული ლიმონარიუმის მშენებლობა სუფსის მიკრორაიონში 500 ჰა-ზე, ლანჩხუთის პროტექციურ სასწავლებელში გათვალისწინებულია მომზადდეს სპეციალური ჯგუფები სუფსაში მშენებარე ობიექტების კვალიფიციური მუშებით დაკომპლექტებისათვის.

სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში კოლხეთის დაბლობ ზონაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სუფსის საცდელმა ნაკვეთმა, რომელიც შეიქმნა კოლხეთის სამელიორაციო საცდელი სადგურის ბაზაზე. 1939 წელს გაუმართლებელი მიზეზების გამო ნაკვეთი გაუქმებული იქნა და 1969 წელს კოლხეთის სამელიორაციო საცდელი სადგურის თანამშრომლებისა და ჩვენი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სუფსის საცდელი ნაკვეთი აღდგენილ იქნა, შემუშავებულ იქნა შემდგომი სამეცნიერო კვლევის 10-წლიანი გეგმა, რომლის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სუფსის მიკრორაიონის ათვისების საქმეში, მაგრამ 1971 წლის ყოვლად გაუმართლებელი მიზეზების გამო სუფსის საცდელი ნაკვეთი კვლავ გაუქმებულ იქნა და მის გვერდით გრიგოლეთის საკურორტო ზონაში ზღვის სანაპიროდან 0,5 კმ-ზე 150 ჰა-ზე შეიქმნა თევზის სატბორე მეურნეობა, მაშინ როდესაც მიმდინარე წელს საქ. კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მე-10 ხუთწლიედა სუფსის მიკრორაიონში 1000 ჰა მიწის დაშრობის შესახებ. ამიტომ მი-

ზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული სატბორე მეურნეობის გაუქმ-
ან მისი გადატანა სხვა ადგილას, მაგალითად, პალიასტომის ტბის მხარე
კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეში მნიშვნელოვანი როლი
სრულა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც 1977 წელს 11 აპრილს
იმართა ხობში, სადაც გაკრიტიკებულ იქნა როგორც სამინისტროებ
ასევე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ მუშაკები და ს
ციალისტები. თათბირზე სამართლიანად აღნიშნა, რომ კოლხეთის ათვის
ბის პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს ყველა რაიონისათუ
ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, უნდა გან
საზღვროს კონკრეტული პროგრამა მიკრორაიონის ბუნებრივ-ეკონომიკ
რი თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე.



УДК 331.012

ბ. შერევალიძე

ზროვითი რესურსების გამოყენების საკითხი

(მთიანი რაიონის ონის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მაგალითზე)

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ზროვითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც მცირეა მიწის ფონდები, მრავალდარგოვანი და შრომატევადი კულტურებია, დაბალია მექანიზაციის დონე და სხვ.

საწარმოთა რენტაბელური მუშაობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროა მშრომელთა მასების ზროვითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა. იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასმულია კომუნისტური პარტიის მიერ, წარმატებით წყვეტენ საბჭოთა ადამიანები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. მშრომელთა მასები ისტორიის შემოქმედია, ამიტომ კომუნისტური მშენებლობის დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ამაღლებას.

მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრებით, მატერიალური დოვლათის წარმოების ზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა შრომის ნაყოფიერების გაზრდა. შრომის ნაყოფიერების ამაღება თითოეული სოციალისტური საწარმოს სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია; შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებულია მუშების და კოლმეურნეების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

„შრომის ნაყოფიერება, წერდა ვ. ი. ლენინი—ეს საბოლოო ანგარიშში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად, კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, 1952 გვ. 499).

შრომის ნაყოფიერების გაზრდა ნიშნავს საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის ეკონომიას და შესაძლებლობას ქმნის ერთსა და

იმავე დროში ვაწარმოთ მეტი პროდუქცია. მეურნეობებში სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ერთ-ერთი მთავარი საკითხია საზოგადოებრივ მოვებაში წვერთა შრომითი მონაწილეობის საკითხის შესწავლა. იგი საზოგადოებას მოგვცემს გავარკვიოთ მეურნეობის შრომითი რესურსები, დავადგინოთ შრომისუნარიანი წევრების სამუშაო დროის წლიური ფონდი და დავუპირისპიროთ წვერთა საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობის საანგარიშო მონაცემებს. ამ საკითხის განხილვისას აშკარად ვხედავთ შრომისუნარიანი წევრი და რა მიზეზით არ მონაწილეობდა საზოგადოებრივ წარმოებაში, რამდენ შრომისუნარიან მუშას (კოლმეურნეს) არ გამოუმუშავებია დაწესებული მინიმუმი და დავადგინოთ გამოუყენებელი შრომითი რესურსები. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ისეთი ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს რაიონის მეურნეობებში წარმოების აქტიურებას, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სისტემის სრულყოფას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, წარმოების რენტაბელობის ღონის ამღობას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ონის რაიონის ეკონომიკის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი რესურსების უზრუნველყოფის, მათი დამაგრების და გამოყენების საკითხის შესწავლას.

აღნიშნული საკითხის შესწავლით მიიღება მეტად საინტერესო მასალა. რაიონის მეურნეობებში შრომითი რესურსების რაოდენობისა და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ 1973—1975 წლებში გაირკვეა მუშახელის გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებანი.

საჭიროა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მოხდეს სასწრაფოდ პერსპექტივაში. ონის რაიონის მეურნეობებში შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებები დამახასიათებელია სხვა მთიანი რაიონებისათვისაც. ამიტომ მოცემული რაიონის მაჩვენებელთა ანალიზი და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახული ღონისძიებები მსგავსია სხვა მთიანი რაიონებისათვის და იგი შეიძლება განვაზოგადოთ.

რაიონის მუშახელის საერთო რაოდენობა იყო: 1973 წელს 5480, ხოლო 1975 წელს 5032, აქედან შრომისუნარიანები 1973 წელს 2127 და 1975 წელს 1452, ე. ი. მუშახელის საერთო რაოდენობა 1975 წელს 1973 წელთან შედარებით შემცირდა 448-ით, ხოლო შრომისუნარიანები 675-ით. საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანები იყო 1973 წელს 38,0% და 1975 წელს 26,0%. შრომისუნარიანთა რაციონალური გამოყენება ბევრად და დამოკიდებული ქალთა და მამაკაცთა შრომის დასაქმებაზე 1973 წელს მამაკაცთა და ქალთა რიცხოობრივი განზომილება თანაბარი იყო, მაგრამ 1975 წელს ეს თანაფარდობა დაიარღვა. მამაკაცები შრომისუნარიანები იყო 478 და ქალები 974, ე. ი. ქალების რიცხვია 2,1-ჯერ მეტი. (მამაკაცები 1973



წელს იყო 1068, 1975 წელს კი 478, ე. ი. შემცირდა 590-ით, ქალები იყო 1973 წელს 1059—1975 წელს 974, შემცირდა 85-ით: შემცირების ტენდენციური განზომილება იყო მამაკაცებში 64,6% და ქალებში 8,1%.

კი იმას გვიჩვენებს, რომ მამაკაცთა შრომითი მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოებაში მცირდება.

რაიონის მეურნეობებში შრომითი რესურსების გამოყენების საკითხის შესწავლისას გამოიჩინა ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტი, კერძოდ ის, რომ შრომისუნარიანთა დიდი რაოდენობა საერთოდ არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში, 1973 წელს—608, 1974 წელს—576 და 1975 წელს—480.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის გარეშე დარჩენილი მეუზახელის რაოდენობა დიდია, მაშინ როდესაც საზოგადოებრივ მეურნეობებში გარედან მოწვეულ მეუზახელს (მუშა-მოსამსახურეებს) იყენებენ.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა თანდათანობით გადავიდა მოწინავეთა პოზიციებზე, მაგრამ ონის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არის შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში ნაკლოვანებანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკანასკნელ წლებში შემცირდა შრომისუნარიანთა რიცხვი, მაგრამ საინტერესოა, როგორი მაჩვენებლითაა შესრულებული კაცდღეები საერთოდ და ერთ წვერზე, რა რაოდენობით არის სხვაობა სამუშაო დროის ფონდსა და ფაქტიურად შესრულებულ კაცდღეებს შორის.

ამ საკითხების გარკვევა საჭიროა იმიტომ, რომ მთლიანი პროდუქციის წარმოება დამოკიდებულია ნამუშევარ კაცდღეებზე—თუ შესრულებული კაცდღეები აღრიცხულია არა ფაქტიურად გასვლით, არამედ საზოგადოებრივი შრომითი მონაწილეობით. რაც მეტია შესრულებული კაცდღეები, მით უფრო მეტი უნდა იყოს წარმოებული პროდუქცია (შრომის ნაყოფიერების არსებული დონის პირობებში).

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში გადაჭარბებით სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და დამზადების გეგმები, რაშიდაც ძირითად როლს ასრულებს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება.

ონის რაიონის მეურნეობებში უამინდობით გამოწვეული კაცდღეების კვირა და უქმე დღეების, კუთვნილი შვებულების, ავადმყოფობასთან დაკავშირებული მოცდენების გარდა შრომისუნარიან წვერთა სამუშაო დროის ფონდი, სავარაუდო გაანგარიშებით 200 კაცდღეს შეადგენს.

რაიონში და მასში შემავალ მეურნეობებში განვსაზღვრეთ კაცდღეთა ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება შესრულებულიყო არსებული შრომისუნარიანების მიერ. ეს განვსაზღვრეთ ერთი შრომისუნარიანის სამუშაო დროის ფონდის (200 კაცდღე) გადამრავლებით შრომისუნარიანთა

რიცხვზე, რის შედეგად მივიღებთ წლის განმავლობაში სამუშაო დროის ფონდს.

1973 წელს შრომისუნარიანთა რიცხვი იყო 2127 და მათგან სამუშაო დროის ფონდი იყო (2127 X 200) 425400 კაცდღე ფაქტიურად შესრულდა 269000 კაცდღე, ე. ი. არ შესრულდა 156400 კაცდღე, რის შედეგად არსებული შრომის ნაყოფიერების პირობებში საერთო პროდუქციის წარმოება შემცირდა 325312 მანეთით.

1974 წელს სამუშაო დროის ფონდიდან არ შესრულდა 120200 კაცდღე და მთლიანი პროდუქციის წარმოება შემცირდა 298096 მანეთით.

1975 წელს გამომუშავებული იყო 188000 კაცდღე, სამუშაო დროის ფონდი შეადგენდა 290400 კ/დ. და არ შესრულდა 102400 კაცდღე. საერთო პროდუქციის წარმოება შემცირდა 378880 მანეთამდე.

შესასწავლად აღებული რაიონის მეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრია განსაკუთრებული შრომის ორგანიზაციის, შრომის შედარებითი დაბალი ანაზღაურების და სხვა საკითხთა მოგვარებაში.

სკკპ XXV ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გრანდიოზული ამოცანები დასახა. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიური გზა, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განხორციელებასთან, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობასთან.

სოციალისტურ ქვეყნებში შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სამუშაო დროის გეგმავიერად განაწილების შეუზღუდველი შესაძლებლობა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ობიექტურ პირობას წარმოადგენს.

კომუნისტური საზოგადოების აშენება შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი წარმოების, განუწყვეტელი განვითარების და შრომითი რესურსების გამოყენების გადიდების საფუძველზე.

როგორც გაანალიზებული მასალებიდან გაირკვა საანალიზო რაიონში მოთხოვნილება შრომით რესურსებზე დიდია, მაგრამ მისი გამოყენება არ ხდება სრულყოფილად, რის გამოც საერთო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა შემცირდა.

მეცნიერულ საფუძველზე დამუშავებულ მეურნეობათა წარმოების გაძლიერების, მისი ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის სრულყოფის ღონისძიებები უნდა გახდეს ონის რაიონის მეურნეობებში შრომითი რესურსების გამოყენების აუცილებელ პირობად.

მეცნიერების და მოწინავეთა გამოცდილების მიღწევა, წარმოების ორგანიზაციის და ტექნოლოგიის პროგრესული ფორმების დანერგვა პრაქტიკაში უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ აღმავლობას,



შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ონის რაიონში შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდების და შრომითი დანახარჯების შემცირების ერთ-ერთი მთავარი გზა წარმოებაში ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვა.

ონის რაიონის მეურნეობებში შრომითი რესურსების არასრულყოფილად გამოყენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ადგილობრივი ბუნებრივი პირობებით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობა, რაც ზამთრის პერიოდში ოთხ-ხუთ თვეს გრძელდებოდა და შრომისუნარიანთა თითქმის 70—80% არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. ამ პერიოდში გამომუშავებული კაცდღეთა რაოდენობა მცირეა, რადგან არ არის საშუალება შრომითი მოწოდებისა საზოგადოებრივ წარმოებაში და მათ მიერ შესრულებული კაცდღეები მთელი წლის გამომუშავების 5—10%-ს შეადგენს.

ონის რაიონის პირობებში შრომითი რესურსების თანაზომიერად გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დამხმარე საწარმოების მოწყობას, რომელიც გაზრდის მეურნეობათა შემოსავალს, გააძლიერებს მის ეკონომიკას და ზამთრის პერიოდში თავისუფალი მუშახელი თანაბრად იქნება გამოყენებული. დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობათა შორისო საწარმოების შექმნას. ამ მიზნით რაიონის ხელმძღვანელობას განსახლვრული აქვს შექმნას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი ფერმა, სადაც საშუალება შეიქმნება წარმოების სპეციალიზაციის და კომპლექსური მექანიზაციის უფრო ფართო დანერგვის შესაძლებლობის, რაც ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას.

ონის რაიონის სოფლის მეურნეობა ძირითადად მეცხოველეობის მიმართულებითაა. ჩვენი პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ამ დარგის სპეციალიზაციას და კონცენტრაციას. გარკვეული ნაბიჯებიცაა გადადგმული ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მთის ზონის რაიონებში, სადაც არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესო საშუალებას იძლევა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ონის რაიონში არსებული საკვები ბაზა ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა ათვისებული, არის სათიბები ისეთ ადგილებში, სადაც უგზოობის გამო მალალნაყოფიერი ბალახები გამოუყენებელია. ვფიქრობ, აღნიშნულის ათვისება შესაძლებლობას მისცემს რაიონს არსებული მუშახელის უკეთ გამოყენებას.

მუშახელის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ადგილზე დასაქმების მიზნით საჭიროა უახლოეს წლებში რაიონის ტერიტორიაზე აშენდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის სამრეწველო საწარმო. მომავლისათვის აუცი-

ლებლად გაფართოვდეს ხილის წვენებზე დამზადებული ღვინოების, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, რეცხვით ტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებული ქიმიური კვებით გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურების კულტურა.

ცნობილია, რომ მთიან რაიონებში ერთ სულ მოსახლეზე სამუშაოდ 10—13-ჯერ ნაკლები მრეწველობის პროდუქცია მოდის, ვიდრე ბარის რაიონებში. რაიონში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაბალი დონე ზღუდავს შრომის გამოყენების სფეროს და შედარებით ამცირებს მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას. მატერიალური წარმოების ვიწრო ბაზა უზრუნველყოფს შრომითი რესურსების გამოყენების და საზოგადოებრივი შრომის სფეროში რაციონალურ დასაქმებას.

მინერალური ნედლეულის არსებული და ახლად აღმოჩენილი საბადოების ათვისებით რაიონში შესაძლებელია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარება, აუცილებლად უნდა გაფართოვდეს მინერალური წყლების ჩამოსხმის ორგანიზაცია.

ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის საფუძველზე ფართოდ უნდა განვითარდეს ხის დამამუშავებელი მრეწველობა.

ონის რაიონის ულამაზესი მთის ლანდშაფტები, მისი განუმეორებელი გარეგანი სახე თავისებური ეროვნული სიმიდრეა, რომლის უფრო მეტად გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა. რაიონის ბუნების ეს სპეციფიკური რესურსი სათანადო ღონისძიებათა გატარების შედეგად შესაძლოა გადაიქცეს მოსახლეობის დასახლებისა და მატერიალური ღონის ამალეების მნიშვნელოვან წყაროდ.

საჭიროა გეგმაზომიერად გენერალური პერსპექტიული გეგმის შესაბამისად რაიონში საკურორტო ტურისტული მშენებლობის გაშლა. ტურისტებისა და ტურიზმის მომსახურების გასაწვევად საჭირო იქნება მთელი რიგი დამხმარე საწარმოების შექმნა, რომლის განვითარება გააფართოებს შრომითი რესურსების გამოყენების სფეროს, ადგილობრივ მოსახლეობას შეუქმნის შემოსავლის წყაროს და ხელს შეუწყობს მთიანი რაიონის ეკონომიკურ აღმავლობას.

რაიონში მუშახელის უკმარისობის მიზნით ხშირად ირღვევა სამუშაოს შესრულების აგროტექნიკური და ზოოვეტმომსახურების ვადები. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებას, მათ მატერიალურ და მორალურ წახალისებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ფერმებში სამუშაოდ ახალგაზრდობის გაგზავნა-დამაგრებას.

რაიონში ხალხის დამაგრება და ცხოვრების პირობების კიდევ უფრო ამაღლება დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რომლის განხორციელებისათვის ყოველნაირი შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.



УДК 338.1

დ. ჭაცვიანია

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის შეფასება კომპენსაციური
საწარმოო შესაძლებლობის მიხედვით

სკკპ XXV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის მიერ განსაზღვრულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი შემდგომი აღმავლობის ძირითადი გზები და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. განვითარების ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშებას და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის ობიექტურ შეფასებას.

ჩვეულებრივად სას.-სამ. საწარმოს მუშაობის ხარისხის შესაფასებლად მეურნეობაში ფაქტიურად მიღწეულ შედეგს ადარებენ რაიონის (ან ზონის, ან ოლქის) მონაცემებს. თუ კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების (მოსავლიანობის, თვითღირებულების) მაღალი მაჩვენებელია მიღებული რაიონის (ან ოლქის) საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ასკვნიათ, რომ ეს კოლმეურნეობა კარგად მუშაობდა, თუ კოლმეურნეობის მუშაობის მახასიათებელი მაჩვენებლების დონე დაბალია საშუალო რაიონულზე (ან ოლქის, ან ზონისაზე), მაშინ კოლმეურნეობას აკუთვნებენ ჩამორჩენილთა რიცხვს. მეურნეობის საწარმოო საქმიანობის შეფასებისადმი ამგვარ მიდგომის დროს გულისხმობენ, რომ ყველა ისინი მუშაობენ ერთნაირ (თანაბარ) პირობებში. სინამდვილეში კი მეურნეობებში საწარმოო პირობები განსხვავებულია. კოლმეურნეობები განსხვავდებიან სპეციალიზაციის დონით, კონცენტრაციის დონით, ტექნიკური შეიარაღებით, სასუქით უზრუნველყოფით, შრომის რესურსებით და სხვა მრავალით. ამიტომაც არ არის სამართლიანი რაიონის თუ ოლქის ყველა კოლმეურნეობიდან ერთნაირ შედეგს ველოდოთ (მაგალითად, ერთნაირი შრომის ნაყოფიერება) და მათი საწარმოო საქმიანობა შევაფასოთ საშუალო მაჩვენებლიდან გადახრით.



აფხაზეთის ასსრ მეჩაიეობის საწარმოო ტიპის 42 კოლმეურნეობის დაჯგუფება შრომის
 ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორების კოლმეურნეობაში არსებული პოტენციალის
 შესაძლებლობათა გამოყენების მიხედვით *

ჯგუფები	რაიონის სოფლის მეურნეობების ს.მ. მართველო	კოლმეურნეობათა ჯგუფები (Yi - Yi) მიხედვით	კოლმეურნეობების №	კოლმეურნეობის დასახელება	შრომის ნაყოფიერების დონე, კაცდღე ერთ ც-ზე	შრომის ნაყოფიერების დონე, კაცდღე ერთ ც-ზე	გადაბრა შრომის ნაყოფიერების გაანგარიშებულ (თეორიულ) დონისა ფაქტიურიდან, კაცდღე ც-ზე
	1	2	3	4	5	6	7
I	ვალის	-0,65-ზე უკეთ მო-წიავე	6	1 გალი—ნარინჯოვანი	5,70	6,78	-1,08
	ვალის		10	რეიზოცხრი-წ. არშ. საბ.	5,30	6,30	-1,00
	ოჩამჩირის		2	ბესლახების—შახარაძის	5,18	6,07	-0,89
	ვალის		16	წარჩე—ეშბას სახელობის	6,65	7,51	-0,86
	ვალის		31	თაგილონი—კალინინის სახ.	6,10	6,0	-0,80
ოჩამჩირის	35	ბეღია—აფსნი ყაფშ	9,80	10,55	-0,75		
II	ვალის	-0,65-ზე უკეთ მო-წიავე	5	ნაბაკევი—კიროვის სახ.	5,47	6,05	-0,58
	ოჩამჩირის		27	კინდლი	8,00	8,56	-0,56
	ოჩამჩირის		33	კვიტოული	7,10	7,64	-0,54
	ვალის		9	ოჭკომი—ლენინის სახ.	4,90	4,3	-0,53
	გუდაუთის		12	დურიფში	4,64	5,17	-0,53
	ვალის		20	ნაბაკევი—შრომა	6,10	6,63	-0,53
	ვალის		24	ბეღია—საქართველო	6,10	6,45	-0,35
	გუდაუთის		29	ხოფი	7,30	7,57	-0,27
ვალის	26	1 გალი—საბჭ. კონსტ-ის	6,32	6,57	-0,25		

	1	2	3	4	5	6	7
I	გალის	+ 0,20 მ-მე	14	ლევანთა—კომკავშირის	6,15	6,33	+0,18
	გუდაუთის		13	ლიხნი—24 ყრილობის სახ.	5,92	6,08	+0,13
	სოხუმის		3	შრომა—გამარჯვება	5,30	5,32	+0,02
	ოჩამჩირის		11	ქლოუ—ლაკობას სახ.	4,50	4,51	+0,01
	გალის		19	თავილონი—ლაკობას სახ.	6,40	6,37	+0,03
	ოჩამჩირის		8	ფოქვეში	5,50	5,44	+0,06
	ოჩამჩირის		17	მოქვი—ჯალი	6,25	6,29	+0,04
	გალის		4	თავილონი—ედანოვის სახ.	5,90	5,93	+0,03
	ოჩამჩირის		7	აიარა—ჯანბა	3,40	3,23	+0,17
	გალის		23	წარჩე—წითელი დროშა	7,85	7,69	+0,16
გალის	15	საბერიო—განთიადი	7,00	6,82	+0,13		
გალის	21	ანიგვარა—რუსთაველი	6,64	6,64	+0,20		
IV	გალის	+0,21 დან +0,65- მე საშუალოზე ცუდა	32	მუხური—ჯგუბურიას	6,27	6,06	+0,21
	გალის		36	საბერიო—ორჯონიკიძე	8,30	8,01	+0,29
	ოჩამჩირის		39	თხინა—ლენინის სახ.	9,70	9,41	+0,29
	ოჩამჩირის		41	გუფი—აფსნი	11,00	10,66	+0,34
	ოჩამჩირის		37	გვადა—სუვოროვის სახ.	8,50	8,15	+0,35
	ოჩამჩირის		38	ილორი—კომკავშირის	8,90	8,44	+0,46
	გალის		1	რენსოტხიბი—წერეთლის სახ.	5,30	4,81	+0,49
	გალის		25	ლემურაში—ფარფალია	6,80	6,16	+0,64
V	ოჩამჩირის	+0,65-ზე- წამორჩენილი	18	ოტაპი—აბზაიხარა	7,60	6,92	+0,68
	ოჩამჩირის		34	კოჩარა—საქართველო	6,08	5,36	+0,72
	ოჩამჩირის		28	ჯგერდა—პრავდის სახ.	7,67	6,93	+0,74
	გალის		40	ჩხორთოლი—ბარათაშვილის სახ.	8,30	7,55	+0,75
	ოჩამჩირის		42	ოხურეი—რუსთაველის სახ.	10,10	9,30	+0,80
	გალი		22	მუხური—შეშელეთი	6,20	5,27	+0,93
	გალი		30	ღიხაზურგა—ჭავჭავაძის სახ.	7,60	6,43	+1,17

* მაჩვენებლები გაანგარიშებულია 1972—1973—1974 წლების საშუალო შეწონილის მიხედვით.

მრავალფაქტორიანი რეგრესიული მოდელის საფუძველზე მივიღოთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მონაცემების ობიექტური შეფასება.

რეგრესიის განტოლება გვაძლევს მტკიცე საფუძველზე წარმოების სამეურნეო საქმიანობის ურთიერთშესაბამისად, ვინაიდან იგი მხედველობაში იღებს უფრო მნიშვნელოვან საწარმოო ფაქტორებს.

მაგალითისათვის ავიღოთ შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი აფხაზეთის მეჩაიეობის კოლმეურნეობებში. ამ შემთხვევაში საფუძვლად უნდა ავიღოთ მეჩაიეობაში შრომის ნაყოფიერების თარიღი (გაანგარიშებითი) დონე, რომელიც გაანგარიშებულია რეგრესიულ განტოლებით ($\bar{y} = a + b_1x_1 + b_2x_2 + \dots + b_nx_n$) გამოსაკვლევი თობლიობის თითოეული კოლმეურნეობისათვის. ამგვარი დონე განიღვრება რეგრესიის განტოლებაში უცნობი x_i -ის ნაცვლად თითოეული კოლმეურნეობისათვის ფაქტორ-არგუმენტის კონკრეტული მნიშვნელობის ჩასმით. შრომის ნაყოფიერების ფაქტიურ და გაანგარიშებით (თარიღულ) დონეს შორის სხვაობა ($y_i - \bar{y}_i$) კოლმეურნეობებში ახასიათებთ მუშაობის ხარისხს.

გამოვიყენეთ ჩვენი კვლევის ობიექტის ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით გაანგარიშებული (y_i და \bar{y}_i), დავადგინეთ მოწინავე და მორჩენილი კოლმეურნეობები; გარდა ამისა გამოვყავით ჯგუფები, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის კოლმეურნეობაში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობათა გამოყენების მაჩვენებლების მიხედვით.

ცხრილში კოლმეურნეობები დალაგებულია რანჟირებულ მწკრივში შრომის ნაყოფიერების გადიდების პოტენციურ შესაძლებლობის მოყენების მიხედვით (-1,08-დან + 1,17-მდე). ცხრილში პირველ (6, 2, 10, 16, 31 და 35) კოლმეურნეობას (I-ჯგუფი) თეორიულად გაანგარიშებულზე მნიშვნელოვნად ნაკლები (0,75-დან 1,08-მდე) კაცდღე და დახარჯული 1 ც ჩაის წარმოებაზე, შესაბამისად თეორიულ გაანგარიშებულზე უფრო მეტად გააძლიერეს შრომის ნაყოფიერება. ასე, მაგალითად I-გაღის კ-ბა ნარინჯოვანს შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები ამ კოლმეურნეობაში არსებული დონის მიხედვით 1 ც ჩაის მოყვანაზე უფრო და დაეხარჯა 6,78 კაცდღე, ფაქტურად კი დახარჯა 5,70 კაცდღე, ანუ 1,08 კაცდღით ნაკლები ყოველ ცენტნერზე, ე. ი. შრომის ნაყოფიერება უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე იგი მისი შესაძლებლობის მიხედვით იყო მოსალოდნელი და მის საწარმოო პირობებს შეეფარდებოდა, ე. ი. უკეთესად იმუშავა თავისი საწარმოო პირობების მიხედვით და უკეთეს შედეგს მიიღწია. ასეთივე მსჯელობა შეიძლება თითოეულ კოლმეურნეობაზე, რომლებიც საკვლევ ერთობლიობაშია ჩართული. ეს კოლმეურნეობები ამ ნიშნით მოწინავეებად შეიძლება ჩაითვალოს.

ცხრილში ბოლო შვიდ კოლმეურნეობაში (V ჯგუფი №№ 18, 34, 24, 40, 42, 22 და 30) თეორიულად გაანგარიშებულზე მნიშვნელოვნად მეტ



(0,68-დან 1,17) კაცდღე იხარჯება 1 ც ჩაის წარმოებაზე, ცხადია თეორიულად გაანგარიშებულთან შედარებით შეამცირეს შრომის ნაყოფიერება, ასე მაგ., სოფ. ცოჩარას კოლმეურნეობა „საქართველოს“ შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედ ფაქტორთა (რომლებიც მოედელშია ჩართული) არსებული დონის მიხედვით, 1 ც ჩაის წარმოებაზე უნდა დაეხარჯა 5,36 კაცდღე, ფაქტიურად კი ხარჯავს 6,08 კაცდღეს, ე. ი. 0,72 კაცდღით მეტს ყოველ ცენტნერზე, ცხადია შრომის ნაყოფიერება პოტენციალურ შესაძლებლობასთან შედარებით შემცირდა, ე. ი. ვერ გამოიყენეს შესაძლებლობანი, ცუდად იმუშავეს. ასევეა დანარჩენ ექვს კოლმეურნეობაში (V ჯგუფი). ამდენად V ჯგუფის კოლმეურნეობები ამ ნიშნით ჩამორჩენილ კოლმეურნეობებად უნდა ჩავთვალოთ.

დანარჩენი 28 კოლმეურნეობა უნდა ჩაითვალოს შრომის ნაყოფიერების გადიდების ფაქტორების პოტენციალურ შესაძლებლობათა საშუალოდ სწორმალურად გამოყენებულებად, მაგრამ, ჩვენი აზრით, აღნიშნული 28 კოლმეურნეობაც შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად (ცხრ. 1, II, III და IV ჯგუფები). აქედან III ჯგუფში შედის ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც პოტენციალურ შესაძლებლობიდან უმნიშვნელო ზომით უხვევენ უარყოფითი ან დადებითი მიმართულებით—ზღუს 0,20-დან მინუს 0,20-მდე (კოლმეურნეობები №№ 14, 13, 3, 11, 19, 8, 17, 4, 7, 23, 15 და 21); II ჯგუფში კი საშუალოზე უკეთესი კოლმეურნეობებია (№№ 5, 27, 33, 9, 12, 20, 24, 29, 26), რომლებიც 1 ც ჩაის წარმოებაზე თეორიულად გაანგარიშებულზე ნაკლებს ხარჯავენ 0,21-დან 0,65 კაცდღემდე; IV ჯგუფში საშუალოზე ცუდი კოლმეურნეობებია (№№ 32, 36, 39, 41, 37, 38, 1 და 25), რომლებიც 1 ც-ზე თეორიულად გაანგარიშებულზე მეტს ხარჯავენ 0,21-დან 0,65 კაცდღემდე.

ამგვარად—I ჯგუფი—მოწინავე კოლმეურნეობები—1 ც/ზე ამცირებენ შრომის დანახარჯს—0,65 კაცდღეზე უფრო მეტით.

II ჯგუფი—საშუალოზე უკეთესი—1 ც-ზე ამცირებს შრომის დანახარჯს 0,21-დან 0,65 კაცდღემდე.

III ჯგუფი—საშუალო—1 ც-ზე ამცირებენ ან აღიდეგენ შრომის დანახარჯს 0,20 კაცდღემდე;

IV ჯგუფი—საშუალოზე ცუდი—1 ც-ზე აღიდეგენ შრომის დანახარჯს 0,20-დან 0,65 კაცდღემდე;

V ჯგუფი—ჩამორჩენილი კოლმეურნეობები—რომლებიც 1 ც-ზე აღიდეგენ შრომის დანახარჯს 0,65 კაცდღეზე უფრო მეტით.

შრომის დანახარჯის მიხედვით დაჯგუფებით დადგინდა რომ 13 კოლმეურნეობა ცენტნერზე ხარჯავდა 6 კაცდღემდე, 6—8 კაცდღემდე—21 კოლმეურნეობა, ხოლო 8 კაცდღეზე მეტს—8 კოლმეურნეობა, მაშინ როცა შრომის ნაყოფიერების საშუალო დონე 42 კოლმეურნეობაში უდრიდა 6,74 კაცდღეს ცენტნერზე. მიუხედავად ამისა ჩვენ მიერ წარმოებულ ახალ დაჯგუფებაში მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ჯგუფებში მოხვე-
7. შრომები, ტ. 112, 1960.

და კოლმეურნეობანი შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა დონით ეს კონ
წმობს იმას, რომ სას.-სამ. საწარმოთა შეფასების მოცემული მეთოდით
დველობაში იღებს არა მხოლოდ 1 ც პროდუქციაზე კაცული დასახარ
სიდიდეს ჩაის წარმოებაში, არამედ კოლმეურნეობის მიერ მის განკარგ
ლებაში არსებული საწარმოო რესურსების გამოყენების ზომას და გა
ყენების ხარისხს.

შრომის ნაყოფიერების ფაქტიურსა და გაანგარიშებით (თეორიუ
დონეს შორის გადახრის ინფორმაცია უნდა გამოიყენონ სპეციალისტ
მა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სას.-სამ. წარმოებაში მოქმე
ფაქტორების გამოყენების ხარისხის შესაფასებლად.



УДК 338 . 1

ლ. ჩიხურდანიძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სსრ მკვლევარების საზოგადოებაში

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სულ უფრო ნათელი ხდება მსხვილი წარმოების უპირატესობა წვრილთან შედარებით. მხოლოდ მსხვილი წარმოების პირობებშია შესაძლებელი სრულად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული მაღალმწარმოებლური მანქანა-იარაღები, ფართოდ დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილებანი, ამალღდეს მიწის სავარგულების ეფექტიანად გამოყენება.

წარმოების კონცენტრაციის საბოლოო შედეგი თავის გამოხატულებას პოულობს შრომის ნაყოფიერების ამალღებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში, კაპიტალდაბანდების უკუგების ეფექტიანობაში.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია ხორციელდება საწარმოების შემდგომი გამსხვილების, სპეციალიზაციის გაღრმავების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მეშვეობით. სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წარმოების კონცენტრაცია უპირატესად ხორციელდება ინტენსიფიკაციის გზით.

სოფლის მეურნეობაში წარმოების კონცენტრაციის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ საერთო პროდუქციის მოცულობა და მეურნეობის სიდიდეზე არ უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მიწის ფართობით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „მეურნეობის ოდენობის შესახებ მიწის რაოდენობა მოწმობს მხოლოდ არაპირდაპირ, და ეს „მოწმობა“ მით უფრო ნაკლებ სარწმუნოა, რაც უფრო ფართოდ ხდება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია, ხოლო მეურნეობის პროდუქტთა ღირებულება მოწმობს მის ოდენობას არაპირდაპირ, არამედ პირდაპირ და ამასთან ყველა შემთხვევაში“¹.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 74.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დამატებით არაპირდაპირ მაჩვენებლებს წარმოადგენს: მიწის სავარგულებს ფართობი, ნათესის და მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, მომსახურეების რაოდენობა და სხვ. ეოთი სპეციალიზაციის მქონე საწარმოებისათვის ამ მაჩვენებლების საშუალებით შესაძლებელია პირდაპირ დავახასიათოთ მეურნეობის სიდიდე, წარმოების კონცენტრაციის დონე.

წარმოების კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა არ უნდა დავყენოთ პირდაპირ დამოკიდებულებაში წარმოების მასშტაბის გადიდებასთან. ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის მოცემული დონის პირობებში კონცენტრაციას აქვს გარკვეული საზღვრები, რომლის იქით მცირდება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდეების განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორიდან ყველაზე მეტ გავლენას ახდენს წარმოების სპეციალიზაციის, საწარმოო მიმართულების ხასიათი. ასე; მაგალითად, მევენახეობის მიმართულების მეურნეობები წარმოებებს ეწევიან უფრო მცირე ფართობზე, ვიდრე მარცვლეულის მიმართულების მეურნეობები. აქედან გამომდინარე მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მის საწარმოო სპეციალიზაციასთან.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიდიდის ოპტიმალურობის კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ მაღალი საწარმოო შედეგების უზრუნველყოფის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შრომის ნაყოფიერების მაღალი დონე და პროდუქციის დაბალი თვითღირებულება.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს რესპუბლიკაში ყურძნის წარმოების მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები მსხვილი მეურნეობებია, რასაც მოწმობს 1-ელი ცხრილის მაჩვენებლები.

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების საშუალო სიდიდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით ცვალებადობს 0.437 ათასი ჰა-დან (II ზონა) 2,6 ათას ჰა-მდე (I ზონა). სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მრავალწლიანი ნარგავების სიდიდის მიხედვით გამოირჩევიან I, III, IV, VIII ზონის საბჭოთა მეურნეობები. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მიხედვით გამოირჩევა I ზონის საბჭოთა მეურნეობები—საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაში წარმოებულია 1122,8 ათასი მანეთის პროდუქცია; საერთო პროდუქციის წარმოების მიხედვით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს X ზონის საბჭოთა მეურნეობებს—ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდის 419,9 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია. ასევე ზონებს შორის განსხვავებაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების და საბრუნავი ფონდების სიდიდის მიხედვით.



მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების საშუალო სიდიდე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონების მიხედვით

სპეციალიზაციის საწარმოო ზონები	მოდის ერთ საბჭოთა მეურნეობაზე					
	სას-სამ. სავარგული, ათას ჰა	სას-სამ. ნარეული, ათას ჰა	სას-სამ. დანიშნულების ფონდები, ათას.მან.	მრავალწლიანი ნარგავობა, ათას მან	საბრუნავი ფონდები, ათას მან	ს/მ-ის სა-ოლქცია, ათას. მან.
I ზონა	2,681	963	5186,9	4075,2	559,8	1122,8
% საშუალო მაჩვენებლებთან	109	128	115	121	129	130
II ზონა	0,437	334	2418,3	1720,6	148,1	467,3
% საშუალო მაჩვენებლებთან	18	44	53	51	34	54
III ზონა	2,228	665	5483,3	3381,0	405,5	797,6
% საშუალო მაჩვენებლებთან	91	89	121	101	93	92
IV ზონა	19,474	1399	4845,7	2607,2	16,1	920,2
% საშუალო მაჩვენებლებთან	795	187	107	78	3,9	107
V ზონა	2,354	1014	5272,2	4160,2	455,1	916,5
% საშუალო მაჩვენებლებთან	96	135	117	124	105	106
VIII ზონა	1,578	498	3036,7	1896,0	359,9	668,9
% საშუალო მაჩვენებლებთან	64	66	67	57	83	77
X ზონა	0,843	308	2628,7	2026,9	214,5	419,9
% საშუალო მაჩვენებლებთან	34	41	58	60	49	48
საშუალოდ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში	2,448	747	4512,9	3349,6	432,8	862,9

1-ლი ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შედარებით მაღალი კონცენტრაციის დონით გამოირჩევა I, III, IV, V, VIII ზონის საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის დამახასიათებელია კონცენტრაციის დაბალი დონე.

საერთოდ საქართველოს სსრ-ში საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდის 2,448 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მათ შორის 747 ჰა მრავალწლიანი ნარგავობა, 4512,9 ათასი მანეთის ძირითადი საწარმოო ფონდები, 432,8 ათასი მანეთის მოხმარებული საბრუნავი საშუალებები. საშუალოდ წარმოებულია ერთ მეურნეობაზე 862,9 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია.

საქართველოს სსრ მევენახეობის და სხვა მრავალწლიანი კულტურების საბჭოთა მეურნეობების ოპტიმალურ სიდიდედ მეცნიერები მიიჩნევენ 700—1200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, აქედან გამომდინარე ჩვენ მიერ საკვლევად აღებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების

უმრავლესობა და კერძოდ I, III, V, VIII ზონის საბჭოთა მეურნეობებში შეიძლება ოპტიმალური სიდიდის მეურნეობებად ჩაითვალოს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის მაქსიმალური წილი დაპირობებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და რენტაბელობის ამაღლებას. ამ კანონზომიერების სამართლიანობა მოწმობს მე-2 ცხრილის მონაცემები.

კონცენტრაციის დონის მაჩვენებლად შერჩეულია საერთო პროდუქციის მოცულობა. საბჭოთა მეურნეობების ასეთი დაჯგუფების შედეგად შეიძლება სურათს ვლედულობით. მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სავარგული 2,5-ჯერ მეტია პირველისაზე, ფლობს 2,9-ჯერ მეტ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად საწარმოო ფონდებს, 3,0-ჯერ მეტი ღირებულების მრავალწლიან ნარგავებს, 3-ჯერ მეტია მუშათა სიობრივი რიცხვი. 1,1-ჯერ მეტი საწარმოო დანახარჯია გწეული 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.

შესაბამისად მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობები პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით საწარმოებენ 3-ჯერ მეტ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციას, 2,8-ჯერ მეტია საერთო პროდუქციის გრძელვადიანობა ყოველი 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან, 2,4-ჯერ მეტი საერთო პროდუქციაა მიღებული ყოველ 1000 მან. ძირითად საწარმოო ფონდებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის უფრო მაღალი ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებიც. თუ პირველ ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში 1000 მან. საწარმოო დანახარჯზე მიღებულია 307,9 მანეთის საერთო პროდუქცია, მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში მიღებულია 798,6 მანეთის საერთო პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში 5-ჯერ მაღალია, ვიდრე პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში. პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში მიღებულია საშუალოდ 11,5 ათასი მანეთის ზარალი, მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში კი საშუალოდ 806,9 ათასი მანეთის მოგება.

კონცენტრაციის დონის ზრდის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის ტენდენცია ჩანს არა მარტო პირველი და მეხუთე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობების შედარებით არამედ მეორე და მესამე, მესამე და მეოთხე, მეოთხე და მეხუთე ჯგუფების საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთ შედარებითაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში დამოკიდებულია ძირითადი დარგის—მევენახეობის



სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა
მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში (1970—1976 წწ.)

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	საბჭოთა მეურნეობების ჯგუფები საერთო პროდუქციის მიხედვით (ათას მან.)					V-ჯგუფი % I-თა 6
		I	II	III	IV	V	
		300-მდე	301—600	601—900	901—1200	1200 ზევით	
საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა			8	7	10	22	
მოდის ერთ საბჭოთა მეურნეობაზე:		9					
სასოფლო - სამეურნეო სავარგული	ჰა	1219	1797	1858	3212	2969	843
სას.-სამ. დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები	ათას. მან.	2336,7	3563,9	4077,1	5884,0	6924,4	276
მრავალწლიანი ნარგავობა	—	1826,8	2265,1	2716,9	4040,5	5552,1	303
ძირითადი საწარმოო ფონდები ახალგაზრდა ნარგავობის გარე-მომუშავეთა საშუალო წლიური რიცხვი	—	1466,7	2671,3	3153,8	4640,0	5857,4	399
საწარმოო დანახარჯები 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	კაცი	395	596	868	832	1213	307
წარმოებული სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია:	მან.	600	500	668	643	663	110
100 ჰა სას.-სამ. სავარგულზე	მან.	18499	30880	37291	32119	53199	287
1000 მან. სას.-სამ. დანიშნულების	—	96,50	155,70	169,94	175,0	227,0	235
ძირითად საწარმოო ფონდებზე იგივე ფონდებზე ახალგაზრდა ნარგავობის გამოთიშვის შემთხვევაში	—	153,75	207,73	219,69	222,0	268,0	174
1000 მან. საწარმოო დანახარჯზე	—	307,90	616,85	557,68	723,10	798,63	259
ერთ საშუალო-წლიურ მუშაკზე	—	569	931	798	2328	2373	416
ერთ კაცდღეზე	—	2,74	5,05	4,59	5,47	6,86	250
კაცდღის ანაზღაურება	—	5,00	4,73	4,56	4,98	5,11	102
მოგება	—	11,5	-20,3	104,6	295,9	806,9	7016

სიდიდებზე, რაც უფრო დიდია მევენახეობის კონცენტრაცია, უფრო მაღალია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები დაჯგუფებულია ძირითადი დარგის—მევენახეობის კონცენტრაციის დონის მიხედვით. ეს საბჭოთა მეურნეობები, სადაც წარმოებულია ყურძნის შესაბამისად მეტი რაოდენობა, ხასიათდება შესაბამისად მრავალწლიანი ნარგავობის მეტი ფართობით და მათ შორის სრული მსხმოიარე ვენახის ფართობით.

კონცენტრაციის დონის ზრდის შესაბამისად იზრდება ყურძნის მოსავლიანობა, თუ პირველი ჯგუფი საბჭოთა მეურნეობისათვის ყურძნის მოსავლიანობა შეადგენს 23,5 ც მეორე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებისათვის

მევენახეობის კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში (1970—1976 წწ.)

საბჭოთა მეურნეობების ჯგუფები ყურძნის წარმოების მიხედვით, ათასი ცალი (ათასი ცენტნერი)	მრავალწლიანი ნარგაობა			ყურძნის მოსავლიანობა		საწარმოო დანახარჯები		
	მ. შ. ვენახი	სრული მსხმოიარე		ერთ მეურნეობაზე	ერთ ჰა ნარგაობაზე	ერთ ჰა-ზე	ერთ ც-ზე	1 ც ყურძენზე შრომატანადობა
		სულ	მსხმოიარე					
... 10-მდე ზრდის ტემპი	513	381	189	4440	20,49	911	38,80	4,4
10,1—20 % 1-ჯგუფთან	100	100	100	100	100	100	100	100
20,1—30 % 11-ჯგუფთან	793	629	427	16174	37,87	1309	34,57	3,3
30,1 ... ზევით % 111 ჯგუფთან	154	165	225	364	161	143	89	83
საშუალო მაჩვენებელი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის	1168	953	763	26084	34,18	925	27,06	2,8
	147	151	178	161	90	70	78	86
	1284	1208	938	47261	50,38	1219	24,19	8,04
	109	126	123	181	147	131	89	105
	800	652	447	66940	38,0	1139	30,5	3,30

37,8 ც, ზრდის ტემპი 161% უდრის. შესაბამისად თუ პირველი ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში 1 ც ყურძნის ფაქტიური თვითღირებულება 38,80 მან. მეორე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობებში შემცირდა 34,57 მანეთამდე, ე. ი. 11%-ით. მესამე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის თვითღირებულება შემცირდა 27,06 მანეთამდე, ე. ი. 22⁰/₁₀-ით. მეოთხე ჯგუფში მესამესთან შედარებით მოსავლიანობა გაიზარდა 47%-ით, თვითღირებულება შემცირდა 11%-ით.

მესამე და მეოთხე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც მევენახეობის მაღალი კონცენტრაციის დონით გამოირჩევიან შრომის ნაყოფიერების, მოსავლიანობის და პროდუქციის თვითღირებულების უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, ვიდრე საერთოდ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი საშუალო მაჩვენებლები, ხოლო პირველი და მეორე ჯგუფის საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლები დაბალია საერთო საშუალო მაჩვენებლებზე.

ზემოთ მოტანილი ანალიზებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ძირითადი დარგის მევენახეობის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად იზრდება საერთო პროდუქციის გამოსავალი, რაც საბოლოო ჯამში ზრდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას.



УДК 338 . 11 . 33

ზ. ინასარიძე

მონომიკური პროცესების საინფორმაციო მახასიათებლები სასოფლო-სამეურნეო საწარმოში

ინფორმაცია—ვერც ერთ თანამედროვე ენაზე გამოცემულ ლექსიკონში ვერ ვნახავთ ასეთ ფართო და ღრმა შინაარსის სიტყვას, როგორც ინფორმაცია და ეს გასაგებიც არის, ეს იმიტომ, რომ ინფორმაციის გადაცემა და დამუშავება ადამიანმა დაიწყო ალბათ იმ დროიდან, როდესაც მან პირველად გამოიყენა ყველაზე მარტივი შრომის იარაღი და მიიღო უფლება წოდებულიყო ადამიანად. ჩვენი წინაპრების უძველესი დროის კვლევებზე ნახატები, პირველი ცდები, რომ შეექმნათ ენა და დამწერლობა, პირველი ცდები, რომ ინფორმაცია გადაეცათ შორ მანძილზე ხმისა და სინათლის საშუალებით, ნაკვალევის გაშიფვრა, რომელსაც გარეული ცხოველები ტოვებდნენ ტყის ბილიკებზე, ყველა ესენი მაგალითებია ინფორმაციის შენახვისა, გადაცემისა და დამუშავების ოპერაციებისა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ინფორმაცია სრულიად ახლახან გახდა მეცნიერული კვლევის საგანი. ახალ მეცნიერებას ინფორმაციის თეორიას საფუძველი დაედო მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1928 წელს ამერიკელმა მეცნიერმა ხარტლიმ ჟურნალ „ბელილ სისტემ ტექნიკ“-ში გამოაქვეყნა სტატია „ინფორმაციის გადაცემა“. ამ სტატიაში მან წარმოადგინა ინფორმაციის რაოდენობათა საზომი. ხოლო მოგვიანებით კი მეორე ამერიკელმა მეცნიერმა კლოდ შენონმა მოგვცა ინფორმაციის რაოდენობის სხვა საზომი, რომელიც დღესაც არის მიღებული.

თანამედროვე ინფორმაციის სამსახური კაცობრიობისათვის წარმოუდგენლად ფართოა, ის მოიცავს ერთიან სისტემას, რომელშიც შედის საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო, რადიოკავშირი (რომელიც შეიჭრა მსოფლიოს ყველა კუთხეში), წიგნი, გაზეთი და ჟურნალი, რომელიც გამოდის მსოფლიოს ხალხის ყველა ენაზე, ბიბლიოთეკები და წიგნსაცავები.

საინფორმაციო ტექნიკაში განსაკუთრებულად უკანასკნელ წლებში აღიწერა წარმატებას მიაღწიეს. ხელოვნური თანამგზავრების გაშვებითა და მა-

თზე რადიორელეური კავშირის დამყარებით ადამიანს მიეცა საშუალება
თავის ოთახიდან გამოუსვლელად ნახოს და მოისმინოს ყველაფერი, რამდენ
რაც ხდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა ინფორმაცია ფართო მნიშვნელობაში
იგი ეხება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ამიტომაც ჩვენ შევეხებოდეთ
მხოლოდ ეკონომიკური ინფორმაციის განმარტებას და მის სისტემებს.

ეკონომიკური ინფორმაცია წარმოადგენს საწარმოო სამეურნეო სისტემის
მიზნობის ანარეკლს, ამიტომაც მას აქვს რთული სტრუქტურა და დიდი მნიშვნე
ცულობა, ეს კი იწვევს ინფორმაციის სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით
დაყოფას, მათ შორის მექანიზაციის თვალსაზრისით მათი გამოყენების
შესაძლებლობათა მიხედვით.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინფორმაციის ორგანიზაციას გადაწყვეტი
ტი მნიშვნელობა აქვს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინფორმაციის მცვენი
ბა წარმოიშვა ადამიანთა ურთიერთკავშირში და კიბერნეტიკის მეცნიერებ
ბის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მან მეცნიერულად ფართო შინაარს
სი მიიღო.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ინფორმაცია თავისი შინაარსით
თანდათან იზრდება და მდიდრდება.

ეკონომიკაში არსებითი როლი დაიკავა ტექნოლოგიურმა ინფორმაციამ,
რომელიც დაკავშირებულია წარმოების ტექნოლოგიური პროცესების
ორგანიზაციასთან და წარმოების განვითარებაში უკავია ერთ-ერთ
მთავარი ადგილი.

ტექნიკური ინფორმაცია თანამედროვე ეტაპზე ძალზე ძლიერ განვითარდა
და გართულდა. ტექნიკური ნახაზების, ტექნოლოგიური რუკების
საწარმოო ნორმირების პროცესების გარეშე დღეისათვის ეკონომიკურ
და ტექნიკურ პროცესთა განვითარება წარმოუდგენელია.

სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი
წარმოების პროცესების გონივრული ორგანიზაციის აუცილებლობამ
წარმოიშვა და ჩამოაყალიბა ინფორმაციის კიდევ ერთი სახეობა—
საგეგმო ინფორმაცია. ყველა ჩვენი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა
და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები ადგენენ საწარმოო-საფინანსო
გეგმებს, პერსპექტიულ გეგმებსა და სხვა საწარმოო დოკუმენტაციას. მაშინ
შეესაბამება გეგმები, რომელსაც ადგენენ დარგობრივ, ტერიტორიულ
საწარმოო კომპლექსებში, საგეგმო ორგანიზაციებსა და სამმართველოებში.
რომელიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის ეკონომიკის განვითარების
პერსპექტიულ დონესთან.

ამრიგად, ჩვენთან არსებობს მრავალმხრივი და ფართოდ განშტოებული
ლი ეკონომიკური ინფორმაცია. ინფორმაცია, რომელიც დალაგებულია
არის ჩაწერილი მოცემული წარმოების საანგარიშო და საბუღალტრო სისტემების



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

ბუთებში. ასეთი სახით ისინი დარჩებიან კიდევ დიდხანს და იარსებებენ კომუნისტური დროსაც კი, მაგრამ სხვა ფორმით.

სტატისტიკური ინფორმაცია, ტექნოლოგიური ინფორმაცია და სხვა პროექტო-საგეგმო ინფორმაცია წარმოშობს ინფორმაციის არაჩვეულებრივად რთულ ნაკადს.

ეკონომიკური ინფორმაციის სისტემათა დამუშავება უნდა მოვახდინოთ ისეთნაირად, რომ დაცულ იქნეს ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა სახეების რაციონალური ერთიანობა. ეკონომიკური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის პროცესი, საწარმოო პროცესი, მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის პროცესი, შრომითი რესურსები და აგრეთვე ფინანსური და ფულადი რესურსები. ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის შექმნისა და რაციონალურად განვითარებისათვის ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ეკონომიკური ინფორმაციის ყველა ეს მრავალმხრივობა და თავისებურებანი. იდეალურს წარმოადგენს ის მდგომარეობა, როცა ინფორმაციის ნაკადი იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული ისე, რომ ტექნოლოგიური ინფორმაცია ძირითადი წყარო იქნება საგეგმო ინფორმაციის, საბუღალტრო დოკუმენტაციისა და სტატისტიკური ანგარიშგების ინფორმაციისა.

თანამედროვე ეტაპზე როგორც დაპროექტებისათვის, ასევე დაგეგმვისათვის დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს ნორმატიულ ბაზას (მაგალითად, ტექნოლოგიური, დანახარჯთა კოეფიციენტი, შრომის ნაყოფიერების ზრდის კოეფიციენტი, კაპიტალდაბანდების კოეფიციენტი და სხვ.) ეკონომიკური ინფორმაცია მოიცავს არა მარტო საანგარიშგებო დამკვირვებლურ სისტემას, არამედ ნორმირებულს, რაციონალიზებულს და ოპტიმიზებულ ეკონომიკური ინფორმაციის სისტემას.

ეკონომიკურ მეცნიერებას თავის საფუძვლად აქვს აგრეთვე დაკვირვების სისტემა. ახლო მომავალში მთელი ეკონომიკური ინფორმაციის გადაცემა და დამუშავება მოემსახურება არა მარტო ხარისხობრივ, არამედ რაოდენობრივ მაჩვენებელთა კანონზომიერებასაც.

რაციონალურად ორგანიზებული ეკონომიკური ინფორმაციის სისტემები შეგვიძლია დავასახაოთოთ ხუთი პრინციპით.

პირველი პრინციპია: საწყის მონაცემთა მინიმუმი, პირველადი ინფორმაციის მინიმუმი და წარმოებული მეორადი ინფორმაცია. შედარებით მცირე საწყისი პირველადი ინფორმაციიდან უნდა მივიღოთ საზოგადოებრივი წარმოების ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

მეორე პრინციპს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური ინფორმაცია უნდა ემსახურებოდეს ყველა სახის მეურნეობის გაძლიერებას და უნდა აკმაყოფილებდეს სახალხო მეურნეობის მართვის ყველა რგოლის მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, თუ ცალ-ცალკე გადავცემთ და დავამუშა-

ვებთ საბუღალტროს, სააღრიცხვოს, სტატისტიკურს, გეგმიურსა და ტექნოლოგიურ ინფორმაციას, მაშინ საჭირო შედეგს ვერ მივაღწევთ. უმეტეს ძლელა ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების სისტემა დოკუმენტაციის ისე, რომ იგი არ მოვარგოთ ყველა მაჩვენებელთა კომპლექსურად დამუშავებას. მაგალითად, ნედლეულის მარაგისა და სხვა მასალათა ინფორმაცია ცალკეულ საწარმოებში უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ დროსა და საეგემო ნორმატივებს. ამით ჩვენ შეგვიძლია რაციონალურად გამოვიყენოთ მოცემული მარაგი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა სახის ინფორმაცია დაეკავშიროთ ერთმანეთთან, რაც მათი ავტომატიზებული დამუშავების საშუალებას მოგვცემს.

როგორც ვხედავთ, მეორე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური ინფორმაციის სამსახური მიმართულ იქნეს იქითკენ, რათა მოემსახუროს საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლს.

მესამე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური ინფორმაციის სისტემა მიემართოთ არა მარტო პროცესებისა და ობიექტთა მონაცემების მიღებაზე, რომელზედაც უშუალოდ არ შეგვიძლია დაკვირვება, არამედ ისეთ მონაცემებზე, რომლებიც არ შეგვიძლია მივიღოთ პირდაპირი დაკვირვებით და გაანგარიშებით.

ამრიგად, მესამე პრინციპი ეკონომიკური ინფორმაციის ორგანიზაციისა შეადგენს იმას, რომ ის შეგვიძლია მიემართოთ არა მარტო მონაცემების მისაღებად (მაგალითად, მარაგზე, მოცულობაზე, შრომიით დანახარებზე, სამუშაო დროზე), არამედ ისეთი ეკონომიკური კატეგორიების განსაზღვრისაკენ როგორც არის, მაგალითად, საზოგადოებრივი ღირებულებების ეკონომიკური ეფექტიანობა, კაპიტალური დაბანდება, ფონდების ეკონომიკური ეფექტურობა, რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობა და სხვ.

ეკონომიკური ინფორმაციის ორგანიზაციის მეოთხე პრინციპი დამოკიდებულია იმაზე, რომ ეკონომიკური ინფორმაციის სამსახურის ფუნქციები შემოიფარგლება არა მარტო სისტემის დაკვირვებით, არამედ უთავსდება რეგულირებისა და მართვის გარკვეულ ფუნქციებს. მაგალითად, ინფორმაციის სისტემას, რომელიც ატარებს სააღრიცხვო და საბუღალტრო ინფორმაციის სახელს, პირველად დამკვირვებლური სისტემის მნიშვნელობა ჰქონდა, ახლა კი ინფორმაციის მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით იბადება აზრი დაკვირვების ფუნქციებისა და უკუკავშირთა ფუნქციების შეერთებისათვის, თუ შეიძლება ასე გამოვთქვათ, განუწყვეტელი დისპეტჩერიზაციისათვის. ამიტომ ეკონომიკური ინფორმაციის ორგანიზაციის მეოთხე პრინციპი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ეკონომიკური ინფორმაციის სამსახურმა შეითვისოს არა მარტო დამკვირვებლურ სისტემათა ფუნქცია, არამედ სადისპეტჩერო კავშირის, უკუკავშირის ფუნქცია და სხვ.



მეხუთე პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური ინფორმაციის სამსახური მოწოდებულია უზრუნველყოს მოდელირებისათვის საჭირო მონაცემთა მოცულობა.

ინფორმაცია საჭიროა არა მარტო უკუკავშირის ორგანიზაციისთვის, არამედ ეკონომიკური შეფასებისათვის და ეკონომიკური პროცესების მოდელის შექმნისათვის.

აქედან გამომდინარე, მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა შეგროვება და დამუშავება სოფლის მეურნეობაში შეიძლება დაგვით შემდეგ ქვეკატეგორიად:

ა) საინფორმაციო სისტემა, რომელშიც ინფორმაციის შეგროვების მთელი ციკლი ადამიანის მიერ სრულდება ხელით, ხოლო დამუშავება კი ხელით და ყველაზე მარტივი ტექნიკური საშუალებებით (არითმომეტრით და მათი მსგავსი გამომთვლელი ტექნიკით და აგრეთვე საბუღალტრო, საფაქტურო და პერფორაციული მანქანებით).

ბ) საინფორმაციო სისტემა, რომელშიც მანქანით სრულდება არა მარტო ძირითადი სამუშაოები, არამედ დამხმარე სამუშაოებიც კი. ხელით შრომას იყენებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული სამუშაოს მექანიზებულად დამუშავება ეკონომიურად არახელსაყრელია.

გ) საინფორმაციო სისტემა, როდესაც ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება სრულდება ავტომატურად დროის ერთ რეჟიმში, როგორც განუწყვეტელი პროცესი.

ინფორმაციის დამუშავების მიხედვით საინფორმაციო სისტემები იყოფა ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სისტემებად.

ფუნქციათა დამოკიდებულების მიხედვით საინფორმაციო სისტემები იყოფიან ცალკეულ მომსახურების სისტემებად, როგორც არის: საწარმო-ადმინისტრაციული, ნორმატიული, გეგმიური, სააღრიცხვო, ზოოტექნიკური, აგროტექნიკური, საინჟინრო და სხვ. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოებში დაგროვილია ოპერატიული ინფორმაციათა დიდი გამოცდილება და საწარმო-სადისპეტჩერო სამსახურის საშუალებით ცალკეულ საწარმოებში ისინი იძლევიან ოპერატიული კავშირის საშუალებას, რათა მალე იქნეს დაყვანილი საწარმოს ხელმძღვანელის განკარგულება დაბალ რგოლებამდე.

ამასთან დაკავშირებით ურთიერთკავშირთა წესრიგი სადისპეტჩერო სამსახურსა და განყოფილებებს შორის არ იცვლება, ცალკეულ საწარმოებში სადისპეტჩერო სამსახურს აქვს დამხმარე ხასიათის ქვედანაყოფები ცალკეულ უბნებზე. ამ სამსახურს განაგებს დისპეტჩერი, სადისპეტჩერო სამსახურს განეკუთვნება შემდეგი ფუნქციები:

საგეგმო დავალებათა ოპერაციული აღრიცხვის შესრულება, წარმოების მიმდინარეობის სისტემატური კონტროლი, ოპერატიული აღრიცხვის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და კონტროლი.

მაგრამ სადისპეტჩერო სამსახურის განვითარება არ შეიძლება
დარჩეს ამ დონეზე. სადისპეტჩერო სამსახურის შემდგომი განვითარება
დამოკიდებულია საინფორმაციო-სამართავი სისტემის ჩამოყალიბებასა
რომელსაც საშუალება ექნება ინფორმაცია მიიღოს და გადასცეს მის
მის პირს, ჩააყენოს საწარმოს ხელმძღვანელობა საქმის კურსში საწარმოს
სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

ეკონომიკური სისტემის მახასიათებლის თავისებურებას წარმოადგენს ურთიერთზემოქმედება და ურთიერთდამოკიდებული მოქმედებების შესრულება და მათი პროცესები. ამ პროცესების ინფორმაციის დახასიათების ცოდნა აუცილებელია სისტემის შინაგანი ცოდნისა და ეკონომიკური სისტემის მოდელის აგებისათვის.

ასეთ დახასიათებას წარმოადგენს სისტემის რხევადობა, მდგრადობა, ციკლურობა, სისტემის მოძრაობა და სხვ. აუცილებელს წარმოადგენს არტეფაქტები ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტით მიღებული შედეგების დახასიათება და სამართავი ობიექტის მარეგულირებელი ბერკეტების ზეგავლენის ცოდნა.



УДК 338.109.3

3. მარკოზაშვილი

**სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კორელაციური და
რეგრესიული ანალიზი**

**(საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის V ზონის
კოლმეურნეობების მაგალითზე)**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური მეცნიერების მთავარ ამოცანას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის სოფლის მეურნეობაში წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების ღრმა მეცნიერული შესწავლა და ანალიზი, რის გარეშე შეუძლებელია სწორად გავერკვეთ ეკონომიკური მოვლენების არსში, გამოვყოთ მთავარი ფაქტორები, ტენდენციები განვითარების და სრულყოფის გზების სწორი დასახვისათვის. ამ ამოცანების გადასაწყვეტად ჩვეულებრივ მეთოდებთან ერთად უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოდ მიმართავენ ეკონომიკურ კვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენებას განაპირობებს ეკონომიკური პროცესების სირთულე, მოვლენათა სიმრავლე და მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეკონომიკურ კვლევებში შედარებით ფართო გამოყენება ჰპოვეს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებმა, განსაკუთრებით კი კორელაციური და რეგრესიული ანალიზის მეთოდმა. მისი საშუალებით შეიძლება ზუსტი მათემატიკური ფორმებით იქნეს დადგენილი წარმოების ეფექტიანობაზე ან ამა თუ იმ სხვა მოვლენაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებანი.

მათემატიკური მეთოდების მეშვეობით ზუსტად შეიძლება გავზომოთ თითოეული ფაქტორის გავლენა და რაოდენობრივად დავადგინოთ, გამოვავლინოთ არსებული რეზერვები და დავსახოთ მათი გამოყენების გზები. შეიძლება გამოვავლინოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთი რეზერვები, რომლებიც ჩვეულებრივი მეთოდებით თითქმის შეუძენველი რჩება. ეს კი საშუალებას გვაძლევს შეიჩინოთ ისეთი ფაქტორები, რომლებ-

ბიციველაზე მეტად მოქმედებენ ეფექტიანობაზე, აღნიშნული საკითხზე გადაწყვეტას კი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც წამლების ეფექტიანობის გადიდების რეზერვების გამოვლენის, ექსპერიმენტული ნიერულად დასაბუთებული დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის კორელაციური რეგრესიული ანალიზისათვის საჭიროა დავაყენოთ ამოცანა და გამოვსახოთ მათემატიკური ფორმით, შევარჩიოთ ძირითადი ფაქტორები, შევკრიბოთ მასალები და დავამუშავოთ, ავავოთ და გადავწყვიტოთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და ანალიზი გავუკეთოთ მიღებულ შედეგებს. წარმოების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების შერჩევა შეიძლება თვისობრივი ანალიზის, სტატისტიკური ანალიზის, კორელაციის წყვილადი კოეფიციენტის შედარებისა და სხვა მეთოდებით. საერთოდ კი უფრო მიზანშეწონილია ისეთი ფაქტორების შერჩევა, რომლებიც უშუალო ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში არ არიან. ამასთან აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საჭიროა ანალიზის დროს შესწავლილი იქნეს არა ერთი რომელიმე ფაქტორი (როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს), არამედ ფაქტორთა კომპლექსი ანუ სისტემა. ფაქტორთა მრავალფეროვნება და მოვლენების ფორმირებისას მათი ურთიერთმოქმედება განაპირობებს ყოველი ცალკეული ფაქტორის გავლენის კონკრეტული სიდიდის გამოკვლევის აუცილებლობას.

ეკონომიკურ მოვლენათა შორის კავშირებს სტატისტიკური შესწავლა გვაძლევს, რის შედეგადაც ვღებულობთ ამომწურავ პასუხს მოვლენებს შორის კავშირის რაოდენობრივ დახასიათებაზე.

საჭიროა წინასწარ შეირჩეს რეგრესიის წრფის ამსახველი კორელაციური განტოლების ტიპი, მისი შერჩევის შემდეგ წარმოებს განტოლებათა სისტემის შედგენა კორელაციური განტოლების უცნობი პარამეტრების რაოდენობის მიხედვით, განტოლებათა სისტემა თუ დაბალი რიგისაა, გამოთვლები შეიძლება ჩატარდეს ხელით, სხვა შემთხვევაში კი გამოვიყენებთ ელექტრონულ-გამოთვლით მანქანას. განტოლების უცნობი პარამეტრების გამოთვლის შემდეგ უნდა განისაზღვროს მოვლენათა შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლის მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი (R). კორელაციური წყვილადი კოეფიციენტის სიდიდე განიცდის ცვლილებას მინუს ერთიდან პლუს ერთამდე, როცა ეს სიდიდე პლუს ერთია, მოვლენებს შორის (ანუ საძიებელ სიდიდეებს შორის) კავშირი პირდაპირი დადებითი და ფუნქციონალურია, როდესაც ეს მინუს ერთის ტოლია, კავშირი უარყოფითია, შებრუნებულია, ხოლო როცა ნულს უდრის, მაშინ კავშირი მოვლენებს შორის არ არსებობს. თუ მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი 0,3-მდეა კავშირი სიდიდეებს შორის სუსტია, თუ 0,3-დან 0,7-მდეა—კავშირი საშუალოა, ხოლო თუ 0,7-ზე მეტია, კავშირი ძლიერია. თუ რამდენად უტყუარი და სწორია მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი შეიძლება დავადგინოთ ფიშერის კრიტერიუმით.

$$F = \frac{R^2}{1 - R^2} \cdot \frac{N - n - 1}{n}$$



სამეურნეო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა და იმავე რეგიონში (ზონა, რაიონი, რესპუბლიკა) კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ერთ ნაწილს აქვთ იდენტური, ანალოგიური მაჩვენებლები, მეორე ნაწილს კი მკვეთრად განსხვავებული დაბალი მაჩვენებლები აქვთ, ხოლო მეურნეობათა მესამე ნაწილში მაღალი მაჩვენებლებია. თანაც მეურნეობათა ამ ჯგუფებში საშუალო სიდიდეების იდენტურობის მიუხედავად ცვლადის მნიშვნელობა ერთ ჯგუფში შეიძლება იყოს წარმოდგენილი დიდი რხევით, საშუალოდან დიდი გადახრებით, ხოლო მეორე ჯგუფში მცირე გადახრებით. ასეთ პირობებში სიდიდეების სიწმირე მკვეთრად განსხვავებული იქნება მეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებში. ამიტომ მარტო საშუალო სიდიდეების გამოთვლა არაა საკმარისი და მოითხოვს ცვლადის მნიშვნელობათა ვარიაციის შეფასებას, რომელიც შეიძლება ზუსტად გავზომოთ ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. საშუალო კვადრატული გადახრის გამოყენებით დავადგენთ საკვლევად აღებულ პერიოდში მოცემული ცვლადი მაჩვენებლის გადახრას აბსოლუტურ სიდიდეებში, ხოლო ვარიაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს მათ გადახრას პროცენტებში. ამასთან საჭიროა ვარიაციის ხარისხის შედარებისათვის გამოვიყენოთ შეფარდებითი ვარიაციის კოეფიციენტი.

1975—1977 წლების საშუალო მონაცემების საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის მეხუთე ზონის (სადაც შედის ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ცხინვალის და ზნაურის რაიონები) კოლმეურნეობათა სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის და რენტაბელობის შესწავლისას გამოვიყენეთ ზემოთ მოტანილი კორელაციური ანალიზის მეთოდი, ხოლო კორელაციურ ანალიზთან დაკავშირებული გაანგარიშებები და გამოთვლები შესრულებულ იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ელექტრონულ-გამოთვლით მანქანა „ნაირზე“. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილი იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსივობის და რენტაბელობის დონეზე შემდეგი ძირითადი ფაქტორების ერთობლივი გავლენა:

- X_1 —სპეციალიზაციის დონე (სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციაში მეხილეობის პროდუქციის ხვედრითი წონა),
- X_2 —კონცენტრაციის დონე (სრულმოსავლიანი ხეხილის ფართობის ოდენობა ერთ კოლმეურნეობაზე),
- X_3 —ფონდალჭურვილობის დონე (ძირითადი ფონდების ღირებულება 1 ჰა დამუშავებულ მიწაზე),
- X_4 —ფონდშეიარაღების დონე (ძირითადი ფონდების ოდენობა 1 საშუალო-წლიურ მუშაკზე),

- X₅—მინერალური სასუქების რაოდენობა 1 ჰა დამუშავებულ მიწაზე,
- X₆—საწარმოო დანახარჯების ოდენობა 1 ჰა დამუშავებულ მიწაზე,
- X₇—1 კაცდღის საშუალო ანაზღაურება.

საანალიზო ინფორმაციად გამოყენებულ იქნა საკვლევი კოლმეურნეობების სპეციალიზაციის დონის მიხედვით დაჯგუფების მაჩვენებლები. საკვლევ კოლმეურნეობებში წარმოების ეფექტიანობის დადგენისათვის შემჩნეულ ფაქტორებსა და მათ მაჩვენებლებზე წარმოდგენას იძლევი 1975—1977 წლების საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი 1-ელი ცხრილი.

ცხრილი 1

კოლბათა ჯგუფები	მილიანი პირო-დუქცია 1 ჰა-ზე საფარულზე	სპეციალიზაციის დონე, %	კონცენტრაციის დონე, მისხლიანი ხეხილის ფართობი 1 კოლმეურნეობაზე	ფანდაქურების დონე, მიწ. საფ. ფონდები 1 ჰა-ზე მან.	ფონდური რაობის დონე, მიწ. საფ. ფონდები 1 ჰა-ზე მან.	სასუქები 1 ჰა დამუშ. მიწაზე.	საწარმოო დანახარჯ 1 ჰა დამუშავებულ მიწაზე.	1 კაცდღ. ანაზღაურება მან.
I	586	11	30	402	1105	3,4	245	2,41
II	333	276	76	561	1517	3,9	321	3,31
III	407	37	150	652	1925	4,4	367	3,85
IV	565	58	312	773	4,8	4,8	445	4,86

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საძიებელი საშედეგო მაჩვენებელი და ფაქტორების სიდიდეები კოლმეურნეობათა ჯგუფების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. ყველაზე მაღალია მეოთხე ჯგუფში, ხოლო ყველაზე დაბალი პირველ ჯგუფში. ასეთია ზოგადი კანონზომიერება მაგრამ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლის რხევადობაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩატარებული კორელაციური გამოთვლების ანალიზის შედეგები.

კორელაციური მოდელის ანალიზური გამოსახვისათვის ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა მაჩვენებლიანი ფუნქცია, რომელმაც სხვა სახის ფუნქციებთან შედარებით ყველაზე უკეთესად ასახა შედეგობრივ ნიშანსა და მასზე მოქმედ ფაქტორ-არგუმენტებს შორის კავშირი. მაჩვენებლიანი ფუნქცია ზოგადი სახით ჩაიწერება ასე:

$$y = a_0 a_1^{x_1} a_2^{x_2} \dots a_n^{x_n}$$

- სადაც x_1, x_2, \dots, x_n — ფაქტორი-არგუმენტებია,
- a_1, a_2, \dots, a_n — განტოლების მუდმივი კოეფიციენტებია,
- a_0 — განტოლების თავისუფალი წევრია.
- y — შედეგობრივი მაჩვენებელია.

ანალიზში ხართულ ფაქტორ-არგუმენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ასევე მათი საშედეგო მაჩვენებელთან კავშირის დასადგენად გამოთვლილია წყვილადი კორელაციის კოეფიციენტები.

y შედეგსა და x_i ფაქტორებს შორის წყვილადი კორელაციის ანალიზის საშუალებას იძლევა კორელაციური მატრიცა.



საქსტატის სერვისი

	y	x_1	x_2	x_3	x_4	x_5		
y	1							
x_1	0,992	1						
x_2	0,894	0,68	1					
x_3	0,687	0,38	0,73	1				
x_4	0,428	0,49	0,65	0,66	1			
x_5	0,573	0,68	0,55	0,69	0,56	1		
x_6	0,984	0,70	0,67	0,59	0,64	0,67	1	
x_7	0,587	0,65	0,46	0,53	0,39	0,51	0,49	1

მატრიციდან ჩანს, რომ წარმოების დონეზე შედარებით ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა პირველმა, მეორემ, მეექვსე და მესამე ფაქტორებმა. დანარჩენი ფაქტორების გავლენაც მნიშვნელოვანია. ასევე ირკვევა, რომ ფაქტორებს შორის არ არის ფუნქციონალური და მასთან მიხედვითი კავშირი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონესა და შერჩეულ ფაქტორ-არგუმენტებს შორის რაოდენობრივი კავშირის ზომის დადგენისათვის შედგენილმა კორელაციურ-რეგრესიულმა მოდელმა მიიღო შემდეგი სახე:

$$y = 35,64 \cdot 1,28^{x_1} \cdot 1,02^{x_2} \cdot 0,95^{x_3} \cdot 0,99^{x_4} \cdot 0,32^{x_5} \cdot 1,07^{x_6} \cdot 0,02^{x_7}$$

დადგენილი მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი $R=0,89$ მიუთითებს ფაქტორებსა და შედეგობრივ ნიშანს შორის მჭიდრო კავშირზე. ფიშერის კოეფიციენტი $F=22,8$, რაც აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას. ეს მიუთითებს $R=0,89$ კავშირის არსებობაზე. დეტერმინაციის კოეფიციენტი $D=R^2=0,79$ მიუთითებს, რომ განტოლებაში ჩართული ფაქტორებით აისახება კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ვარიაციის 79%, რაც ადასტურებს იმას, რომ მოდელში ჩართული ფაქტორები წარმოების დონის გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

კორელაციის კერძო კოეფიციენტების (r_{yx_i}) გაანგარიშებით დადგენილია კორელაციურ მოდელში შემავალი ფაქტორების ინდივიდუალური გავლენის ზომა შედეგობრივი ნიშნის ცვალებადობაზე.

შედეგობრივ ნიშანზე სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის შედარებისათვის ამ ფაქტორთა რხევადობის გათვალისწინებით გამოყენებულია ე. წ.

ბ კოეფიციენტები $\left(\beta_i = \alpha_i \cdot \frac{\sigma_{x_i}}{\sigma_y} \right)$, რომლებიც გვიჩვენებს სიგმის (საშუალო კვადრატული გადახრის) რა ნაწილით შეიცვლება შედეგი, თუ შესაბამისი ფაქტორ-არგუმენტი შეიცვლება ერთი სიგმით სხვა დანარჩენი ფაქტორ-არგუმენტების უცვლელობის შემთხვევაში. ბ კოეფიციენტები

ასახვევ შედეგობრივი მაჩვენებლის ცვალებადობაზე ცალკეულ ფაქტორ-
არგუმენტთა ცვლილების გავლენის შედარებით ძალას.

რამდენადაც კორელაციური განტოლების პარამეტრებს უკავშირდება
სხვა შინაარსი და ზომის სხვადასხვა ერთეული, ამიტომ მათი პარამეტრ-
რი სიდიდებით ძნელია გავიგოთ, რომელი ფაქტორი ახდენს მეტ-ნაკლებ
გავლენას შედეგზე.

ელასტიკურობის კერძო კოეფიციენტების $(\partial_i = \frac{|a_i| x_i}{y})$ საშუალებით

განსაზღვრულია ანალიზში ჩართული ფაქტორების შეფარდებითი გავლენა
შედეგობრივ მაჩვენებელზე. ელასტიკურობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ
ყოველი ფაქტორის ერთსა და იმავე მუდმივი სიდიდით—ერთი პროცენტით
შეცვლისას თუ რამდენი პროცენტით იცვლება შედეგი.

ქვემოთ მოცემულია საკვლევ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო
წარმოების დონის კორელაციურ-რეგრესიული მოდელის პარამეტრები:

ფაქტორ-არგუმენტები	a_i	r_{yx_i}	β_i	∂_i
X_1	1,28	0,92	0,16	1,37
X_2	1,02	0,874	0,6	0,55
X_3	0,93	0,457	0,76	-1,59
X_4	0,47	0,455	0,22	-2,76
X_5	0,31	0,573	-0,235	-0,79
X_6	1,07	0,934	0,15	4,01
X_7	0,02	0,587	0,13	-2,35

კორელაციის კერძო კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ მოდელში შეტანილი
ფაქტორებიდან შედეგობრივ მაჩვენებლებზე სუსტი გავლენა არც ერთ
ფაქტორს არა აქვს და ამიტომ საჭირო არ გამხდარა რომელიმე მათგანის
მოდელიდან გამოთიშვა. ელასტიკურობის კოეფიციენტები გვიჩვენებს,
რომ წარმოების ინტენსივობის პირველი ფაქტორის (X_1) სპეციალიზაციის
1%-ით გადიდება (შემცირება) 1,39%-ით გაზრდის (შეამცირებს) სასოფლო-
სამეურნეო წარმოების დონეს. მეორე ფაქტორის (X_2) 1%-ით გადიდება
(შემცირება) 0,55%-ით გაზრდის (შეამცირებს) სასოფლო-სამეურნეო
წარმოების დონეს.

მესამე ფაქტორის (X_3) 1%-ით გადიდება (შემცირება) 1,59%-ით შეცვლის
სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს.

მეოთხე ფაქტორის (X_4) 1%-ით გადიდება (შემცირება) 2,76%-ით შეცვლის
სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს.

მეხუთე ფაქტორის (X_5) 1%-ით გადიდება (შემცირება) 0,79%-ით შეცვლის
სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს.



მეექვსე ფაქტორის (x_6) 1%-ით გადიდება (შემცირება) 4,01%-ით შეცვლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს.

მეშვიდე ფაქტორის (x_7) 1%-ით გადიდება (შემცირება) 2,35%-ით შეცვლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეს.

საკვლევ კოლმეურნეობებში წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლად y შედეგობრივ ნიშნად შერჩეული იქნა რენტაბელობის დონე (%-ში) ფაქტორ-არგუმენტებად, რომლებიც მოქმედებენ რენტაბელობის დონეზე, აღებული იქნა ისევ ის შვიდი ფაქტორი, რომლებიც პირველ კორელაციურ მოდელში იყო შეტანილი. კორელაციური მოდელის ანალიზური გამოსახისათვის აქაც გამოყენებულია მაჩვენებლიანი ფუნქცია. გამოთვლები და ანალიზი ჩატარდა ანალოგიურად პირველი მოდელისა.

შედგენილმა და ამოხსნილმა კორელაციურ-რეგრესიულმა მოდელმა მიიღო შემდეგი სახე:

$$y = 348,51 \cdot 0,687^{x_1} \cdot 13,67^{x_2} \cdot 0,566^{x_3} \cdot 0,14^{x_4} \cdot 0,305^{x_5} \cdot 7,86^{x_6} \cdot 0,02^{x_7}$$

მრავლობითი კორელაციის მიღებული კოეფიციენტი $R=0,978$ მიუთითებს ფაქტორებსა და შედეგს შორის მჭიდრო კავშირზე.

ფიშერის კოეფიციენტი $F=9,65$ აღმატება ცხრილურ მნიშვნელობას, რაც მიუთითებს $R=0,978$ კავშირის არსებობაზე.

დეტერმინაციის კოეფიციენტი $D=R^2=0,956$ მიუთითებს, რომ განტოლებაში ჩართული ფაქტორებით აიხსნება კოლმეურნეობათა რენტაბელობის დონის ვარიაციის 95,6%, რაც ადასტურებს იმას, რომ მოდელში ჩართული ფაქტორები რენტაბელობის დონის გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

კოლმეურნეობებში რენტაბელობის დონის კორელაციურ-რეგრესიული მოდელის პარამეტრებია:

	a_i	r_{yx_i}	β_i	ϑ_i
x_1	0,687	0,981	-0,21	-0,51
x_2	13,57	0,651	-0,21	4,94
x_3	0,466	0,366	-0,17	-1,98
x_4	0,143	0,714	-0,62	-5,52
x_5	0,305	0,860	-0,14	-0,68
x_6	7,865	0,461	0,42	4,90
x_7	0,02	0,674	-0,55	-2,14

კორელაციის კერძო კოეფიციენტებიდან ჩანს, რომ მოდელში შეტანილი ფაქტორებიდან ყველა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შედეგობრივ მაჩვენებელზე, განსაკუთრებით ყველაზე დიდია პირველი, მეოთხე, მეშვიდე და მეორე ფაქტორების გავლენა.

ელასტიკურობის კერძო კოეფიციენტები გვიჩვენებს:

პირველი ფაქტორის (x_1) 1%-ით გადიდება (შემცირება) 0,51%-ით
შეცვლის რენტაბელობის დონეს.

მეორე ფაქტორის (x_2) 1%-ით გადიდება (შემცირება) 4,94%-ით
შეცვლის რენტაბელობის დონეს.

მესამე ფაქტორის (x_3) 1%-ით გადიდება 1,98%-ით შეცვლის რენტა-
ბელობის დონეს.

მეოთხე ფაქტორის (x_4) 1%-ით გადიდება (შემცირება) 5,92%-ით შე-
ცვლის რენტაბელობის დონეს.

მეხუთე ფაქტორის (x_5) 1%-ის გადიდება (შემცირება) 0,68%-ით
შეცვლის რენტაბელობის დონეს.

მეექვსე ფაქტორის (x_6) 1%-ით გადიდება (შემცირება) 4,9%-ით გაზ-
რდის (შემამცირებს) რენტაბელობის დონეს.

მეშვიდე ფაქტორის (x_7) 1%-ით გადიდება (შემცირება) 2,14%-ით
შეცვლის რენტაბელობის დონეს.



УДК 631.1

ბ. ძაბნიძე

მატერიალური დაინტერესება—წარმოების ეფექტიანობის ამაღლების
ფაქტორი

სოციალიზმის პირობებში მატერიალური დაინტერესების პრინციპი ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. იგი არის პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტი, სამეურნეო ანგარიშის ერთ-ერთი ძირითადი ლენინური პრინციპი და წარმოების ეკონომიკური მართვის მეთოდი.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდანვე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა მშრომელთა მატერიალური წახალისების ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას. იგი წერდა: „... ჩვენ ვამბობთ, რომ სახალხო მეურნეობის ყოველი მსხვილი დარგი უნდა ავაგოთ პირად დაინტერესებაზე“.

მატერიალური დაინტერესებისა და სამეურნეო ანგარიშის ლენინური პრინციპები ყოველთვის საფუძვლად უდევს ჩვენს ქვეყანაში მთელი სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციას. „პარტია ემყარება ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ კომუნისმის მშენებლობას საფუძვლად უნდა ედოს მატერიალური დაინტერესების პრინციპი“—მითითებულია სკკპ პროგრამაში.

მატერიალური სტიმულირების აუცილებლობა მკვეთრად არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში. სკკპ XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ითვალისწინებენ შრომის მიხედვით განაწილების სრულყოფასთან ერთად, მატერიალურ დაინტერესების ამაღლებას.

მატერიალური დაინტერესების სწორად წარმართვასა და ამაღლებაზე კებერადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი გან-

ვითარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება. დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების განუხრებელ სრულყოფას საფუძვლად უდევს როგორც პირადი, ისე კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების დაცვასა და განვითარებას.

მატერიალური დაინტერესების თავისებურება სოციალიზმის პირველ ბეჭედად უნდა იქნას აღიარებული, რაც უზრუნველყოფს ადამიანთა ნიჭისა და უნარის მაქსიმალურად გამოვლინებასა და განვითარებას.

საკვ პროგრამაში ნათქვამია, რომ „შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორი შეხამება დიდი შემოქმედებითი ძალაა კომუნისმისათვის ბრძოლაში. კომუნისმისაკენ წინსვლის კვალობაზე სულ უფრო გაიზარდა შრომის მორალური სტიმულირების, მიღწეული შედეგების საზოგადოებრივი აღიარების, საერთო სახალხო საქმისათვის თვითუფლის პასუხისმგებლობის გრძნობის მნიშვნელობა“.

უკანასკნელ წლებში, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაიზარდა ეკონომიკური სტიმულირების როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება საბჭოთა მეურნეობის მუშაობის ერთიანი პროგრამის განუყოფელი ნაწილია. სამეურნეო ანგარიშში, ეკონომიკური სტიმულირება და მატერიალური დაინტერესება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სამეურნეო ანგარიშს ფორმალური ხასიათი ექნება, თუ ის არ ითვალისწინებს მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას, ხოლო თავის მხრივ მატერიალური დაინტერესება უმინონია, თუ ის არ ამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.

მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება, რასაც საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობა განაპირობებს, მეურნეობის გაძლიერების ლენინური პრინციპების შემდგომი განვითარების ის ახალი საფეხურია, რომელიც ახლანდელ ეტაპზე კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ახალ, დიდად გაზრდილ ამოცანებს პასუხობს.

მიუხედავად აღნიშნულისა, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების შემდგომი სრულყოფის საკითხი კვლავაც აქტუალურია.

მატერიალური სტიმულირება, როგორც წესი, ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ეკონომიკური ბერკეტების უკეთ და სრულყოფილად გამოყენებას. ამდენად, მატერიალური წახალისების ფონდის სწორად ფორმირებასა და ეფექტიანად გამოყენებაზე ბევრადაა დამოკიდებული წარმოების შემდგომი აღმავლობა.

მოქმედი დებულებით, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური სტიმულირების ორი წყარო არსებობს—პრემიები შრომის ანაზღაურე-



ის ფონდიდან და მატერიალური წახალისების ფონდი, ხოლო წარმოებებს ხელმძღვანელობისა და სპეციალისტებისათვის, გარდა ამისა, კიდევ მესხარო—მოგება.

საბჭოთა მეურნეობებში მატერიალური სტიმულირების ასეთი სისტემა თავისთავად ქმნის დუბლირებას დანახარჯებში, რაც ამცირებს ამ უზრუნველყოფის მასტიმულირებულ როლს. გარდა ამისა, მეურნეობის ხელმძღვანელები არც არიან დაინტერესებული გასცენ პრემია ხელფასის ფონდიდან, რადგან იგი გავლენას ახდენს ხელფასის ფონდის გადახარჯვაზე (რისთვისაც ისინი მატერიალურად ისჯებიან კიდევ) და პროდუქციის თვითღირებულების გადიდებაზე.

საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშაკი იმისათვის, რომ ერთნაირად დაინტერესებული იყოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, მიზანშეწონილია დაწესებულ იქნეს პრემირების ერთი და იგივე წყარო—მოგება. ეს ხელს შეუწყობს თავიდან ავიცილოთ დუბლირება მატერიალურ წახალისებაში ერთი და იგივე მაჩვენებლისათვის, რითაც კიდევ უფრო ამაღლება მატერიალური წახალისების მასტიმულირებელი როლი და მნიშვნელობა.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, მუშებისა და სხვა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, პრემიას ღებულობენ ფაქტიური მოგების მიხედვით. ამასთანავე პრემია ამ სახსრების ანგარიშზე გაიცემა სხვა მაჩვენებლების გათვალისწინების გარეშე.

პრემირების ყოველი სისტემა ხელს უნდა უწყობდეს წარმოების ხელმძღვანელების სტიმულირებას, რათა ვაითვალისწინონ გეგმაში წარმოების, პროდუქციის რეალიზაციისა და მიღებული მოგების რეალური შესაძლებლობანი. ფაქტიურად კი, ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელისა და სპეციალისტების სწრაფვა საგეგმო მაჩვენებლების შემცირებისაკენ. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები პრემიას ღებულობენ არა მარტო მიღებული მოგებისათვის, არამედ პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებისათვის. ამასთანავე ამ უკანასკნელის ოდენობა ძალიან ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება მოგებისათვის მიღებული პრემიის რაოდენობას. ამიტომ, მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები არ არიან დაინტერესებული დამატებითი საგეგმო მაჩვენებლების შემუშავებით. პირიქით, მატერიალური სტიმულირების მოქმედი წესის პირობებში ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა, წინა წლებთან შედარებით უფრო დაბალ საგეგმო მაჩვენებლებს იღებს. ამით ისინი წინასწარ გარანტირებული არიან პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რის შედეგადაც ხელმძღვანელ მუშაკებს, მუშებსა და მისამსახურეებს გადიდებული ოდენობით ეძლევათ პრემიები როგორც ხელფასის, ისე მატერიალური წახალისების ფონდიდან.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ წარმოებებს მუშაკებისა და კოლექტივების მატერიალური დაინტერესებისათვის გადიდებული ხარჯვა თვითმიზანი არ არის და იგი უნდა განხორციელდეს მატერიალური დაინტერესებისათვის დახარჯულ ყოველ მანეთზე რა შეიძლება მეტი ეფექტის მიღებას. ამის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევიმ თავის მოხსენებაში მიუთითა: „უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობის მუშათა და კოლმეურნეთა მატერიალური წახალისების კავშირი მათი შრომის შედეგებთან, საწარმოო ფონდებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან. საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესდეს მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების პრემირების წესი“.

შემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელი მუშაკების პრემირების არსებული სისტემის სრულყოფილი მიზნით, მიზანშეწონილია ხელმძღვანელი მუშაკების პრემირება მოგებისათვის ხდებოდეს ხოლო რენტაბელობის დონის გადიდების შემთხვევაში, ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგების დამოკიდებულება, როგორც ძირითად და საბრუნავ ფონდებთან, ისე რეალიზებული პროდუქციის სრულ თვითღირებულებასთან.

პრემიის დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რაიმე ანგარიშზე მიღებული მოგება. ეს ხელს შეუწყობს ხელმძღვანელი მუშაკების პასუხისმგებლობასა და მატერიალური დაინტერესების ამალღებას. რათა მოგების მიღების მიზნით მაქსიმალურად ამოქმედონ წარმოების შენაგანი რეზერვები.

ამასთანავე მატერიალური წახალისების ფონდის ფორმირება (ოდენობა) დამოკიდებული უნდა იყოს არა მარტო მოგების აბსოლუტურ ოდენობაზე, არამედ წინა 3—5 წლის საშუალოსთან შედარებით შრომის ნაყოფიერების, რენტაბელობის და სხვა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ზრდის ტემპზე. ამის აუცილებლობა ნაკარნახევია იმიტაც, რომ როგორც საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენებდა ადგილი აქვს საშუალო ხელფასის (მათ შორის მატერიალურ წახალისებაზე) სახსრების ხარჯვის) ზრდისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დარღვევას, კერძოდ, საშუალო ხელფასის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად წინ გაუსწრო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს. ეს კი, გაპირობებულია იმით, რომ ამჟამად მოქმედი ღირებულების თანახმად მატერიალური წახალისების სახსრების ფორმირება არ არის დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე, არამედ როგორც შემოთავაზდნით, მისი განმსაზღვრელია მოგების მოცულობა, მოგების ზრდა კი ძალიან ხშირად უშუალოდ არ არის დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ამდენად, მეურნეობის საბალანსო მოგების მატებაც ძირითადად უნდა ხდებოდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, ხოლო მუშათა



მატერიალურ დაინტერესებაზე მოგებიდან სახსრების გაყოფა უშუა-
და დაკავშირებული უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ხელმძღვანელი მუშაკების პრემირება პროდუქციის რეალიზაცი-
ის გადაჭარბებისათვის კი უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში,
როდესაც დატვირთული გეგმა აღემატება უკანასკნელი 3—5 წლის პროდუქცი-
ის მაჩვენებლის საშუალო დონეს. პრემირების ასეთი წესი სტიმულს მის-
ცემს საბჭოთა მეურნეობებს ოპტიმალური გეგმების შემუშავებაში და გა-
ლერებს მათ მატერიალურ პასუხისმგებლობას პროდუქციის რეალიზა-
ციის პროგრამის შესრულებაში.

მოქმედი დებულებით, რაც უფრო მეტია მეურნეობის საბალანსო მო-
ბა, მით უფრო მეტი იქნება მატერიალური წახალისების ფონდის აბსო-
ლუტური ოდენობა (გეგმიური მოგების 15%, ხოლო ზეგეგმიური მოგე-
ბიდან გადარიცხვის. აღნიშნული ნორმა ზემდგომ ორგანიზაციას შეუძ-
ლია შეამციროს ორჯერ). მოგებიდან მატერიალური წახალისების ფონ-
დის გადარიცხვის ასეთი ნორმის დროს მეურნეობისათვის სასარგებლოა
მხოლოდ გეგმიური მოგება, რის გამოც წარმოება არ არის დაინ-
ტერესებული წარმოების ზრდისა და მისი თვითღირებულების შემცირების
ფაქტორზე გაადიდოს ზეგეგმიური მოგება. მით უმეტეს, რომ ხელმძღ-
ვანელ სპეციალისტებს გეგმიური მოგების მიღებისათვის საკმაოდ მაღალი
უბრის პროცენტი ერიცხებათ. ამდენად, მატერიალური წახალისების
ფონდის აბსოლუტური მოცულობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული
მეურნეობის კარგ მუშაობაზე, თუმცა მეურნეობის კარგი მუშაობა საფუძ-
ვით უნდა იყოს მატერიალური წახალისების ფონდის ფორმირებისა. მე-
ურნეობის მოგების აბსოლუტური ოდენობა კარგ მუშაობასთან ერთად
ერთიდად დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე, ბუნებრივ პირო-
ბებზე, საწარმოო მიმართულებაზე, წარმოებული პროდუქციის სარეალი-
ზაციო ფასზე და სხვ.

საბჭოთა მეურნეობებში მატერიალური დაინტერესების სწორად და
ინტეგრულად განხორციელებისათვის აუცილებელია გამოთანაბრებულ
ქნეს მათი საწარმოო საქმიანობის ეკონომიკური პირობები. ეს საკითხები
საბჭოთა აქტუალურია ამჟამად, ვინაიდან ეკონომიკურად ძლიერი საბჭოთა
მეურნეობების გვერდით მატერიალური სტიმულირების ერთიანი სისტე-
მის პირობებში მუშაობენ განსხვავებული საწარმოო მიმართულებისა და
კვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი დაბალრენტაბე-
ლური და ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებიც. ამიტომ, საჭიროა საბჭო-
თა მეურნეობებში ჩატარდეს მიწის ეკონომიკური შეფასება, განგაროშე-
დილი იქნეს დიფერენციული რენტა და ამის საფუძველზე მოხდეს სასოფ-
ლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ფასების დიფერენ-
ცირება სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონებისა და
სოფლის მეურნეობის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ცხოვრებაში გატარებით სხვადასხვა
მიმართულების საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა
მა მუშაკთა მატერიალური წახალისების პირობები, ნაყოფიერების
და ნაყოფიერების გადიდებისათვის მეურნეობის თითოეული მუშაკის
ტერესება და ხელს შეუწყობს ხელფასისა და შრომის ნაყოფიერ
ზრდის ტემპებს შორის სწორი თანაფარდობის დამყარებას, შრომის
ციკლის განმტკიცებას, კადრების დამაგრებას, საბოლოო ჯამში
მნიშვნელოვნად აამაღლებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიან



DK 796 . 5 : 338

თ. სანაბლიძე

საქართველოს ტერიტორიულ-გეოგრაფიული კომპლექსების შესწავლისათვის

საბჭოთა კავშირის საკურორტო-ტურისტულ რაიონებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს. რესპუბლიკის ამ მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილია ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ტურიზმის განვითარებისათვის ყოველგვარი პირობები, კერძოდ ბუნების ნაირფერობისა და ერთადაა შეხამებული ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული და ეთნოგრაფიული ფაქტორები.

საკურორტო მეთურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, საქართველო კი მხრივ წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური მანძილის კლასიკურ მაგალითს და გააჩნია მათი თითქმის სრული გაშვება, მხრივ, ერთი მხრივ, ნოტიო სუბტროპიკებითა და, მეორე მხრივ, მხრივ უდაბნოების ლანდშაფტით და დამთავრებული ნივალური ზონით. ამიტომ საქართველოს ბუნება ბევრად უფრო მრავალფეროვანია ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე მხარე (ყირიმი, კარპატები, კრასნოდარის მხარე, ბალტიისპირეთი) ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ საქართველო სანახობრივად ძალზე მიმზიდველია მთებით, ხეობებითა და შავი ზღვის 300 კილომეტრიანი სანაპირო ზოლით, ესთეტიკურ ფაქტორებთან ერთად დამსვენებლებსა და ტურისტებს იზიდავს მთისა და ზღვის კლიმატის სამკურნალო თვისებები და უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები, რაც ყველა სახის დაავადების მკურნალობის საშუალებას იძლევა. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებულია 1500-ზე მეტი მინერალური წყარო 90 მლნ ლიტრზე. მეტი დებეტით დღე-ღამეში, აქედან 40% მოდის ნახშირმყავა და 25% მთავრად წყალბადიან წყლებზე. რესპუბლიკის მთათაშორის დადაბლებებში გვხვდება სამკურნალო ტალახის საბაზოები (ახტალა, კუმისი), რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა მედიცინაში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც მსოფლიო ვაჭრობის მტყნარი წყლის ნაკლებობას, (ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებში იყიდება დაბეჭდილი და ბოთლებში ჩამოსხმული), ჩვენთან, საქართველოში დიდი რაოდენობით სამკურნალო მინერალური წყაროები აუთუგლია და უქმად იკარგება. საჭიროა ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული იქნეს სამუშაოები, რათა ეს ხარვეზი შესაძლებლობა გვარად გამოსწორებული იქნეს, რაც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს პუბლიკის რეკრეაციული ზონების გაფართოებას და შექმნას. არსებულ განგარიშების თანახმად მინერალური წყლების ჩამოსხმა შეიძლება ზარდოს 500 მილიონი ბოთლიდან ამჟამად 2 მილიარდ ბოთლამდე.

საქართველოს ბუნებრივი პირობების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ზომიერად მაღალი ტემპერატურა გაზაფხულზე, ზაფხულში და მოდგომასზე, ასევე ზომიერად რბილი ზამთარი. მზის ნათების ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში 2000—2400 საათს შეადგენს წელიწადში. მოსავლეთში კი 2400—2500 საათს, რაც თავის მხრივ გარკვეულ რაოდენობაში თამაშობს რეკრეაციული ზონების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებაში დიდია ლანდშაფტის როლი. კერძოდ ტურისტზე მეტად შთაბეჭდილებად მოქმედებს მოგზაურობა საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც კმ-ის მანძილზე მას შეუძლია ნახოს ზაფხულის პერიოდში წელიწადის ოთხივე დრო. ანდა საქართველოს ზღვისპირა ზოლი, რომელიც გაცილებით უფრო მრავალფეროვანია ვიდრე, შავი ზღვისპირას განლაგებული სხვა საკურორტო რაიონები. ტურისტი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ნიციდის, როდესაც იგი მოგზაურობს აჭარის სანაპიროზე და უხვად ხეიმწვანეში ჩაფლულს მისთვის უჩვეულო მცენარეულობას, ანდა მოგზაურობისას რიფის მიმართულებით, სადაც ძალზე ტიპურადაა წარმოდგენილი კოლხური ტიპის ტყე და შოვის მიდამოებში და მამისონის უღელტეხილის მისადგომებთან, სადაც მწვანეში ჩაფლული მთების თავზე მოთეთრი დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები.

განსაკუთრებით პერსპექტიულია საქართველოს ტერიტორია სპორტურიზმის განვითარებისათვის. დაწყებული სოჭიდან-ბათუმამდე დავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია დიდი რაოდენობით კარსტული მღვიმეები, რომლებიც თავისი ღირსშესანიშნაობით არ ჩამოუვარდებიან მსოფლიოს ცნობილ მღვიმეებს, მაგრამ ამ კეთილმოწყობელია და ტურისტებისათვის მიუდგომელი. საქართველოში არსებული ორი, ტურისტისათვის ათვისებული, მღვიმიდან მხოლოდ ერთი ახალი ათონის მღვიმეა კეთილმოწყობილი, ხოლო სათაფლიის მღვიმის კეთილმოწყობაზე რომ არაფერი ვთქვათ, აქამდე არ გახსნილა აუზბუღი მესამე დარბაზი. საჭიროა ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ შეიძლება სწრაფად ათვისოს საქართველოში არსებული მღვიმეები. ველ შემთხვევაში ყველა თუ არა, ზოგიერთები მაინც, როგორცაა:



კლის მღვიმე ოჩამჩირის რაიონში, მჭიშტის მღვიმე—გუდაუთის რაიონში. მღვიმეების კეთილმოწყობაზე დახარჯული საჭირო კაპიტალდება ნუბანი, გამოცდილებიდან ვიცი, რომ სწრაფად იქნება ანაზღაურებული, რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს ახალი ათონის მღვიმე და მსოფლიოს სხვა ცნობილი მღვიმეები. კეთილმოწყობილი ახალი მღვიმეების გახსნა გამოიწვევდა ასევე სპელეოტურიზმის გეგმაზომიერ განვითარებას საქართველოში, რადგანაც ათასობით დამსვენებელი, რომელიც ჩამოდის ჩვენთან საქართველოში, ვერ ახერხებს ახალი ათონის მღვიმის ნახვას მთელი რიგი მიზეზების გამო.

სპელეოტურიზმს დიდი ეკონომიკური ეფექტი აქვს. მხოლოდ ახალი ათონის მღვიმე იძლევა 1 მლნ მანეთზე მეტ შემოსავალს წელიწადში. აუთვისებელი მღვიმეების ათვისება კი გამოიწვევდა ავტოტურიზმის განვითარებასაც და ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნას. გზად ტურისტებს საშუალება ექნებოდათ ენახათ საქართველოს თვალწარმტაც ბუნება და ვაცნობოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე უხვად არსებულ ისტორიულ ძეგლებს.

საქართველოს რეკრეაციული ზონებიდან ყველაზე კარგადაა ათვისებული საკურორტო-ტურისტული მიმართულებით სამი ზონა: 1) ზღვისპირა ზონა, არსებული მრავალი საკურორტო-ტურისტული დაწესებულებებით, რომლებიც განლაგებულია ზღვისპირა საკურორტო ქალაქებსა და დასახლებებში, საქართველოს ზღვისპირა ზონას დიდი უპირატესობა გააჩნია სსრკ-ს ზღვისპირა სხვა კურორტებთან შედარებით, რადგანაც აქ საბაზო პერიოდი 5—6 თვეს იკმდებდა, წინააღმდეგ 3—4 თვისა შავი ზღვისპირის სხვა კურორტებთან და 2—2,5 თვე ბალტიისპირეთში, ამავე დროს კლიმატური რესურსები ჩვენს ზღვისპირეთში უფრო მეტია.

2) დაბალმთიანი ზონა (500—1000 მ ზ. დ.) გამოირჩევა კარგი ბუნებრივი და კლიმატური პირობებით, სადაც გაბატონებულია ფართოფოთლოვანი ტყეები. აღნიშნულ ზონაში გვხვდება ბალნეოლოგიური და ბალნეოკლიმატური კურორტები. უმთავრესად გოგირდწყალბადიანი სამკურნალო მინერალური წყაროებითა და სამკურნალო ტალახის საბადოებით.

3) საშუალო მთიანი ზონა (1000—1500 მ ზ. დ.) ხასიათდება ზომიერად ცილი ზამთრითა და თბილი ზაფხულით, სადაც ძირითადად გაბატონებულია შერეული და მუქწიწვოვანი ტყეები. ამ ზონაში ძირითადად თითქმის გამოყრილია ბალნეოკლიმატური და სამთოკლიმატური კურორტების უდი ნაწილი.

რაც შეეხება მე-4 ზონას, ეს არის მაღალმთიანი კურორტების ზონა, რომელიც საკურორტო მეურნეობისათვის ნაკლებად გამოიყენება (1500 მეტრზე ზევით) და ისიც უმეტესად რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, მკვეთრად გამოხატული სეზონურობით ზაფხულის სასარგებლოდ. სამაგიეროდ უფრო ხელსაყრელია ტურიზმისათვის ზაფხულის პერიოდში, ხოლო

სათხილამურო სპორტული ბაზებისათვის ზამთარში. აქტომ ონნი
ზონაში საჭიროა აგებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი ტურისტული ბაზა.
სასტუმრო, კეთილმოწყობილ იქნეს სამთო-სათხილამურო ტურისტული
მიმართულებით გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი სპორტული
ზღაურებული. ჩვენ შეგვიძლია მივბაძოთ საფრანგეთისა და შვეიცარია
მალალმთიანი კურორტების მაგალითს.

ამგვარად, საქართველოს ბუნებრივი პირობები შეიძლება შევავსოთ
საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის დადებით
ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ისტორიულ-კულტურ
ლი ფაქტორი, რადგანაც ტურისტს გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად
ტერესებს ამ ქვეყნის ან რაიონის ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია
რაც მთავარია, ქვეყნის ეკონომიკა.

ამ მიმართულებითაც საქართველო კლასიკურ ქვეყანას წარმოადგ
სადაც ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი ერთმანეთთან ლამაზადაა
ხამებული.

საქართველოს ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. ქართლ
ტომები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ თანამედროვე საქართველო
და მის მოსაზღვრე ოლქების ტერიტორიაზე და გაიარეს ყველა ის სტა
რაც დასჭირდა თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებას. ქართველ
ეთნიკურ ჯგუფს ძვ. წ. აღ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე უკვე ჰქონ
საკუთარი სახე. მათ მჭიდრო ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთ
ხან კი მტრობა. ჰქონდათ ჯერ წინა აზიის ქვეყნებთან—ხეთებთან და ქვე
სამეფოებთან, ხოლო შემდეგ (ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის I ნახევარში)
ქართველოს სამხრეთით არსებულ ასურეთთან, ურარტუსა და მცირე
ის სამეფოებთან.

ჩვ. წ. აღ. IV საუკუნეში ფარსაეზუ მეფის დროს ქართველმა ხალხმა
აღწია კულტურის ისეთ მაღალ დონეს, რომ შექმნა საკუთარი დამწერ
ბა, ისტორიის დროთა ჭიდილში წარმოიშობოდა და ისევ ქრებოდა
ვალი ერი და სახელმწიფო, მრავალი ენა მოკვდა და სახელმწი
დაიშალა. მაგრამ ქართული ენა, კულტურა და დამწერლობა დღ
ალორძინების გზაზეა, განსაკუთრებით სასახელოა ის ფაქტი, რომ მსოფ
ოში არსებული 16 დამწერლობიდან ერთი მათგანი ქართულია: რაც
მაღალ კულტურაზე მეტყველებს.

ბნელია მოიძებნოს ერი, რომელმაც არ განიცადა ის დიდი მიგრაცია
რომელიც ხდებოდა საუკუნეების მანძილზე ეკონომიკური, პოლიტიკ
რელიგიური თუ სხვა მიზეზების გამო და აქაც ქართველთა სასახელო
და ითქვას, რომ მათ შეინარჩუნეს გარკვეულ ფარგლებში ის ტერიტორია
სადაც მათ დაიწყეს განვითარების პირველი სტადია.

აქედან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვდა
ისტორიული ძეგლები, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა საუკუნე
თავისებურად მრავალფეროვანია საქართველოს ეთნოგრაფი
კუთხეები ქართლი, კახეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი,



რეთი, რაჭა, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აჭარა და აფხაზეთი. ყოველ რაიონს თავისი „მე“ გააჩნია, რალაც თავისებური და განუმეორებელი, ერთ-ერთი არქიტექტურაში, ასევე ხელოვნებაში და მოსახლეობის ადატაციებში და ზნე-ჩვეულებებში.

როგორც ბუნებრივი პირობები, ასევე ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებიც შეიძლება შევავსოთ საქართველოს საერთო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის დადებითად.

ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთი წინაპირობაა უნიკალური ისტორიულ-კულტურული ფასეულობის არსებობა, რომელიც საქართველოში უზვად მოიპოვება და თავის გამოხატულებას პოულობს მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში. კვადრატულ კილომეტრზე გაანგარიშებით საქართველოს საბჭოთა კავშირში I ადგილი უჭირავს ისტორიული ძეგლების ოდენობით, რესპუბლიკაში 5000-მდე ძეგლია სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშ. განსაკუთრებით მდიდარია ისტორიული ძეგლებით სამხრეთი საქართველო, შიდა და ქვემო ქართლი, შიდა კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და ქუთაისის მიდამოები. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ისტორიული ძეგლებით ხევის რაიონი და აფხაზეთი. არსებული ისტორიული ძეგლების ბევრი მათგანი მოითხოვს კაპიტალურ რესტავრაციას და ბევრ მათგანთან მისასვლელი გზები არ არის ან უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია და მასიური ტურიზმისათვის გამოუყენებელია. ასე, მაგალითად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლები, როგორც აფხაზეთი და სამშვილდე ან მოწამეთა ქუთაისის მახლობლად და მრავალი სხვა.

საჭიროა მიექცეს დიდი ყურადღება ისტორიული ძეგლების არა მარტო რესტავრაციას, არამედ კაპიტალურ რესტავრაციას. ამით მინდა აღვნიშნო ის, რომ მე-17 საუკუნეში ქართველებს სვეტიცხოველის კათედრალური ტაძარი რომ არ შეეკეთებინათ კაპიტალურად, დღეს ჩვენ იმდენად ვიკავებოდით მე-11 საუკუნის ხელოვნების ამ ნიმუშით. ამით გვინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა და დროა უკვე საქართველოში ისტორიული ძეგლების აღდგენას მოკიდონ ხელი და პირველ რიგში კი ბაგრატის ტაძრისას, რომელიც წარმოადგენს მე-11 საუკუნის ხელოვნების უიშვიათესს ნიმუშს, ტაძრის აღდგენის და გუმბათის გადახურვის შემდეგ შესაძლებელი შეიქმნება გაიწმინდოს ტაძრის იატაკი მიწისაგან. არსებული ცნობებით, როგორც ვიცით, იატაკი მოხატულია ქართული მოზაიკით, რომელიც საქვეყნოდ იყო ცნობილი.

ისტორიული ძეგლების რესტავრაციით ორ საქმეს გავაკეთებთ ერთად, ერთი, რომ ტურიზმის განვითარებას შევუწყობთ ხელს და მასზე გავყვებით კაპიტალდაბანდებანი სულ მალე იქნება ანაზღაურებული და მეორე, რაც მთავარია, ჩვენს შთამომავლობას დავუტოვებთ ქართული კულტურის ძვირფას ნიმუშებს და ისინიც ასევე იამაყებენ, როგორც ჩვენ დღეს ვიკავებთ, ტ. 112, 1980.

გამაყობთ მე-11 საუკუნის მე-17 საუკუნეში რესტავრირებული სვეტიცხოველი.

ტურისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი რაიონები როგორცაა ზემო სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, ხევი, ზემო რაჭა და სხვა მთიანი ზონა, სადაც უხვად გვხვდება უამრავი ისტორიული ძეგლი. საითაც მათ იზიდავს განუმეორებელი მთის რელიეფი და ლანდშაფტი. ამ ზონებში შეიმჩნევა ის, რომ ტურიზმი აქ სეზონურია და სეზონის პერიოდში დიდი დენადობით გამოირჩევა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ტურიზმის ისეთ ცენტრებში, როგორც მსხვილი ქალაქები ან ზღვის კურორტები. აქ ტურისტები შედარებით უფრო დიდხანს ჩერდებიან, სადაც ეცნობიან უხვ ისტორიულ ძეგლებს და ასევე სიამოვნებით ისვენებენ კიდეც, საერთოდ ტურიზმის განვითარებაში შეიმჩნევა ერთი თავისებურება. ყველა მსხვილი სამრეწველო ცენტრი წარმოადგენს ასევე დასვენებისა და ტურიზმის მსხვილ ცენტრსაც. ეს გამოწვეულია იმით, რომ ტურისტს არა მარტო გეოგრაფიული გარემო და ისტორიული ძეგლები აინტერესებს, არამედ მისთვის მეტად მნიშვნელოვანია მოცემული ქვეყნის აწმყო თავისი ეკონომიკითა და კულტურით, რა ყველაზე კარგადაა გამოხატული მსხვილ სამრეწველო ცენტრებში.

მსხვილ ტურისტულ ცენტრებად ითვლება საქართველოში—თბილისი და მცხეთა ერთად, სოხუმი, ქუთაისი, გორი, თელავი და ამჟამად სიღნაღი. საკურორტო ტიპის ქალაქები და დაბები—გაგრა, გუდაუთა, ახალი ათონი, ოჩამჩირე, ქობულეთი, ბორჯომი, ბიჭვინთა და ა. შ.

ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს სვანეთის ახალი მაგისტრალი, რომელიც გახსნილ იქნა გასაბჭოების 60 წლისთავთან დაკავშირებით სვანეთი უგზოობის გამო ნაწილობრივ მასიური ტურიზმისათვის ძნელად მისადგომი იყო. ამჟამად კი როგორც საბჭოთა, ასევე უცხოელ ტურისტებს საშუალება ექნებათ ინახულონ საქართველოს ეს ულამაზესი მხარე.

პერსპექტივაში დასახული გეგმით გაყვანილი უნდა იქნეს ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი გორი—სამხრეთ ოსეთი—როქის უღელტეხილი, რომელიც გვირგვინით შეუერთდება ალაგირის გზას ჩრდილო ოსეთში. ამ მაგისტრალის მშენებლობა საშუალებას მოგვცემს შეიქმნას ახალი ტურისტული მარშრუტები. თავის მხრივ გზა საინტერესო იქნება ტურისტებისათვის იმით, რომ გადაკვეთენ კავკასიონის ქედს და თავისი ესთეტიკური მნიშვნელობით ტოლფასოვანი იქნება საქართველოს სამხედრო გზისა.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მაღალმთიან ზონაში. ამ ზონისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის დიდი დენადობა ბარისკენ განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისა (მაგ., ზემო რაჭა, დუშეთი და სხვა). საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება და სამთო-სათბილამურო ბაზები ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ჩაბმას მომსახურების სფეროში.



განუხრელად იზრდება ტურისტების ნაკადი საქართველოს მიმართულებით მსოფლიო სხვადასხვა მხრიდან. ჯერ მარტო 1977 წ. საქართველოში დაიწყო ტურისტების რაოდენობა 140000-მა უცხოელმა ტურისტმა, ხოლო საბჭოთა ტურისტების რაოდენობა 1975 წ. შეადგენდა 3858,5 ათას კაცდღეს. საბჭოთა ტურისტების რაოდენობა 1980 წლისათვის გეგმით უნდა გაიზარდოს 5247,0 ათას კაცდღემდე. 1985—90 წლებისათვის შესაბამისად უნდა გაიზარდოს 8105,0—10853,0 ათას კაცდღემდე.

საბჭოთა ტურისტების ასეთი ზრდა საქართველოში გამოწვეული იქნება პირველ რიგში ახალი ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების მშენებლობის ხარჯზე და ასევე არენდებული სათავსოების ათვისებით.

ახალი ტურისტული ბაზები და ტურისტული სასტუმროების მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს თბილისში, ყაზბეგში, ბაკურიანში, ვარციხეში, მესტიასა და სოხუმში. გეგმით დაპროექტებულია მშენებლობა 1975—80 წწ. ვაგრაში, გუდაუთაში, რიწაზე, ქობულეთში, ბობოყვათში, ბორჯომში, ოჩამჩირესა და სხვა კურორტებზე. ამავე დროს არსებული ტურისტული ბაზები და სასტუმროები უფრო გაფართოვდება და კეთილმოეწყობა.

ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა სასტუმროების მშენებლობა და ტურისტების ზრდა ფაქტიურად გამოიწვევს მომსახურე პერსონალის ზრდასაც. ამჟამად საქართველოს ტურიზმში ფაქტიურად დასაქმებულია 5283 კაცი შტატით და აღნიშნულ რიცხვზე გაცილებით მეტი შტატგარეშე მუშაკი. ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოს განკარგულებაშია 21 სასტუმრო-სამოგზაურო ბიურო და 37 ტურბაზა და ტურისტული სასტუმრო 4610 საშტატო ერთეულით (გაცილებით მეტი კი შტატგარეშე) საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს განკარგულებაშია თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტობაზები 477 საშტატო ერთეულით. ორი ტურისტული კლუბი თბილისსა და ქუთაისში 10 საშტატო ერთეულითა და ერთი საპროექტო, ტურისტული ობიექტების მშენებლობისათვის 117 საშტატო ერთეულით. დიდ როლს ასრულებს ახლა ტურიზმში მაღალმთიანი ზონის მოსახლეობის დასაქმების საქმეში. მაგალითად, ფასანაურის, ყაზბეგის და ა. შ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმულია საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში.

საქართველოში ჩამოსული ტურისტების დიდი ნაწილი მოდის ქ. თბილისზე—300 ათასი კაცდღე, აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლზე—2337,0 ათასი კაცდღე, აჭარის ზღვის სანაპირო ზოლზე—1100,0 ათასი კაცდღე. შესაბამისად ეს მაჩვენებელი 1985 წლისათვის გაიზრდება თბილისში 700 ათას კაცდღემდე, აფხაზეთში—3666,0 ათას კაცდღემდე და აჭარაში—2080,0 ათას კაცდღემდე. აქ მოყვანილ ციფრებში არ შედის ავტოტურისტების და ტურისტული მატარებლების რაოდენობა.

УДК 631.1

ზ. მაღლაკელიძე

თვითღირებულება, როგორც ზეწინდის ფასის საფუძველი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საზოგადოებრივი ღირებულება, ასახული სახელმწიფო შესყიდვის ფასში, თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებასა და წმინდა შემოსავალში.

თვითღირებულებისა და წმინდა შემოსავლის სახელმწიფო შესყიდვის ფასის დამოუკიდებელ შემადგენელ ნაწილებად გამოცალკევება აიხსნება იმით, რომ გათვალისწინებულ იქნეს საქონლის ღირებულების სხვადასხვა ელემენტების ფულად ფორმაში ფორმირების სპეციფიკა და სამეურნეო ანგარიშობის მოთხოვნები. ახსიათებდა რა ღირებულებიდან გამოცალკეებულ საქონლის წარმოებისათვის გაწეულ დანახარჯებს, კ. მარქსი წერდა: „... საქონლის ხარჯთფასი სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთ რუბრიკას, რომელიც მარტო კაპიტალისტურ ანგარიშწორებაში არსებობს. ღირებულების ამ ნაწილის განკერძოება პრაქტიკულად საქონლის ნამდვილ წარმოებაში იჩენს მუდამ თავს, რადგან იგი მიმოქცევის პროცესის საშუალებით თავისი საქონლური ფორმიდან მუდამ ისევ მწარმოებლური კაპიტალის ფორმად უნდა უკუგარდაიქმნეს. მაშასადამე, საქონლის ხარჯთფასმა ყოველთვის ხელახლა უნდა იყიდოს წარმოების ის ელემენტები, რომლებიც საქონლის წარმოებას მოხმარდა“ [1].

თვითღირებულების მნიშვნელობა გეგმიან ფასწარმოქმნაში განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც ის ასრულებს ფასების დაგეგმვის დროს. იგი წარმოადგენს ფასის ამოსავალ საფუძველს. თვითღირებულების ასეთი მნიშვნელობა გაპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველი—თვითღირებულება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოხატავს ღირებულების გამოცალკეებულ და საკმაოდ დიდ ნაწილს; მეორე—თვითღირებულება, შესტად განსაზღვრული, ეკონომიკურად დასაბუთებული, მისი ნორმა წარმოადგენს ფასის ქვედა საზღვარს; მესამე—საზოგადოებრივი ღირებუ-

ლგბის განსაზღვრის ყველა შემოთავაზებული მეთოდის საფუძველს თეორიულულება წარმოადგენს [2].

თვითღირებულებას შესყიდვის ფასების საფუძველს ეკონომისტი გვთავაზობს. ცნობილი ქართველი ეკონომისტი ა. გოყენწერს: „ფასის განსაზღვრის დროს პირველ რიგში უნდა გამოვიდეთ თეორიულულებიდან. ამოსავალს წარმოადგენს თვითღირებულება. ამოსავალს, მაგრამ არა განმსაზღვრელს. ის ეკონომისტები, რომლებიც თვლიან რომ ამოსავალი ღირებულებაა, ვერ უარყოფენ, რომ ღირებულების განსაზღვრისათვის პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ თვითღირებულება.“

არ შეიძლება დავიწყოთ ბოლოდან, ე. ი. განსაზღვროთ ღირებულება თვითღირებულების გაუთვალისწინებლად, მაშასადამე, ამოსავალს წარმოადგენს თვითღირებულება, მაგრამ თვითღირებულება არ არის განსაზღვრელი. თვითღირებულებას უნდა მიემატოს წმინდა შემოსავალი თვითღირებულების განსაზღვრა ძნელი არ არის, რაც არ შეიძლება თეორიულულების მიმართ [3]. ასეთივე მოსაზრებას ანვითარებენ ამ საკითხზე ა. მენდელსონი, ვ. ვენყერი, ვ. ბოევი, თ. ტატიშვილი, ა. კიკნაველი, ვ. კახეთელიძე, თ. ხვინგია და სხვები [4]. ჩვენი აზრით, პრაქტიკულ ფასების დაწესებისას ორიენტაცია თვითღირებულებაზე უნდა იქნეს ადგილობრივი, რადგანაც ღირებულების პრაქტიკული გაანგარიშება შეუძლებელია, წინააღმდეგ იმ ეკონომისტთა შეხედულებისა, რომლებიც ფასების დაწესებისას მის საფუძველად ღირებულებას გვთავაზობენ (ს. სტრუმილინი, ვ. ნემჩინოვი, კ. ოსტროვიტიანოვი, ი. კრონროდი, ი. პაშკოვი, მ. გულესიანი, ბ. ნანიტაშვილი და სხვები) [5].

ამასთანავე, ფასების მიახლოება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებთან შეუძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული თვითღირებულების გარეშე.

თვითღირებულების საფუძველზე ფასის დაგეგმვისას იგი უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის წარმოების ხარჯებს, რითაც საწარმოების მფლობელებთან მუშაობის ნორმალური პირობები.

წარმოადგენს რა ღირებულებების შემადგენელ ნაწილს, თვითღირებულება ასახავს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია წარსული და ცოცხალი შრომის კვლავწარმოებასთან პირად და საზოგადოებრივ მოხმარებასთან. ეს ურთიერთობები წარმოადგენს სოციალისტური კვლავწარმოების საფუძველთა საფუძველს. ამიტომ, საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფა და აუცილებელი შედეგად პროდუქტის შორის სწორი პროპორციების დამყარება სოციალისტური ეკონომიკის ყოველი დარგის რაციონალური დაგეგმვისა და წარმოების ეკონომიკური სტიმულირების აუცილებელი პირობაა. სოფლისურწარმოებაში ეს პრობლემა იღებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგანაც საკუთრების ფორმების სხვადასხვაობის გამო კოლმეურნეობების



წარმოიღობა დანახარჯების ცვალებადობა უშუალოდ ახდენს ზეგავლენას ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაზე.

თვითღირებულება წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების დანახარჯებისა და მოხმარებული წარმოების საშუალებების ანაზღაურებასთან. ამ მხრივ თვითღირებულების სიდიდე დამოკიდებულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს ფუნქციონირების კონკრეტულ ეკონომიკურ მექანიზმზე. გარდა ამისა, საკომეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაზე ამა თუ იმ ზომით გავლენას ახდენს მრავალრიცხოვანი ბუნებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორი.

მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკის, ვანისა და ზესტაფონის რაიონები ერთსა და იმავე ზონაშია (ისინი შედიან საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის VIII ზონაში) და თითქმის ერთნაირი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები აქვთ, მათ მიერ ფართობის ერთეულზე წარმოებული პროდუქცია როგორც ყურძნის, ასევე სიმინდისა, რბოლენობრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს სამივე რაიონში და განსაკუთრებით მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონებში მიწების ეფექტურად გამოყენების დაბალი დონე.

ყურძნის და სიმინდის თვითღირებულების ანალიზისათვის აღნიშნულ რაიონებში საბაზისოდ აღებულია 1964 წელი, ხოლო საკვლევად—მომდევნო ორი ხუთწლელი.

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობა 1964 წელს იყო 20,3 ც, 1 ჰა-დან. 1966—1970 წლებში იგი გაიზარდა 34,39 ც-მდე, ხოლო 1971—1975 წლებში კვლავ შემცირდა, გახდა 29,33 ც. შესაბამის ცვლილებას განიცდის 1 ც ყურძნის თვითღირებულებაც. 1964 წელს იგი შეადგენდა 27,76 მანეთს, მოსავლიანობის ზრდასთან ერთად იგი შემცირდა 25,64 მანეთამდე 1 ც-ზე, ხოლო 1971—1975 წლებში კი კვლავ გაიზარდა და შეადგინა 32,91 მან. 1 ც ყურძნის წარმოებაზე. მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებიდან ყურძნის მოსავლიანობის მაღალი დონითა და დაბალი თვითღირებულებით გამოირჩევა დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობა, თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აქაც შეიმჩნევა მოსავლიანობის კლება. აღნიშნულ წლებში დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში 1 ჰა-ზე მიღებული იყო 55,6, 55,7 და 44,47 ც ყურძენი. თვითღირებულების მინიმალური დონით (შედარებით მაიაკოვსკის რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან), რომელიც შესაბამისად შეადგენდა 16,49; 20,78 და 29,66 მანეთს 1 ც-ზე. შედარებით უარესი მდგომარეობა აქვს სოფ. ოზჩის ლენინის სახელობისა და სოფ. როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს, სადაც 1 ჰა-დან მიღებულია 1964 წელს 16,55 და 8,10 ც, 1966—

1970 წლებში 18,99 და 18,69, ხოლო 1971—1975 წლებში 21,43 და 17,43 ც. უტრძენი. შესაბამისად 1 ც უტრძენის წარმოების თვითღირებულება 1964 წ. 18,31 და 67,80 მანეთს, 1966—1970 წლებში 34,80 მანეთს, ხოლო 1971—1975 წლებში 35,91 და 38,61 მანეთს.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა ვანის რაიონში როგორც უტრძენის მოსავლიანობის, ასევე მისი თვითღირებულების დონის მიხედვით 1964 წელს ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ აწარმოეს 1 ჰა-ზე 19,07 ც უტრძენი. აღნიშნული ციფრი 1966—1970 წლებში 40,62-ს, ხოლო 1971—1975 წლებში 47,18-მდე გაიზარდა ისე, რომ მნიშვნელოვანმატება არ განუცდია 1 ც უტრძენის თვითღირებულებას. იგი აღნიშნულ წლებში შეადგენდა 25,76-ს 26,56 და 27,10 მანეთს. უტრძენის მაღალი მოსავლიანობითა და შედარებით დაბალი თვითღირებულებით ხასიათდება ვანის, დიხაშხოს, საპრასიას, ტობანიერის, ციხესულორის კოლმეურნეობები, რომლებიც 1 ჰა-ზე აწარმოებენ საშუალოდ 59,8 ც უტრძენს 26,56 მან. თვითღირებულებით, რაც არა თუ რაიონისა და ზონის, არამედ რესპუბლიკის მასშტაბითაც მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში 1 ჰა-ზე 1964 წელს წარმოებული იყო 17,2 ც უტრძენი, 1966—1970 წლებში—37,95, ხოლო 1971—1975 წლებში—35,21 ც. შესაბამისად 1 ც უტრძენის თვითღირებულება შეადგენდა 30,28; 37,95-სა და 38,27 მანეთს. ყველაზე მაღალი მოსავალი მიღებული იქნა აღნიშნულ წლებში შედარებით ნაკლები თვითღირებულებით სოფ. ალავერდის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში, ფუთის წერეთლის სახ. კოლმეურნეობაში. აგრეთვე სოფ. მეორე სვირის ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა 1971—1975 წლებში საშუალოდ 1 ჰა-ზე აწარმოეს 50,24 ც უტრძენი, რომლის თვითღირებულება საშუალოდ შეადგენდა 35,72 მანეთს 1 ც-ზე. ამასთანავე არიან კოლმეურნეობები, რომლებიც 1 ჰა-ზე 17,19 ც უტრძენს აწარმოებენ. მათ მიერ წარმოებული 1 ც უტრძენის თვითღირებულება საშუალოდ 47 მანეთს უდრის, რაც ძალიან ცუდ მაჩვენებელს წარმოადგენს.

აღნიშნულ რაიონებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაზი წამყვანი კულტურაა და საკმაოდ მაღალრენტაბელური. ამდენად კოლმეურნეობების შემოსავლის მთავარი წყარო უტრძენი და მისგან მიღებული ფულადი შემოსავალია, მაგრამ ისეთი კოლმეურნეობების, სადაც უტრძენის მოსავლიანობა ძალიან დაბალია, ასევე 1 ც პროდუქციის თვითღირებულება ზოგჯერ უტოლდება ან აღემატება ფაქტიურ სარეალიზაციო ფასს, მეურნეობის რენტაბელურად წარმართვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მართალია უტრძენის მოსავლიანობაზე, ასევე მის თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები, რის შედეგადაც წლების განმავლობაში ზოგჯერ განსხვავებულ შედეგებს ვღებულობთ, მაგრამ დაბალი მოსავლიანობა და მაღალი თვითღირებულება აღნიშნულ კოლმეურნეობებში არა



დამაკმაყოფილებელი სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის შედეგია. მაიაკოვსკის, ვანისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეობების მიერ წარმოებულ პროდუქციაში დიდი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი სიმინდი. მათზე მიმაგრებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა უმეტესი ნაწილი (სხვა კულტურებთან შედარებით) სიმინდის ნათესებს ეჭირავს. მაგრამ სიმინდის წარმოება სამივე რაიონის კოლმეურნეობებში გარდა გამონაკლისისა (ეს ეხება ძირითადად ვანის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას) არარენტაბელურია. სიმინდის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების მხოლოდ ნაწილი უფრება. აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სიმინდის ძალიან დაბალი მოსავლიანობა, რაც იწვევს ძირითადად მისი თვითღირებულების ზრდას. მაიაკოვსკის რაიონში წლების მიხედვით ადგილი აქვს სიმინდის მოსავლიანობის კლებას 1 ჰა-დან. შესაბამისად მატულობს მისი თვითღირებულება. ასე, მაგალითად, 1964 წელს მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში 1 ჰა-დან მიღებული იყო 16,0 ც სიმინდის მარცვალი, 1966—1970 წლებში იგი შემცირდა 12,66 ც-მდე, ხოლო 1971—1975 წლებში კი—1 ჰა-დან წარმოებული იქნა 11,45 ც. შესაბამისად გაიზარდა თვითღირებულება 1 ც სიმინდის მარცვალზე და მან შეადგინა შესაბამისად 9,26; 13,43 და 16,84 მან.

უკეთესი მდგომარეობაა ვანისა და ზესტაფონის რაიონებში, თუმცა ზესტაფონის რაიონშიც მოსავლიანობის ზრდაზე სწრაფად თვითღირებულება იზრდება. ვანის რაიონის კოლმეურნეობები ხასიათდებიან სიმინდის მოსავლიანობის უფრო მაღალი დონით. 1964 წელს აქ წარმოებული იყო 1 ჰა-დან 18,8 ც სიმინდი, 1966—1970 წლებში—21,33, ხოლო 1971—1975 წ.—21,76 ც. შესაბამისად 1 ც სიმინდის თვითღირებულება შეადგენდა 7,53-ს, 8,95-სა და 11,29 მანეთს, რაც ნაკლებია მის ფაქტიურ სარეალიზაციო ფასზე. ამის შედეგად აღნიშნული კულტურა, გარდა 1972 და 1973 წლებისა, ვანის რაიონის კოლმეურნეობებში რენტაბელური იყო, რაც არ შეგვიძლია ვთქვათ მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეობებში სიმინდის წარმოებაზე.

რათა უფრო ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას მაიაკოვსკის, ვანისა და ზესტაფონის რაიონებში წარმოებული ყურძნისა და სიმინდის თვითღირებულებაზე, მოვახდინეთ აღნიშნულ რაიონებში შემავალი კოლმეურნეობების დაჯგუფება 1 ც სიმინდისა და ყურძნის თვითღირებულების მიხედვით. მაიაკოვსკის, ვანისა და ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია თვითღირებულების ზრდის ტენდენცია. მაგალითად, თუ 1964 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი, სადაც 1 ც ყურძნის თვითღირებულება 30 მანეთამდე იყო, შეადგენდა კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 53,8%, 1966—1970 წლებში შემცირდა 41,07, ხოლო 1971—1975 წლებში—36%/0-მდე. შედარებით გაიზარდა იმ კოლმეურნეობა-

თა რიცხვი, სადაც 1 ც ყურძნის თვითღირებულება 30—40 მანეთის ფარგლებში მერყეობს. ასეთი კოლმეურნეობების რიცხვი თუ 1964 წელს იყო 11, იგი 1966—1970 წლებისათვის გახდა 23 და ასევეა 1971—1975 წლებშიც, ე. ი. შეადგინა კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 46%. თუ ადრეშენი მეორე ჯგუფის (1 ც ყურძნის თვითღირებულების მიხედვით) კოლმეურნეობებში ვენახის მიერ დაკავებული იყო 1964 წელს 32,02%, 1971—1975 წლებისათვის გაიზარდა და შეადგენს 49,28%-ს. ასევე შედარება ითქვას წარმოებულ პროდუქციაზე. თუ 1964 წელს აღნიშნული ჯგუფის კოლმეურნეობები აწარმოებდნენ მთლიანად სამივე რაიონის კოლმეურნეობების მიერ წარმოებული ყურძნის 24,75%-ს, 1971—1975 წლებში მათ აწარმოეს მიღებული პროდუქციის 52,92%⁰. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ კოლმეურნეობების რიცხვი, რომლებშიც წარმოებული 1 ც ყურძნის თვითღირებულება გაცილებით მაღალი იყო (ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტიურ სარეალიზაციო ფასზედაც კი) და აღემატებოდა 40 მანეთს, მათალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა. მაგალითად, თუ 1964 წელს ასეთი კოლმეურნეობების რიცხვი მაიაკოვსკის, ვანისა და ზესტაონის რაიონებში იყო 13, 1971—1975 წლებში იგი შეადგენდა—9-ს, ანუ კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 18%-ს. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ვენახის მიერ დაკავებულია ფართობის 20,15%, ხოლო მიღებულია მთლიანი წარმოებული პროდუქციის 12,21%.

განსხვავებული სურათია აღნიშნულ რაიონების კოლმეურნეობების სიმინდის წარმოების თვითღირებულების მიხედვით. თუ, მაგალითად, 1964 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი, სადაც 1 ც სიმინდის თვითღირებულება 5-დან 10 მანეთამდე იყო, შეადგენდა 34-ს, ე. ი. კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 65,38%-ს. იგი 1966—1970 წლებში შემცირდა 18-მდე, ანუ 32,14%-ს, ხოლო 1971—1975 წლებში კი ამ ჯგუფში შედიოდა 5 კოლმეურნეობა ანუ კოლმეურნეობების საერთო რიცხვის 10%. უმნიშვნელოდ გადიდა მეორე ჯგუფში შემავალ კოლმეურნეობათა რიცხვი, სადაც 1 ც სიმინდის თვითღირებულება 10-დან 15 მანეთამდე მერყეობს. ასეთი კოლმეურნეობების რიცხვი 1964 წელს შეადგენდა კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 30,78%, ხოლო 1971—1975 წლებში 42%-ს. აღნიშნული ჯგუფის კოლმეურნეობებს უჭირავთ შესაბამისად. სიმინდის ნათესი ფართობის 30,03; 27,22 და 39,01%, ხოლო მიღებულ პროდუქციაში მათ მიერ წარმოებული პროდუქტი განისაზღვრება 1964 წელს—18,9; 1966—1970 წლებში—29,95; ხოლო 1971—1975 წლებში 51,32%-ით. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, მართალია კოლმეურნეობების საერთო რიცხვში მეორე ჯგუფის კოლმეურნეობათა ხვედრითი წილი 42%-ია, მაგრამ ისინი აწარმოებენ მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტს. სრულიად განსხვავებული მონაცემები გვაქვს მესამე ჯგუფში. თუ 1964 წელს აღნიშნულ ჯგუფში, სადაც 1 ც სიმინდის თვითღირებულება 15 მანეთზე მეტია, იყო 2 კოლმეურნეობა, ანუ კოლმეურნეობების საერთო რიცხვის 3,84%, იგი 1966—1970



წლებში შეადგენდა 20-ს ანუ 35,72%-ს, ხოლო 1971—1975 წლებში კი 24-ს ანუ 48%-ს. მათ მიერ დაკავებული იყო 1964 წელს სიმინდით ნაფუთ ფართობის 1,3%, 1966—1970 წლებში 35,33, ხოლო 1971—1975 წლებში 45,18%. მართალია, აღნიშნულ ჯგუფში გაიზარდა როგორც კოლმეურნეობათა რიცხვი, ასევე აქედან გამომდინარე მათი მიერ დაკავებული ფართობი სიმინდის წარმოებისათვის, რასაც უნდა მოჰყოლოდა აღნიშნულ კოლმეურნეობათა მიერ წარმოებული პროდუქციის წილის მნიშვნელოვანი ზრდა საერთო პროდუქციაში. აქ კი ვლელობთ საპირისპირო შედეგს. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი საერთო პროდუქციაში 1964 წელს იყო 1,1%, 1966—1970 წლებში 18,33, ხოლო 1971—1975 წლებში 28,31%. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ჯგუფში 14%-ით მეტი კოლმეურნეობა შედის, ვიდრე მეორე ჯგუფში და ასევე მის მიერ სიმინდის თესვისათვის გამოყენებული ფართობი მეტია 12%-ით, მესამე ჯგუფის კოლმეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქცია ნაკლებია მეორე ჯგუფში შემავალი კოლმეურნეობების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე 25,4%-ით, რაც უნდა ჩაითვალოს მესამე ჯგუფში შემავალი კოლმეურნეობების ასეთი მაღალი თვითღირებულების მიზეზად.

განხილული მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე რაიონის კოლმეურნეობებში მატერიალური დანახარჯების ზრდამ გამოიწვია ყურძნის მოსავლიანობის ზრდა უფრო მეტად, ვიდრე სიმინდისა. აღნიშნული ძირითადად ეხება მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონებს, სადაც სიმინდის მოსავლიანობა მიუხედავად მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ზრდისა თანდათანობით მცირდება, რომლის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში მექანიზაციის დაბალი დონე. სხვადასხვა საშუალებების (სასუქების, მორწყვის) არადროული გამოყენება და სხვ. ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა კი გამოვლინდება სხვადასხვა ღონისძიებათა კომპლექსის თავის დროზე გამოყენებისას. ქიმიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია, საწარმოო პროცესებისა, ამოშრობა თუ მორწყვა, ნიადაგის რაციონალური დამუშავება, შრომის სწორი ორგანიზაცია და მშრომელთა მატერიალური დანტერესება წარმოადგენს იმ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც საჭიროა წარმოების მაღალეფექტურად გამოყენებისათვის.

როგორც საკვლევი რაიონების კოლმეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის ანალიზიდან ირკვევა, ჯერ კიდევ მაღალია ყურძნის წარმოების თვითღირებულება. აღნიშნულის აღმოფხვრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ფართობის ერთეულიდან მოსავლიანობის ამაღლება, რაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია. ყოველი ჰა-დან ყურძნის მეტი პროდუქციის მისაღებად საჭიროა მეჩხერიანობის აღმოფხვრა, რომელიც საქმომო პროცენტითაა წარმოდგენილი როგორც მაიაკოვსკის, ასევე ზესტაფონისა და ვანის რაიონებში (მერყეობს 30%-მდე). ვაზის სიმეჩხერე საგრძნობლად ამცირებს მოსავლიანობას და მევენახეობაში გაწე-

ული დანახარჯების ეკონომიკურ ეფექტიანობას, რადგანაც უშედეგო
იხარჯება ფულად-მატერიალური საშუალებანი, ცდება მიწის ფართობის
აღნიშნული მდგომარეობა დღის წესრიგში აყენებს მეჩხვიანობის სტრუქტურის
ლიკვიდაციას, კაპიტალური რემონტის გზით დანაკლისის შევსებას.

მაღალია აგრეთვე აღნიშნული რაიონების მეორე ძირითადი კულტურის
სიმინდის თვითღირებულება, რომელიც თანდათანობით მატე-
ლობს მოსავლიანობის კლების შესაბამისად, რაც გარკვეულ ზარალს
ლევს კოლმეურნეობებს.

სამივე საკვლევ რაიონში როგორც ყურძნის, ასევე სიმინდის თვით-
ღირებულების შემცირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს
გარდა მოსავლიანობის ზრდისა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღ-
ლება, საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდა, უნაყოფო ხარჯების
სრული ლიკვიდაცია, შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, კოლმეურნე-
ობათა რენტაბელობის ამაღლება, დარგებისა და კულტურების რაციონალ-
ური შეთანაწყობა, მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი გამოყენება და სხვა.

ლიტერატურა — Литература

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 1, გვ. 33, თბ. 1959.
2. Ценообразование и рентабельность сельскохозяйственного про-
изводства, под ред. чл. корр. ВАСХНИЛ Л. И. Лукинова, М.,
1971, стр. 161.
3. საქართველოს ეკონომიკის პრობლემები, შრომების კრებული, ტ. II,
ნაკვეთი 1, თბილისი 1966, გვ. 151.
4. А. М. Мендельсон. Стоимость и цена, М., 1963. В. Р. Боев «За-
купочные цены и чистый доход колхозов», М., 1969.
- ო. ტატიშვილი, ა. კიკნაველიძე, ვ. კახეთელიძე. საქ-
ართველოს ეკონომიკის პრობლემები, შრომების კრებული, ტ. II,
ნაკვეთი 1, თბ. 1966.
5. В. С. Немчинов. Общественная стоимость и плановая цена,
М., 1971.
6. ბ. ნანიტაშვილი, ფასის განსაზღვრის თეორიის პრობლემები,
თბილისი 1968.
7. შ. გველეხიანი. ჩაის მწვანე ფოთლის შესყიდვის ფასები და ფას-
წარმოქმნა საქ. სსრ კოლმეურნეობებში, თბ., 1965.



УДК 631.15

რ. ძაბნიძე

ბაქნისპირი პროგრესი და სოფლის მეურნეობის მართვის ზოგადი საკითხი

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილების შედეგად; დასამუშავებელი მიწის ფართობის მიხედვით, გამოყენებული სამუშაო ძალის რიცხვის გადიდებით და მეურნეობაში უფრო სრულყოფილი შრომის საშუალებების რაოდენობის გამოყენებით, წარმოებული საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდით და სხვ., რის გამოც კოლმეურნეობათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. შედარებით მცირე სასოფლო-სამეურნეო არტელებიდან კოლმეურნეობები გარდაიქმნენ მსხვილ უპირატესად მრავალდარგიან კოლბერბერებულ საწარმოებად, რომელთა განკარგულებაში არის მიწის ფართო ნაკვეთები, მძლავრი ტექნიკა, სპეციალისტებისა და მექანიზატორების კვალიფიცირებული კადრები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია ასახავს საწარმოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებებს, ქმნის შესაძლებლობებს წარმოების შემდგომი კონცენტრაციისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ფართო გზას უხსნის სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. მაგრამ მთელ რიგ კონკრეტულ-ისტორიული მიზეზების გავლენით სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის მნიშვნელოვან ზრდას, უახლოეს დონემდე თან არ ახლდა ასეთივე სწრაფი განვითარება წარმოების სპეციალიზაციისა. კოლმეურნეობებში მიმდინარეობდა მეურნეობის სიდიდის გამსხვილება ძირითადად ცენტრალიზაციის ხარჯზე, ე. ი. მეურნეობის გაერთიანებებით, რის შედეგადაც კოლმეურნეობათა რიცხვი თანდათან შემცირდა, ხოლო თითოეულ კოლმეურნეობაში საწარმოო დანაყოფები უფრო მეტი გახდა. ამის გამო არც თუ ისე იშვიათად ხორციელდებოდა გადასვლა მარტივი

ორსაფეხურიანი საწარმოო სტრუქტურიდან (კოლმეურნეობა—ბრიგადული ფერმა) უფრო რთულ სამსაფეხურიან სტრუქტურაზე, სადაც შრომის ორგანიზაციის პირველად ფორმებთან (ბრიგადა, ფერმა) იქმნებოდა უშუალოდ ქვედანაყოფი—საწარმოო უბნები და განყოფილებები და დღემდე შენარჩუნებულია კოლმეურნეობა ჯერ კიდევ რჩება მრავალდარგობრივ საწარმოდ მრავალრიცხოვანი საწარმოო ქვედანაყოფებით, რომელიც არც თუ იშვიათად ერთი მეორის დუბლირებას ეწევა.

მეურნეობების გამსხვილებასთან ერთად, შეიცვალა, რა თქმა უნდა მმართველობის სტრუქტურაც, ე. ი. ურთიერთობა ერთიმეორეზე ურთოდაკავშირებული თანადაქვემდებარებული ორგანოებისა და სამსახურისა, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ წარმოების მართვით განსაზღვრული ფუნქცია. მეურნეობებში უბრალო ორსაფეხურიანი წარმოების სტრუქტურის დროს კავშირი და ურთიერთმოქმედება საწარმოო ხელმძღვანელობასა და პირველად შიდასამეურნეო ქვედანაყოფს შორის აგრეთვე თვით ქვედანაყოფებს შორის ხორციელდება პირდაპირ: კოლმეურნეობის (თავმჯდომარე) მმართველობა—ბრიგადირი (ფერმის გამგე) და პირიქით. ხოლო იმ მეურნეობაში, სადაც სამსაფეხურიანი საწარმოო სტრუქტურა იყო და არის ამ ურთიერთკავშირის განხორციელება უფრო რთული სქემით ხდება: კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე)—საწარმოო უბნის გამგე—ბრიგადირი (ფერმის გამგე) და პირიქით.

ამგვარად, გადაიღო რაოდენობა უშუალოდური რგოლებისა ერთი მხრივ მეურნეობის ხელმძღვანელობასა და მეორე მხრივ უშუალო პირდაპირ მსრულებლებს შორის, რის გამოც დიდად შემცირდა წარმოების მუშაკებისა და წარმოების საშუალებების შეერთების ოპერატიულობა, ხელმძღვანელობის ბრძანებების, განკარგულებებისა და ინფორმაციის გზა საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვნად გაგრძელდა როგორც დროში, ისე სივრცეში, შეფერხდა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის ოპერატიულობა (მაგალითად. მალფუჭადი პროდუქტების გასაღება, მწყობრიდან გამოსვლი და უვარგისი მანქანების დროზე მოცილება და სხვ.). მეურნეობის მთავარი სპეციალისტები აძლევენ მითითებებს და რეკომენდაციებს ტექნოლოგიის, მექანიზაციის, ეკონომიკის და სხვა საკითხებზე არა პირდაპირ ბრგადირებს ან ფერმის გამგეებს, არამედ საწარმოო უბნის გამგეებს რომლებიც შემდეგ გადაცემდნენ ამ მითითებებსა და რეკომენდაციებს შიდასამეურნეო პირველად ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს. იმ შემთხვევაში, როცა თვითონ მეურნეობის მთავარი სპეციალისტები აძლევენ განკარგულებებს ბრიგადირებსა და ფერმის გამგეებს. მაშინ აუცილებლად წარმოიშობა სხვადასხვა ორგანიზაციული შეუთანხმებლობა; ერთი მხრივ მეურნეობის მთავარ სპეციალისტებსა და მეორე მხრივ საწარმოო უბნების ხელმძღვანელებს შორის. სწორედ ამის გამო მეურნეობის ყველაზე უფრო კვალიფიცირებული სპეციალისტები გვევლინებიან და გამოდიან მრჩეველის როლში, და არა როგორც ხელმძღვანელები თავის დარგისა, ამიტომ



ახალია მათი უშუალო პასუხისმგებლობა წარმოების შედეგებზე მნიშვნელოვნად მცირდება. ეს კი სრულიადაც არ უწყობს ხელს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სტრუქტურისა და მმართველობის ფუნქციების გართულებამ თავისი გამოხატულება იმაში პოვა, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობის შემცირებამ, რაც გამოიწვია კონცენტრაციამ, არსებითადაც არ გამოიწვია თავისთავად სამმართველო აპარატის ზარცების შემცირება.

უკანასკნელ წლებში ცალკეული მეურნეობები გადადიან მმართველობის ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურიდან დარგობრივ სტრუქტურაზე, რომლის შედეგად ცალკეული საწარმოო უბნები და კომპლექსური ბრიგადები ან სპეციალიზდებიან განსაზღვრულ წრის პროდუქტების წარმოებით ანდა იშლებიან და თავის ადგილს უთმობენ საერთო მეურნეობრივ დარგობრივ ქვედანაყოფებს—საამქროებს. მთელი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფარგლებში იქმნება საამქროები—მემცენარეობისა, მეცხოველეობისა, მექანიზაციისა, მშენებლობის, მომარაგების და გასაღების განყოფილებები და სხვ. მსხვილ საწარმოებში იქმნება კიდევ უფრო მცირე ჯიწრო სპეციალიზებული საამქრო, მაგალითად, მემინდვრეობის, მეპოსტნეობის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მეღორეობის, მეფრინველეობის, ტრანსპორტის და სხვა. ამისდა შესაბამისად გარდაიქმნება მმართველობის სტრუქტურაც.

ყველა დარგის (საამქროს) სათავეში დგას და მას ხელმძღვანელობს მეურნეობის მთავარი სპეციალისტი, რომელსაც პირდაპირ ემორჩილება სპეციალიზებული პირველადი შიდასამეურნეო ქვედანაყოფი (ბრიგადა, ფერმა, ცალკეული მექანიზებული რაზმი და რგოლი, სპეციალური სამსახური და სხვ). შუალედური რგოლების გაუქმება მთავარ სპეციალისტს აძლევს საშუალებას პირდაპირ მართოს დარგი, რომელსაც მთავარი სპეციალისტი კარგად იცნობს. ეს კი მნიშვნელოვნად ამაღლებს სპეციალისტის როლს, როგორც წარმოების ტექნოლოგისა და ორგანიზატორის, ფართოდ შლის ინიციატივას, ფართო ასპარეზს უხსნის შემოქმედებით ძიებას, ამაღლებს პირად პასუხისმგებლობას მიმაგრებული უბნის მუშაობის შესახებ. მთავარ სპეციალისტს ჩამოსცილდება მთელი რიგი ფუნქციები კერძოდ შრომის სხვადასხვა საშუალებების, მასალების, სათადარიგო ნაწილების შექმნა, აგრეთვე მზა პროდუქტის რეალიზაციაზე ზრუნვა. ახლამ საქმეებით დაკავებული იქნება მომარაგებისა და გასაღების განყოფილება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობის დირექტორები თავისუფლდებიან წარმოების ხელმძღვანელობის მიმდინარე საქმეებით და მთელ თავის ყურადღებას უთმობენ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ანალიზს. წარმოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული პრობლემების დამუშავებას, საზოგადოებრივი ურ-

თიერთობის რეგულირებას მეურნეობის შიგნით და სხვა საწარმოებთან ორგანოებთან კავშირუბრთიერთობის საკითხებს.

წარმოების დარგობრივი სტრუქტურა ქმნის ხელსაყველადი პირობები შიდასამეურნეო ანგარიშის განვითარებისათვის დაარგებსა და ცალკეულ საწარმოებს შორის როგორც ურთიერთკონტროლისა, ასევე ურთიერთდახმარებისათვის, მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების ოპტიმალური შეთანაწყობისათვის, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს წარმოების საერთო ეფექტურობის ამაღლებისათვის. დარგობრივი სტრუქტურა ქმნის წარმოების შეფარდებით კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შესაძლებლობებს, და მას სადამე ქმნის პირობებს უახლესი მანქანებისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის. დაბოლოს წარმოებისა და მართვის დარგობრივი სტრუქტურა ამარტივებს დაგეგმვის პროცესებს, აღრიცხვასა და კონტროლს, აადვილებს მოსავლის აღების ორგანიზაციას, საწარმოო ინფორმაციების მანქანებით შეგროვებას და დამუშავებას, რაც წარმოადგენს არსებით წინაპირობას სოფლის მეურნეობის მართვაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების და ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებისათვის.

